

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი



სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

კაკალაძე გიორგი

**სახელმწიფო მმართველობისა და ტერიტორიული-
ადმინისტრაციული მონეობის ფორმები და საქართველო**

საჯარო მმართველობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ჰამლეტ სანიკიძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,
ასისტენტი

ხიჭაური

2019

ანოტაცია

სახელმწიფო არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმელიც განსაკუთრებული აპარატისა და საჯარო ხელისუფლების მეშვეობით ახორციელებს თავის სუვერენულ უფლებასმოსილებას, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, ამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს, სამართალს ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო მნიშვნელობას, რომელიც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერებისა და მართლწესრიგის გარანტია.

სახელმწიფოებრივი მმართველობის ქვეშ გულისხმობენ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლები წესსა და მის სტრუქტურას. მმართველობის ფორმის ცნების ანალიზი გვიჩვენებს რომ ის ისტორიულად დამოუკიდებელია და წარმოადგენს საზოგადოების შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური ძალების ურთიერთდამოკიდებულების და ბრძოლის შედეგს.

თანამედროვე მონარქიებმა მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია განიცადეს, იზღუდება მონარქის ხელისუფლება. განვითარებულ ქვეყნებში მონარქის ინსტიტუტები უხელისუფლო ინსტიტუტებად იქცნენ. განვითარებადი ქვეყნების მონარქიები ცდილობენ შეალამაზონ თავიანთი ქვეყნის კონსტიტუციები თანამედროვე ტერმინებით.

რესპუბლიკური მმართველობა ეფუძნება ხელისუფლების განაწილების პრინციპს და განასხვავებს სამ დამოუკიდებელ შტოს: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. ამასთან დემოკრატიული რესპუბლიკური მმართველობის დროს ხელისუფლების განაწილების ფარგლებში მოქმედებს “ურთიერთგანონიანსწორებისა და კონტროლის“ სისტემა, რომლის შესაბამისად თითოეული ხელისუფლება დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, მაგრამ მათი ფუნქციონირება დამოკიდებულია ურთიერთმომქმედებასა და თანამშრომლობაზე, ისე რომ არცერთ მათგანს უფლება და შესაძლებლობა არ აქვს ჩაერიოს ან მიითვისოს მეორის უფლება.

აქართველოს ტერიტორიული მონაცობის ოპტიმალურ ფორმად დღესდღეობით უნიტარიზმია მიჩნეული. ის მნიშვნელოვნად გადამწყვეტია საქართველოსათვის, როგორც ზოგადი მისი რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო, ისე კონკრეტულად მოცემულ ეტაპზე, როდესაც უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების ფონზე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი რეფორმები.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ სახელმწიფო მმართველობისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მონაცობის საკითხებს.

ANNOTATION

State is a social-political organization in the form of a special apparatus and the public authorities from exercising its sovereign obligations, guarantees the unity and integrity, establish public order, law attaches importance to the universal mandatory, that citizens' rights and freedoms, the law Nations and guarantee the rule of law.

Under state rule, the rule of the higher government and the structure of the state. Analysis of the form of governance shows that it is historically dependent and represents the result of the interrelationship and struggle of the relevant social and political forces.

Modern monarchies have experienced significant modifications, restricted by the monarchy authorities. In developed countries, monarchy institutions have become institutional institutions. Developing countries monarchies are trying to make their countries' constitutions with modern terms.

Republican form of government is based on the principle of separation of power and the difference between the three independent branches of government: legislative, executive and judicial khelisuplebas.amas of democratic republican government in the distribution of work within the "balances and control" system, under which each of the independent A sakminobashi.magram in their functioning depends urtiertzemokmedebasa and cooperation, so that none of them has the right and the opportunity to intervene or to appropriate another person's rights.

The optimal form of territorial arrangement of Georgia is now considered unitary. It is a decisive decisive factor for Georgia as a result of its general geopolitical situation, and in particular at a given stage when significant state reforms are undertaken on the background of the grave political and economic difficulties.

In this paper we will discuss issues of state governance and territorial-administrative arrangements.

სარჩევი

შესავალი.....

1. სახელმწიფო მონაცემების ფორმები
- 1.1 მონარქიული მმართველობის ფორმები.....
- 1.2 რესპუბლიკური მმართველობის ფორმები.....
2. ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მონაცემების ფორმები
- 2.1 ადმინისტრაციული დაყოფა უნიტარულ სახელმწიფოში
- 2.2 ფედერაციული მონაცება (ფედერალიზმი).....
3. საქართველოს ტერიტორიულ -სახელმწიფოებრივი მონაცება და

მართვა..

3.1 სახელმწიფო მმართველობის ფორმები

საქართველოში.....

3.2 საქართველოს ტერიტორიული მონაცება თანამედროვე ეტაპზე.....

დასკვნა.....

გამოყენებული ლიტერატურა.....

დანართები.....

შესავალი

თემის აქტუალობა. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მონაცემების წესებისა და განხორციელების საშუალებების ერთობლიობას სახელმწიფო ფორმა ეწოდება. აქედან გამომდინარე სახელმწიფო ფორმა, ანუ მისი გარკვეულობა, მისი სტრუქტურა, შემდგომ სამ ელემენტზე- მმართველობაზე, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ მონაცემებსა და პოლიტიკურ რეჟიმზე დაიყვანება. როცა ვსაუბროთ სახელმწიფოზე აუცილებელია მასთან ორი მნიშვნელოვანი ტერმინის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განსაზღვრება. დამოუკიდებლობა გულისხმობს სახელმწიფოს შესაძლებლობებს. დამოუკიდებლობა არის იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად თავისუფალია ესა თუ ის სახელმწიფო სხვა სახელმწიფოსაგან და მისი ავტორიტეტისაგან. დამოუკიდებლობა არ გახლავთ აბსოლუტური ცნება და არც არსებობს სახელმწიფო, რომელსაც ჰქონდეს მოქმედების მთლიანი და განუსაზღვრელი უფლება. თუნდაც ის ფაქტი, რომ სახელმწიფო არის ინტერნაციონალური გაერთიანების წევრი, ნიშნავს, რომ ის უნდა ემორჩილებოდეს საერთაშორისო კანონებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, ზღუდავენ ამ სახელმწიფოს მოქმედებას და თავისუფლებას.

კვლევის მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ფორმის ოპტიმალური მოდელის შერჩევა დამოკიდებულია არა მხოლოდ ობიექტურ ეკონომიკური, სოციალური ფაქტორებისა და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების არსის ცოდნაზე, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს ფორმათა იმ ნაირსახეობათა ცოდნაზეც, რომელსაც თანამედროვე სახელმწიფოთა გამოცდილება იცნობს. ზემოთქმულიდან გამომდინარე სახელმწიფო ფორმა სახელმწიფოს შინაარსით ერთიანი სამართლებრივ-

პოლიტიკური სტრუქტურაა, რომელიც ვლინდება სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობით, ტერიტორიული და პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ორგანიზაციის წესებში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. ნაშრომის შესასრულებლად გამოყენებული იქნა, როგორც კვლევის ემპირიული, ისე თეორიული საშუალებები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გამოკითხული იქნა 245 ადამიანი, რომელიც დაჯგუფდა 3 ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით I. 18-იდან 25 წლამდე. II. 25-იდან 40 წლამდე. III. 40-იდან 60 წლამდე. კვლევა ტარდებოდა 2 თვის განმავლობაში (მარტი-მაისი). კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სახელმწიფო მონაცემების თეორიულ მსჯელობა დღესაც აქტუალურია. მოსახლეობა კარგად იცნობს საკითხის სპეციფიკას, აქვს გასხვავებული პოზიციები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

I. სახელმწიფო მონაცემების ფორმები

“სახელმწიფო ეს იმდენად მნიშვნელოვანი და უმაღლესი
ძალაუფლებაა, რომ მისი მართვა მხოლოდ და მხოლოდ
ერთეულებს ხელეწიფებათ”
პლატონი

თანამედროვე მსოფლიოში ორასამდე სახელმწიფოა, რომლებშიც ოთხი ათასამდე
ერი და ეთნოსი ცხოვრობს. ეს სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათში
მცხოვრები ხალხის კულტურითა და ტრადიციებით, რელიგიური შეხედულებებით,
საზოგადოების წინაშე დასმული მიზნებითა და ამოცანებით, დემოკრატიის განვითარების
დონით და სხვა თავისებურებებით.

„სახელმწიფოს“ როგორც ტერმინს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს. იგი
ხასიათდება ტერიტორიისა და გარკვეული ფართობების არსებობით, მოსახლეობით,
მთავრობისა და პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობით. ყოველივე ეს გავლენას
ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების ჩამოყალიბებასა და ორგანიზაციაზე, მის
ტერიტორიულ მონაცემებზე, ცენტრალური, რეგიონალური თუ ადგილობრივი
ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ერთი სიტყვით საზოგადოების
სახელმწიფოებრივი ცხოვრების შინაარსზე. ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს
თვითონ სახელმწიფო ფორმისა და შინაარსის სწორად გაგებას. სახელმწიფო ფორმის
კვლევისა და შემეცნების მცდელობა შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ამ
საკითხზე ჯერ კიდევ არისტოტელე და პლატონი მსჯელობდნენ. მას დიდი დატვირთვა
აქვს სამართლებრივ-პოლიტიკური კუთხით. იგი თავისი შინაარსით სახელმწიფოს იმ
შინაგანი ნიშნების ერთობლიობაა, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორია მოცემულ
სახელმწიფოში ორგანიზებული სახელმწიფო ხელისუფლება, ვის ეკუთვნის იგი,
როგორ, რომელი ორგანოებით და რა მეთოდების გამოყენებით ხორციელდება
ხელისუფლება.

დამოუკიდებლობის პარალელურად აუცილებელია სუვერენიტეტის
განსაზღვრება. ფრანგი პოლიტიკოსის ჟან ბიდინის განმარტებით, რომელიც მან 1576

წელს ჩამოაყალიბა თანახმად სუვერენიტეტი დამოკიდებულია სახელმწიფოს იმ უმაღლეს ძალაზე, ობიექტზე და მოქალაქეებზე, რომლებიც არ არიან შებლუდულნი რაიმე კანონით. აქ ბიდენი გულისხმობს კანონიერ მოქმედებას, რომელიც აძლიერებს ცენტრალური ხელისუფლების ავტორიტეტს სახელმწიფოში.

სახელმწიფოსა და მის მართვასთან დაკავშირებით საინტერესო შეხედულება ჰქონდათ უძველესი დროიდან ფილოსოფოსებსა თუ მეცნიერებს. არისტოტელე სახელმწიფოს განიხილავდა, როგორც სიკეთეს, რომლის მართვისას მთავარი მისი სათნოება იყო, სწორედ ეს ანიჭებდა მას გამორჩეულ სტატუსს. თომა აქვინელის აზრით სახელმწიფო მაშინ შედგება თუ საერო ხელისუფლება საეკლესიო ხელისუფლების მორჩილი გახდება. მარტინ ლუთერის თქმით კი სახელმწიფო ეს ისეთი ფენომენია, რომლის მართვასაც ბუნებრივი გონება და სამართლიანობა სჭირდება. ასევე საინტერესოა მაკიაველის აზრი, რომელიც პირდაპირ ამბობს მიზანი ამართლებს საშუალებას, ანუ სახელმწიფოს მართვისათვის ყველა ხერხი დასაშვებია. ასევე მმართველობის შესახებ საინტერესო შეხედულება ჰქონდათ პტახოტებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ სახელმწიფოს ჭირდება ფაქიზი ძალაუფლებით მართვა. მეფე ახტოი კი ამბობს: ვერ იარსებებს სახელმწიფო თუ არ დამყარდა სიმკაცრე და სამართლიანობა. მართვასთან დაკავშირებით თავისი მოზარება ჰქონდა ასევე უძველეს ფილოსოფოსს კონფუცის რომელიც სახელმწიფოს განიხილავდა ერთად თავმოყრილ ოჯახს, სადაც საჭირო იყო სამაგალითო და საკეთილდღეო ზრუნვა. ძალზედ მნიშვნელოვანია ხამურაბის სტელაზე შემორჩენილი წარწერა მართვასთან დაკავშირებით: „მართვა უნდა იყოს აუცილებლად სამართლიანი, სუსტების ინტერესები და კანონების უზენაესობა დაცული“ მართვა ეს არის მართის სუბიექტისა და ობიექტის მიზანმიმართული ურთიერთქმედების პროცესი სოციალურად ღირებული შედეგის მისაღწევად. მართვის სუბიექტის ქვეშ ჩვენ აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ აქტიური მხარე, რომელიც მართვას, ხოლო მართვის ობიექტი არის პასიური მხარე, რომელიც სუბიექტის მხრიდან განიცდის ზემოქმედებას. ვ. დალის განმარტებით მართა ნიშნავს მისცე მიმართულება, განკარგო, უხელმძღვანელო. ვ.ი. კნორინგი მიიჩნევს, რომ მართვა ფართო გაგებით, არის მართის ობიექტზე გავლენის უწყვეტი პროცესი დროისა და რესურსების უმცირესი დანახარჯებით ოპტიმალური შედეგების მისაღწევად.

მართვის სუბიექტის სახით გამოდის სახელმწიფო. სახელმწიფო მართო ეყრდნობა და წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციის ხერხს. ფართო გაგებით, სახელმწიფო მართვა გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების უშუალო განხორციელებას- პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებას და მათ რეალიზაციას, საზოგადოებაში სამართლიანობასა და კანონიერებაზე დაცვაზე კონტროლს. ხოლო ვიწრო გაგებით სახელმწიფო მართვის ქვეშ ესმით სახელმწიფო მართვის ორგანოთა ადმინისტრაციული, აღმასრულებელ-განკარგულებითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია, საზოგადოების ცხოველქმედებასთან დაკავშირებული პროცესების, მოვლენებისა და ურთიერთობების რეგულირებასთან და ხორციელდება პროფესიონალურად. როგორც ზევით ავლნიშნეთ მართვა ზოგადად გულისხმობს გარკვეულ ობიექტზე ზემოქმედებას, როგორც წესი, ამგვარი ზემოქმედების შედეგად აღილი აქვს გარკვეულ პროცესებს. ეს პროცესები შეიძლება მისაღები იყოს ამ თუ იმ თვალსაზრისით და შეიძლება არც იყოს მისაღები. მართვის სისტემა წარმოადგენს სამართლის ობიექტისა და მართვის კანონის განმახორციელებელი მოწყობილობის ერთიანობას. სამართლის ობიექტად გამოდის სახელმწიფო, ხოლო მართვის კანონის განმახორციელებელ მოწყობილობად-ხელისუფლება.

სახელმწიფო მართვის ფარგლები ბევრადაა დამოკიდებული მათ შესაძლებლობებთან, რომლებიც განისაზღვრება: სახელმწიფო ხელისუფლების ნებითა და ძლით; სახელმწიფო მართვის სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირების დონით; რესურსების ფლობით.

სახელმწიფო მართვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის იერარქიას, რომელსაც აქვს მიმართულება ზემოდან ქვემოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვემოთ მდებარე საფეხური უშუალო დაქვემდებარებაშია ზემოთ მდებარე იმ უახლოეს საფეხურთან, ვისთანაც მას აქვს უშუალო კავშირი. იერარქიის უმაღლეს საფეხურზე არის სახელმწიფოს მეთაური. ერთი საფეხურით უფრო ქვევით არის ის, ვისაც ყველაზე უფრო მაღალი თანმდებობა უკავია სახელმწიფოს მეთაურის შემდეგ, მაგალითად პრემიერ-მინისტრი. შეერთებული შტატების სტრუქტურაში-ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი. ინფორმაცია გადაეცემა როგორც ზემოდან ქვემოთ, ისევე ქვემოდან ზემოთ. ბრძანებები, განკარგულებები და დადგენილებები გადაეცემა მართო ზემოდან ქვემოთ. ასევე

მართვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება იყოს პოლიტიკური, მნიშვნელოვანი, იურიდიული, დისციპლინარული და ადმინისტრაციული.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სახელმწიფო მართვის სხვადასხვა დონეებსა და სახეებს, რომლებიც ხასიათდებიან სხვადასხვა ნიშნებით, კერძოდ ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ურთიერთობათა ხასიათის მიხედვით გამოყოფენ სუბორდინარულ და კოორდინირებულ მართვას. კოორდინირებული მართვით ხასიათდებიან ფედერაციები და კონფედერაციები, ხოლო სუბორდინირებული მართვა ეფუძნება ცენტრალურ პერიფერიებზე ადმინისტრაციულ დაქვემდებარებას. ობიექტზე ზემოქმედებისა და თვით მართვის ობიექტზე დამოკიდებულების მიხედვით გამოყოფენ დარგობრივ და ფუნქციონარულ მართვას. დარგობრივი მართვა გულისხმობს ცენტრიდან ვერტიკალურ დაქვემდებარებას და რეალიზდება ფუნქციონალური და დარგობრივი სამინისტროების მიერ, ხოლო ფუნქციონალური მართვა ხორციელდება ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოების მიერ შემდეგი მიმართულებით: ეკონომიკა, სოციალური განვითარება, თავდაცვა, უშიშროება და ა.შ. რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ გატარდეს შესაბამისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა. დროის პერიოდის მასშტაბის მიხედვით მართვა შეიძლება იყოს სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული.

სტრატეგიული მართვა გულისხმობს საზოგადოების განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ყველა ისე ცალკე მიმართულებების, სფეროების, ობიექტების, ტერიტორიების მიხედვით, იძლევა საქმიანობის პროგრამას მართვის ყველა კვანძისთვის. ტაქტიკური მართვა ეს არის მოკლევადიანი მართვა, რომელიც გულისხმობს დასახული მიზნების რეალიზაციისათვის კონკრეტულ მოქმედებებს.

ოპერატიული მართვა მიმართულია მიმდინარე ამოცანების, ასევე მართვის პროცესში წარმოშობილ ახალ ამოცანათა გადასაჭრელად.

მართვის ობიექტების ინტერესებისა და გამოყენებული მეთოდების მიხედვით სახელმწიფო მართვა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული და ეკონომიკური.

ადმინისტრაციული მართვა ნიშნავს გავლენის მოხდენას ინტერესებზე, რომლებიც იმართებიან დირექტიული იძულების მეთოდებით.

ეკონომიკური მართვა აღნიშნავს ობიექტზე ზემოქმედებას კანონმდებლობით, ფინანსური, ფულადი, საკრედიტო, სახელმწიფო პოლიტიკით, ე.ი ირიბად, ეკონომიკური ინტერესების მეშვეობით.

მიჩნეულია, რომ სახელმწიფო მართვაში უმნიშვნელოვანესია „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ (Public Relations, PR) ცნება, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოიშვა. მისი შემოღება აშშ-ს მესამე პრეზიდენტის თომას ჯეფერსონის სახელს უკავშირდება. კონგრესისადმი მიმართვაში მან ამ სიტყვებით აღნიშნა პოლიტიკური ინსტიტუტების ძალისხმევა, რომელიც ეროვნული მასშტაბით ნდობის ატმოსფეროს შექმნაზე უნდა მიმართულიყო.

სახელმწიფო მართვა არის ხელოვნება, ნიჭი, უნარი, ღირსება, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, ძალაუფლება. სახელმწიფო მართვა ანტიკური ეპოქიდან დღემდე ღმერთების, ქურუმების, წოდებრივი საზოგადოების, კასტის, მმართველისა და საბოლოო ლიდერის ჭრილში მიმდინარეობდა. სახელმწიფოსათვის მთავარია, როგორც მსუბუქი ცენტრალიზაცია, ასევე სწორი დეცენტრალიზაცია. როგორც ხისტი, ასევე რბილი მენეჯერული გადანაცვლებების მიღება.

სახელმწიფო მართვა არის შეუძლებელი საზოგადოების ჩართულობის გარეშე, ეს კი საზოგადოების მაქსიმალურ ინფორმირებულობას მოითხოვს. თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოთა მრავალფეროვნებაა, ის აერთიანებს დიდ და მცირე სახელმწიფოებს, ჰეგემონ და ჯუჯა ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ცდილობს უზრუნველყოს ამგვარ მრავალფეროვნებაში მაქსიმალური ბალანსი.

ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახელმწიფო თავისი სტრუქტურითა და შინაარსით სამყაროში ყველაზე რთულ გაერთიანებას წარმოადგენს, მისი მართვა კი საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ეპოქის მეცნიერ-ფილოსოფოსთა კვლევის საგანი და ობიექტი იყო.

თუ სახელმწიფოს ფორმის ცნება მთლიანად სახელმწიფო მექანიზმის მოწყობისა და მოსახლეობასთან ურთიერთდამოკიდებულების კომპონენტს მოიცავს, ცნება „სახელმწიფო მმართველობის ფორმა“ პასუხობს კითხვაზე როგორ არის მოწყობილი სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ანუ სახელმწიფოს მმართველობის ფორმა ერთ-ერთი და უძირითადესი ელემენტია სახელმწიფოს ფორმის სტრუქტურაში. არისტოტელეს თქმით „სახელმწიფო და სახელმწიფო მმართველობა ერთსადაიმავს ნიშნავს“. იგივე არისტოტელე იყო პირველი, რომელმაც სახელმწიფოს მმართველობის კლასიფიკაციის კრიტერიუმად შემოიტანა ხელისუფლების განხორციელება ერთის, უმცირესობისა და უმრავლესობის მიხედვით. ერთის მმართველობას მონარქია უწოდა, უმცირესობა, მაგრამ ერთზე მეტის მმართველობას არისტოკრატია, ხოლო უმრავლესობის მმართველობას პოლიტეა.

მმართველობის ფორმის საკითხს, თეორიულთან ერთად უმნიშვნელოვანესი პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მმართველობის ფორმის, ანუ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფორმირების, მათი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი იძლევა პასუხს იმაზე, თუ რამდენად ეყრდნობა ხელისუფლების ორგანიზაცია ხელისუფლების განაწილების პრინციპს, როგორია ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებათა ურთიერთდამოკიდებულება, როგორია ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთიმართება, მოსახლეობის მიერ ხელისუფლების განხორციელების რა ფორმები არსებობს, როგორია ხელისუფლების ორგანოების შექმნის წესი, მათი უფლებამოსილების ხანგრძლივობა. მაშასადამე სახელმწიფოს მმართველობის ფორმები დგინდება იმის მიხედვით თუ როგორ იქმნება სახელმწიფო ხელისუფლება, ვის ხელშია იგი, ერთი პირის თუ არჩევითი, კოლექტიური ორგანოს. მეცნიერებაში არსებობს სახელმწიფო მმართველობის ვიწრო და ფართო გაგება. ვიწრო გაგებით, მმართველობის ფორმა განისაზღვრება მხოლოდ იმით, თუ ვინ ახორციელებს უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას (ვინ და როგორ ხდება სახელმწიფოს მეთაური). ამის მიხედვით არსებობს მმართველობის ორი ფორმა: მონარქიული და რესპუბლიკური. ფართო გაგებით, მმართველობის ფორმის ცნება პასუხობს კითხვებს-როგორ არის მონყობილი უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება და როგორ მონაწილეობს მოსახლეობა მის ფორმირებაში, როგორია მისი სტრუქტურა, როგორ არის განაწილებული ხელისუფლება უმაღლეს ორგანოთა შორის. მმართველობის ფორმის ფართო გაგება მონარქიული და რესპუბლიკური მმართველობის სახეობათა უფრო ღრმა კლასიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციას მმართველობის, ტერიტორიული მონაცემებისა და პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით სახელმწიფოს ფორმა ეწოდება. ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ მისი კლასიფიკაცია შემდეგი ნიშნების მიხედვით:

1. მმართველობის მიხედვით-მონარქიული და რესპუბლიკური

2. ტერიტორიული მონაცემის მიხედვით-უნიტარული, ფედერაციული კონფედერაციული

3. პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით-დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული

ასევე არსებობს სახელმწიფო მმართველობის არატრადიციული ფორმები:

1. ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა-მინისტრები, პარლამენტის წინაშე არიან პასუხისმგებელნი და არა პრეზიდენტის

2. ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკა-დადგენილია მთავრობის უნდობლობის, ვოტუმის გამოცხადება გართულებული წესით

3. არჩევითი მონარქია-მონარქს ირჩევენ გარკვეული ვადით

4. სუპერ საპრეზიდენტო რესპუბლიკა-მთელი ხელისუფლება იურიდიულად და ფაქტობრივად პრეზიდენტის ხელშია, პრეზიდენტი ფლობს პარლამენტის დათხოვნის განუსაზღვრელ უფლებებს

5. საპრეზიდენტო მონოკრატიული რესპუბლიკა-ერთპარტიულ რესპუბლიკაში პრეზიდენტი თავისი პარტიით ფაქტიურად ერთმმართველია.

ამასთანავე მნიშვნელოვანია სახელმწიფო მონაცემის არატრადიციული ფორმების განვიხილოთ:

1. უნია-რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება ერთი რომელიმეს მეთაურობით

ა) პერსონალური-მონარქიულ სახელმწიფოთა გაერთიანება ერთი მონარქის ხელისუფლების ქვეშ, მისი ხელისუფლება ნომინალური. სახელმწიფოები ინარჩუნებენ საკუთარი ხელისუფლების და მართველობის სტრუქტურებს.

ბ) რეალური(ორგანული)-ჰყავთ როგორც საერო მეთაური ასევე აერთიანებენ ხელისუფლებისა და მმართველობის რიგ მნიშვნელოვან ორგანოებსაც, თუმცა ამით უნიაში შემავალი სახელმწიფოების სუვერენიტეტი არ იკარგება.

2. პროტექტორატი-ძლიერი და სუსტი სახელმწიფოების კავშირი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე. ძლიერი სახელმწიფო (პროტექტორი) სუსტი(პროტექტუს) სახელით გამოდის საგარეო ურთიერთობებში და თავისთავზე ღებულობს მის მფარველობას.

3. ფუზია-სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი შერწყმა შეერთება ერთ სახელმწიფოდ.

4. მეტროპოლია-კოლონიური სახელმწიფო. მეტროპოლია კოლონიებში ნიშნავს სრული ძალაუფლების მქონე ადმინისტრატორებს. დამოკიდებული ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა არ ღებულობს წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობას.

5. თანამეგობრობა-სახელმწიფოთა იშვიათი კავშირი. კონფედერაციაზე უფრო ამორფული გაერთიანება(დსთ).

სახელმწიფო ფორმები პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით იყოფა დემოკრატიულ ლიბერალურ ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებად. ზოგადად კი იმ საშუალებების და ხერხების ერთობლიობას რომელზე დაყრდნობით ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლება, პოლიტიკური რეჟიმი ეწოდება.

1. დემოკრატიულ-ლიბერალური- ხელისუფლებაზე მოსახლეობის პირდაპირი ზემოქმედების მექანიზმების არსებობა; მრავალპარტიულობა, იდეოლოგიური მრავალფეროვნება, ადამიანის უფლებების და თავისუფლების პრიორიტეტი. სახელმწიფოს მოღვაწეობის სამართლებრივი ფორმები, საბაზრო ეკონომიკა, დემკრატიული ინსტიტუტები, უმცირესობის ინტერესების მაქსიმალური დაცვა-გათვალისწინება.

2. ავტორიტარული-შუალედური რეჟიმი დემოკრატიულსა და ანტიდემოკრატიულს შორის, შეზღუდულად ფუნქციონირებს სამართლებრივი ინსტიტუტები, არ ხორციელდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე სახელმწიფოებრივი კონტროლი, არსებობს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ოპოზიცია, ძლიერია სახელმწიფოს მეთაურის პირადი დიქტატურის ელემენტები.

3. ტოტალიტარული-სახელმწიფოს კონტროლი ცხოვრების ყველა სფეროზე, პარტიული მონიზმი, ერთიანი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, იდეოლოგიზირებული

ჭეშმარიტება, პარტიის ლიდერის კულტი, სახელმწიფოს პრიმატი სამართლათან მიმართებაში, წარმოების საშუალებებზე სახელმწიფოს საკუთრება, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვა, ოპოზიციის დათრგუნვა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გასახელმწიფოებრიობა.

I.I მონარქიული მმართველობის ფორმები

სიტყვა მონარქია ბერძნული ენიდან მომდინარეობს (ბერძ. Monarch) და ორი სიტყვისაგან შედგება. მონო-ერთს ნიშნავს, ხოლო არხე-ხელისუფლებას, ე.ი. მონარქია ერთის ხელისუფლებას, ერთის მმართველობას ნიშნავს. მონარქია სახელმწიფოს მმართველობის უძველესი ფორმაა.

მონარქიას უწოდებენ მმართველობის ისეთ ფორმას, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ერთ პირს მონარქს ეკუთვნის, რომელიც თავისი ნების შესაბამისად წარმართავს სახელმწიფოს. მონარქის ეს ნება სახელმწიფოში უზენაესია და არავისაგან არ არის იგი დელეგირებული. უნდა აღნიშნოს, რომ სახელმწიფოს მექანიზმში მონარქის როლისა და მისი სახელმწიფოსადმი დამოკიდებულების ამგვარი კონსტრუქციების ჩამოყალიბება გარკვეულ კავშირიშია სახელმწიფოს წარმოშობის თეორიასთან.

მონარქია, ისევე როგორც დიქტატურა, სახელმწიფოს მართვის ისეთი სახეა, როდესაც სახელმწიფო ძალაუფლება ერთი კაცის ხელშია. მონარქის დროს სახელმწიფოს მართვას ან მეფე ან იმპერატორი. იგი უმაღლესი ავტორიტეტია სახელმწიფოში. დიქტატურისაგან განსხვავებით მონარქიაში ძალაუფლება გადაეცემა მემკვიდრეობით.

მონარქიის არსებობის პირველ ეტაპზე მონარქი ამქვეყნიურ ღვთაებად, ღმერთის წარმომადგენლად ითვლებოდა, შესაბამისად, მისი ხელისუფების წყაროც, მხოლოდ ღმერთი იყო მიჩნეული. ასეთი შეხედულების საფუძველი სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ თეოკრატიულ თეორიაში დევს. ასეთი მონარქიების კლასიკურ მაგალითს განვითარების პირველ ეტაპზე წარმოადგენენ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები, ხოლო დასავლეთში-რომის სახელმწიფო პრიციპი პატის პერიოდში.

მონარქის სამართლებრივი სტატუსის შემდეგი საფუძველი კვლავ თეოკრატიულ სახელმწიფოში უნდა ვეძებოთ, სადაც მონარქი მთელი სახელმწიფოს მესაკუთრედაა მიჩნეული. მონარქის ეს მოდელი განსაკუთრებით მძლავრობდა შუა საუკუნეებში აბსოლუტიზმის განვითარების პერიოდში. იგი გარკვეულ წილად შეიძლება დავუკავშიროთ ამავე პერიოდში გავრცელებულ პატრიმორულ თეორიას, რომლის წარმომადგენლებსაც სახელმწიფო მონარქის კერძო საკუთრებად მიაჩნდათ.

თანამედროვე მსოფლიოში ორმოცზე მეტი მონარქიული სახელმწიფოა. სხვადასხვა ქვეყნებში მონარქი სხვადასხვაგვარად იწოდება: მეფედ-დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, დანიაში, ბელგიაში და სხვა. ემირად-ქუვეითში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში და სხვა. დიდ ჰერცოგად-ლუქსემბურგში, თავადად (მთავარი)-ლიხტენშტეინში, იმპერატორად-იაპონიაში და სხვა.

მონარქია ღრთა განმავლობაში განიცდიდა ტრანსფორმაციას. ის თანდათან სახელმწიფოს მექანიზმის ნაწილი გახდა, ანუ ის ორგანო, რომელიც სახელმწიფოს განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებს. მონარქის ეს სახე სახალხო სუვერენიტეტის იდეას უკავშირდება. „ამ კონსტრუქციის მიხედვით მონარქი ხალხის ნების ორგანოა და ამ მხრივ იგი სახელმწიფოს იურიდიული არსებობის ერთ-ერთი ელემენტის შემადგენელ ნაწილს აკავშირებს.

თანამედროვე მონარქიების მოდელების თავისებურება განზოგადებული სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მონარქის თავისუფალი მოქმედების შეზღუდულობა, როგორც საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ასევე სასამართლო ხელისუფლებათა განხორციელების სფეროში.

მონარქიული მმართველობა ხასიათდება შემდეგი ზოგადი ნიშნებით:

1. მონარქი სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ერთპივნული მატარებელია(იშვიათი გამონაკლისი გარდა)სიკვდილამდე
2. მონარქი თავის პოსტს პერსონალურად იჭერს, მას არ ჰყავს ვიცე-მონარქი(თუმცა დიდი ბრიტანეთის სამეფოს მიერ დანიშნულ გუბერნატორებს ზოგჯერ ვიცე-მეფეებსაც უწოდებენ)
3. ხელისუფლების წყარო არის მონარქი
4. მონარქს უფლება აქვს გადადგეს სამეფო ტახტიდან
5. სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობას მონარქი მემკვიდრეობით იღებს
6. სახელმწიფო ხელისუფლება მემკვიდრეობით (სისხლის პრინციპით) გადადის მონარქის შვილზე, უმეტესწილად ვაჟიშვილზე, ზოგჯერ ქალიშვილზეც. თუ შვილი მცირეწლოვანია, მის სრულწლოვანებამდე, ამ ტახტის ვაკანტურობის, მონარქის ხანგრძლივი ავადმყოფობის თუ ღრთებითი არყოფნის შემთხვევაში, სახელმწიფოს

მართვას რეგენტი ან რეგენტთა საბჭო. განასხვავებენ ტახტის მემკვიდრეობის სამ ძირითად სისტემას:

ა) სალიკური სისტემა, რომლის მიხედვითაც ტახტი გადადის მხოლოდ მამაკაცებზე და ქალები ტახტის მემკვიდრეობიდან მთლიანად გამორიცხულნი არიან;

ბ) კასტილური სისტემა, რომლის მიხედვითაც ქალები არ გამოირიცხებიან ტახტის მემკვიდრეობიდან, მაგრამ უპირატესობა მამაკაცებს ენიჭებათ (უმცროსი ძმა სარგებლობს უპირატესობით უფროს დასთან მიმართებაში)

გ) ავტრიული სისტემა, რომლის მიხედვითაც, მართალია, ქალები არ გამოირიცხებიან ტახტის მემკვიდრეობიდან, მაგრამ საერთოდ მამაკაცებს და მამაკაცთა შტოს ენიჭება უპირატესობა სანათესაო შტოში. ამ სისტემის ქვეყნებში ქალებს მხოლოდ მაშინ გადაეცემათ ტახტი, როცა მათ მოდგმაში აღარ დარჩება არცერთი მამაკაცი.

7. მონარქი სახელმწიფოს მართვას თავისი სამართლის მიხედვით, მისი უფლებ-
ასმოსილება არაა დელეგირებული არც ხალხის და არც რომელიმე ორგანოს მიერ

8. მონარქს თვლიან ღვთაებრივი წარმოშობის პირად

9. მონარქი თავისუფალია როგორც პოლიტიკური, ასევე იურიდიული
პასუხისმგებლობისაგან

10. მონარქი პასუხს აგებს მხოლოდ ღმერთის წინაშე. თუმცა, რევოლუციურ
ეპოქებში ყოველთვის არ ითვალისწინებენ ამ წესს, ისტორიამ მეფეთა დასჯის ფაქტებიც
იცის.

ისტორიაში ცნობილია აგრეთვე ერთ სახელმწიფოში ერთდროულად ორი
მონარქის მმართველობა. სპარტას ორი მეფე მართავდა, სპეციალისტები თვლიან, რომ
ორი მეფის ძალაუფლების წარმოშობას საფუძვლად უნდა დადებოდა ორი ტომის
გაერთიანება, რომელთაგან თითოეულმა თავისი წინამძღოლი შეინარჩუნა.

მიუხედავად იმისა, რომ უკლებლივ ყველა მონარქიაში მონარქი (მეფე, იმპერატორი,
შახი, მთავარი, თავადი, სულთანი და ა. შ) სახელმწიფოს მეთაურია, მთლიანად უზენაესი
ხელისუფლება მას ყველგან არ ეკუთვნის. იმისდა მიხედვით როგორი მოცულობისა და
ხარისხის ძალუფლებას ფლობს მონარქი, ერთმანეთისაგან განასხვავებენ:

1) აბსოლუტურ ანუ შეუზღუდავ მონარქიას- მონარქი ფლობს განუსაზღვრელ
ხელისუფლებას.

2) შეზღუდულ, რომელშიც შედის კონსტიტუციური და წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია.

ა) მონარქის უფლებებს ზღუდავს წოდებრივ წარმომადგენლობითი ორგანო

ბ) კონსტიტუციური-მონარქის სახელმწიფო ფუნქციები მინიმუმამდე შეზღუდულია პარლამენტით, პარლამენტს ირჩევს ხალხი, მთავრობას აყალიბებს არჩევნებში გამარჯვებული პარტია.

კონსტიტუციურში შედის ასევე დუალისტური და საპარლამენტო სადაც მონარქი ნიშნავს პარლამენტის ან მთავრობის წევრებს, რომლებიც მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი.

მონარქიული მმართველობის სახეების უკეთ გასაგებად მისი სიღრმისეულად ანალიზი ჩავატაროთ. აბსოლუტური ანუ შეუზღუდავი მონარქია კლასიკური სახით მმართველობის ისეთი ფორმაა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების სამი შტო(საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) ერთი პირის-მონარქის ხელშია.

აბსოლუტურმა მონარქიამ წარმოშვა ბევრი წინააღმდეგობანი და კონფრონტაციები რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა მონარქის დაპირისპირებას ქვეყნის საშუალო ფენებთან, შეიქმნა აზრი, რომელიც გულისხმობდა რომ განხორციელებულიყო მონარქთა შეზღუდვა. საკითხი ამგვარად პირველად დაისვა ინგლისში, ინგლისის მონარქიის შეზღუდვა მოხდა სამოქალაქო ომის შედეგად 1649 წელს მეფე ჩარლზ I-ს მოკვეთეს თავი. მონარქიის აღდგენა მოხდა შვიდი წლის შემდეგ, როდესაც კონსტიტუციის თანახმად დანესდა მეფეს და პარლამენტს შორის ურთიერთდამოკიდებულება. ეს კანონი ინგლისის პარლამენტმა დაამტკიცა 1989 წელს, ამის შემდეგ უარყოფილი იქნა აბსოლუტიზმის იდეა და აგრეთვე ის რომ მეფის ძალაუფლება ღვთაებრივია. ასეთივე ღონისძიება გატარდა საფრანგეთში 1789 წელს დიდი რევოლუციის შედეგად რომელმაც ბოლო მოუღო არამართო მონარქიულ აბსოლუტიზმს, არამედ მოგვიანებით თვით მონარქიასაც. ინგლისსა და საფრანგეთს მიბაძეს მთელმა რიგმა ევროპულმა სახელმწიფოებმაც, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში კონსტიტუციური მონარქიები დამყარდა შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, დანიაში და მოგვიანებით იტალიაში, აღმოსავლეთ ევროპაში, პრუსიაში,

რუსეთსა და ავსტრიაში დარჩა აბსოლუტური მონარქია მაგრამ გარკვეულად შეზღუდული ძალაუფლებით. აბსოლუტური მონარქიის დროს მთელი სახელმწიფო ძალაუფლება მონარქს ეკუთვნის, ერთი ფიზიკური პირი ადგენს ახორციელებს და განსჯის სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებს, მისი ხელისუფლების იურიდიულად შემზღუდავი მექანიზმი არ არსებობს, თუმცა მონარქი იძულებულია ანგარიში გაუწიოს მსოფლიოსა და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ, ზნეობრივ, რელიგიურ თუ ჩვეულებრივ სიტუაციებს. ამგვარ სახელმწიფოებს არ გააჩნია კონსტიტუცია, არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები(პარლამენტი, ადგილობრივი თვითმმართველობა).

აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას მონარქის სახელით ახორციელებენ მის მიერ დანიშნული პირები, სასამართლო დავები წყდება მონარქის სახელით. ამ სისტემის არსი მოკლედ ჩამოყალიბებულია ერთ ერთი ლუდოვიკოს ცნობილ სენტენციაში- „სახელმწიფო ეს მე ვარ“(L'Etat s'est Moi). მმართველობის ეს ფორმა იშვიათია თანამედროვეობისათვის, გარკვეული სახე ცვლილებებით გვხვდება არაბეთის სამყაროში-საუდის არაბეთში, გაერთიანებულ ემირატებში, ქუვეითში, ბაჰრეინში და ა.შ.

აბსოლუტური მონარქია ფეოდალური დაქუცმაცებულობის დაძლევის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოს მმართველობაა. ცხადია აბსოლუტური მონარქიის ფორმის მქონე სახელმწიფოში სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მართვისთვის მონარქის გარდა სხვა სახელმწიფო ორგანოებიც არსებობს. აბსოლუტურ მონარქიაში მონარქს ყოველთვის შეუძლია უკანვე მოითხოვოს ეს უფლებები პირადად განსახორციელებლად, რომელთა შესრულება დროებით დავალებული ჰქონდა ამა თუ იმ მოხელეს, ან ამა თუ იმ ორგანოს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1996 წელს ომანის სასულთნოში კონსტიტუციის ოქტრირება მოხდა, ანუ ხალხს კონსტიტუცია აჩუქა მონარქმა, მონარქის მიერ კონსტიტუციის ჩუქება ერთგვარი წყალობის უნესტია მოსახლეობის მიმართ. ცნობილია კონსტიტუციის ოქტრირება არამხოლოდ მონარქის არამედ პრეზიდენტისა (პაკისტანი 1962 წ.) და მთავრობის (ფიჯის კონსტიტუცია 1990 წ) მიერაც. მონარქმა ხალხს კონსტიტუცია აჩუქა კატარშიც 1972 წელს, საუდის არაბეთში 1992 წელს მიიღეს კონსტიტუცია, მანამდე კი კონსტიტუციად ოფიციალურად ითვლებოდა ყურანი.

ცნობილია საუდის არაბეთის მეფის ასეთი გამონათქვამი: “ კონსტიტუცია? რისთვის? ყურანი ძველი და ყველაზე ეფექტური კონსტიტუციაა მსოფლიოს ყველა კონსტიტუციას შორის. ისლამი საკმაოდ მოქნილი რელიგიაა რათა უზრუნველყოს ჩვენი ხალხის ბედნიერება.“

ისეთი სახელმწიფოები როგორცაა ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრეინი შეიმოსნენ კონსტიტუციებითა და კანონსათათბირო საპარლამენტო ორგანოდ, რითაც ისინი ფორმით ნახევრად აბსოლუტურ მონარქიებად იქცნენ, ამ კონსტიტუციების თანახმად მონარქი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ხალხთან ერთად, (მაგალითად ქუვეითში მთავრობის მეთაურად ინიშნება პრინცი, ხოლო საკანონმდებლო ხელისუფლებას სხვადასხვა სახის კანონსათათბირო ორგანოს მეშვეობით.) მიუხედავად ამისა ეს კონსტიტუციები იმდენად ვერ ზღუდავენ მონარქის ხელისუფლებას ვიდრე მმართველთა ოჯახი, რომელსაც განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება აღნიშნული ტიპის სახელმწიფოთა ცხოვრებაში, მმართველთა ოჯახს თავის საბჭოზე შეუძლია აიძულოს მონარქი უარი თქვას ტახტზე, აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებში მონარქი ასევე ითვლება უმაღლეს სასულიერო პირად. იგი განაგებს ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებასაც, რაც კიდევ უფრო ზრდის მის ისედაც შეუზღუდავ ხელისუფლებას, ასეთი ტიპის მონარქიებს თეოკრატიულ აბსოლუტურ მონარქიებს უწოდებენ, რომელსაც მიეკუთვნება ვატიკანი, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი და სხვები.

შეზღუდული მონარქია ეწოდება ისეთ მონარქიას, რომელშიც მონარქის ხელისუფლება იზღუდება რომელიმე ორგანოს მიერ, მონარქის ხელისუფლების შემზღუდავ ორგანოებს შეიძლება წარმოადგენდეს წოდებრივ წარმომადგენელი ორგანო-პარლამენტი, კონსტიტუცია, დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება. კონსტიტუციური მონარქია პირველად ჩამოყალიბდა დიდ ბრიტანეთში, ნათქვამია, რომ ინგლისის მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს ქვეყანას, მეფე არის სახელმწიფოს მეთაური მხოლოდ ფორმალურად. ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბაგეჰოტი ამბობდა, მონარქს აქვს სამი უფლება: იყოს მრჩეველი, იყოს წამახალისებელი და ჰქონდეს გამაფრთხილებლის ფუნქცია. კონსტიტუციურ მონარქს არ აქვს აღმასრულებელი ფუნქცია, ასეთი ფუნქცია აქვთ მინისტრებს, მონარქს ცალკეულ შემთხვევებში აქვს

ჩარევის ფუნქცია, მაგრამ არცთუ ისე ხშირად, როგორც ამბობდა ედუარდ მე-7 „ მონარქი არ გამოთქვამს თავის აზრს რომელიმე პოლიტიკურ მოვლენაზე გარდა იმ შემთხვევისა როცა ის იძლევა რჩევებს.“

თანაფარდობა მონარქისა და პარლამენტის ძალაუფლებებს შორის აშკარად პარლამენტის სასარგებლოდაა გადანწყვეტილი. მონარქი ფორმალურად რჩება რა ხელისუფლების წყაროდ გადამწყვეტ მონაწილეობას სახელმწიფო მმართველობაში არ იღებს, ერის ერთიანობის სიმბოლოდ წარმოჩნდება, ასრულებს სახელმწიფოს წარმომადგენლის ფუნქციას, თუმცა აქაც მისი შესაძლებლობები საკმაოდ მოკრძალებულია. სახელმწიფოთა ერთ ჯგუფში „მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს“ (დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ნორვეგია). არის სახელმწიფოები სადაც „ მეფე არც მეფობს და არც მართავს“ (მაგალითად იაპონიაში).

მართალია მონარქი ნიშნავს მთავრობას, მაგრამ ეს უკანასკნელი პასუხს აგებს არა მონარქის არამედ პარლამენტის წინაშე, მონარქის აქტების მიმართ გამოიყენება კონტრასიგნაციის ინსტიტუტი ესეიგი მონარქის აქტები სისრულეში მოდის მხოლოდ შესაბამისი მინისტრის ვიზირების შემთხვევაში, რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას იგი მთლიანად დამოუკიდებელია. როგორც ვხედავთ მონარქის უფლებრივ მდგომარეობა საკმაოდ შეზღუდულია, იქამდეც კი რომ მონარქის პირადი ცხორების ზოგიერთ საკითხსაც მოიცავს, მაგალითად ქორწინება, სასახლის სამსახური და სხვა შეიძლება გადანყდეს მხოლო პარლამენტის თანხმობით, სწორედ ამიტომ არსებობს გამოთქმა “ მეფობს, მაგრამ არ მართავს“.

მიუხედავად მონარქიული მმართველობის ერთგავრი არქაულობისა იგი საკმაოდ არის გავრცელებული მსოფლიოში, გააჩნია ახალ ისტორიულ რელიეფთან ადაპტაციის უნარი, უფრო მეტიც როგორც ერისა და კონკრეტული სახელმწიფოს ისტორიული ტრადიციების მემკვიდრეობის სიმბოლო, პოსტინდუსტრიული საზოგადოების უარყოფითი ტენდენციების შემსუბუქების იმედი, კონსტიტუციური მონარქია დღესაც მიმზიდველია მოსახლეობისა და პოლიტიკური ელიტის ერთი ჯგუფისთვის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე არ ნიშნავს იმას, რომ მონარქი დეკორატიული ფიგურაა სახელმწიფოში, ამას ნათლად ადასტურებს ირ.სურგულაძის მოსაზრება, რომლის მიხედვით “მონარქის თანხმობის გარეშე შეუძლებელია რაიმე ცვლილება შევიდეს

სახელმწიფოს კონსტიტუციურ წყობილებაში. ეს მომენტი აუცილებლად იგულისხმება მონარქის ცნებაში, ვინაიდან იქ სადაც სახელმწიფოს ძირითადი კანონის შეცვალა მონარქის თანხმობის გარეშე არ არსებობს მონარქი, როგორც უკვე აღვნიშნეთ წარმოადგენს ერის სახელმწიფოს სიმბოლოს.

ასევე საინტერესოა ის ფაქტიც რომ მონარქია შეიძლება იყო მემკვიდრეობითი და არჩევითი. მემკვიდრეობითი მონარქიის დროს მონარქის მონვევა ხდება ტახტის მემკვიდრეობის კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით განსაზღვრული ოჯახიდან ან დინასტიიდან, ხოლო საარჩევნო მონარქიის დროს არჩევნების საშუალებით ხდება ტახტის ერთი პირიდან მეორეზე გადასვლა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მონარქის არჩევნას მონარქს ავალდებულებდნენ ხალხის პრივილეგიების დაცვას არჩევნები მონარქის ინსტიტუტს არ აქცევს წარმომადგენლობით ორგანოდ, ვინაიდან ამ არჩევნების შედეგად არ ხდება უფლებათა დელეგირება ხალხიდან მეფეზე. საარჩევნო მონარქია განსაკუთრებით იმიტომ იყო მიზანშეწონილი, როცა ახალი დინასტიების მონვევა ხდებოდა. მონარქს ირჩევენ თანამედროვე მონარქიულ სახელმწიფოებშიც, მაგალითად მალაიზიის ფედერაციისა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ეს არჩევითობა მონარქის ინსტიტუტს აახლოებს პრეზიდენტის ინსტიტუტთან, ხოლო მმართველობის მონარქიულ ფორმას რესპუბლიკურთან. მაგრამ მალაიზიაც და არაბეთის გაერთიანებული საამიროები მონარქიულ სახელმწიფოებად ითვლებიან, რადგანაც არჩევნები ამ სახელმწიფოებში ფორმალურ ხასიათს ატარებს, კერძოდ მალაიზიის ფედერაციაში 13 სუბიექტია, მათ შორის ცხრას მართავს მემკვიდრეობითი მონარქი-სულთანი, რომლიც ქმნის მმართველთა საბჭოს, ხოლო ოთხს ქვეყნის უმაღლესი მმართველის-მონარქის მიერ დანიშნული გუბერნატორები მმართველთა საბჭო მასში შემავალი ცხრა მემკვიდრეობითი მონარქისგან ერთერთს ირჩევს ქვეყნის უმაღლეს მმართველად(მონარქად) ხუთი წლის ვადით.

მალაიზიისგან განსხვავებით არაბთა გაერთიანებულ საამიროებში კოლეგიური მონარქია არსებობს შვიდი ემირის უმაღლესი ფედერაციული საბჭოს სახით, რომელიც მთლიანად ფლობს სახელმწიფო ხელისუფლებას. ამ საბჭოს შემადგენლობიდან ხუთი წლის ვადით ირჩევა ქვეყნის მეთაური, რომლის ძირითადი უფლებამოსილებანი თავმოყრილია ემირთა უმაღლესი საბჭოს ხელში. ფედერაციის საბჭო ნიშნავს

საკონსულტაციო ხასიათის მქონე ეროვნულ კრებას. სახელმწიფოს მეთაურად(მონარქად) დამოუკიდებლობის დღიდან, 1971 წლის 2 დეკემბრიდან, მოყოლებული ირჩევენ ქვეყნის 85 %-ზე განლაგებული უმსხვილესი ემირატის აბუ-დაბის მონარქს.

შეზღუდული მონარქიის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია, რომლის დროს მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია პრივილეგირებული წოდების ან ამ წოდების წარმომადგენელთა მიერ. წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია როგორც მონარქიული მართვა გამგეობის სახე ჩამოყალიბებას იწყებს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ამ პერიოდში ინგლისში პარლამენტის სახელით შეიკრიბა წოდებრივი ორგანო, რომელიც 1295 წლიდან მუდმივ საკანონმდებლო ორგანოდ გადაიქცა. მე17 საუკუნიდან ინგლისში ყალიბდება საპარლამენტო მონარქია.

საყურადღებოა, რომ მონარქის უფლებების შეზღუდვის იდეა მე-12 საუკუნის საქართველოში „კარავის სახით“ გამოჩნდა. „კარავის დაცემის“ ანუ პარლამენტის მაგვარი დაწესებულების დაარსება მოითხოვა ყუთლუ არსლანის პოლიტიკურმა დასმა, რომლის პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებდა პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნას და სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება-განხორციელებას სხვადასხვა ორგანოების მიერ თუმცა ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც „კარავის“ იდეა არ წარმოადგენს პარლამენტურ მოძრაობას, იგი ითვალისწინებდა არა პარლამენტის შემოღებას დანაწილებას, არამედ ცენტრალური მმართველობის გამოყოფას მეფის კარისაგან, მართალია ის იდეა ვერ განხორციელდა, მაგრამ იგი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში.

კონსტიტუციური მონარქია, მონარქის უფლებების შეზღუდვის ხარისხის მიხედვით შეიძლება იყოს დუალისტური და საპარლამენტო. დუალისტური-მომდინარეობს ლათინური ენიდან და „ორს“ ნიშნავს. დუალისტურ მონარქიაში სუსტად, მაგრამ მაინც სახეზე გვაქვს სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, დუალისტურ მონარქიაში მას ძირითადად მონარქი ახორციელებს. დუალისტურ

მონარქიაში ერთგვარ „ ორხელისუფლებიანობასთან“ გვაქვს საქმე, მემკვიდრეობითი ორგანოს-მონარქის გვერდით არსებობს და ხელისუფლებას ინაწილებს არჩევითი ორგანო-პარლამენტი, რის გამოც ხელისუფლების ორგვაროვნება, დუალიზმი წარმოიშვა.

მმართველობის ასეთი ფორმა ევროპაში XVII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბდა და ხალხის ნების მასების მძლავრ გამოსვლებს უკავშირდება. დუალისტური მონარქია ბურჟუაზიასა და ჯერ კიდევ ძლიერ თავადაზნაურობას შორის არსებული დაპირისპირების კომპრომისის გზით მოხსნის შედეგია. მონარქია გამოხატავდა თავადაზნაურობის ინტერესებს, ხოლო პარლამენტი, უპირველესად, ბურჟუაზიის, უპირველესად იმითომ, რომ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობა იზღუდებოდა ქონებრივი თუ სხვა სახის ცენზებით.

დუალისტურ მონარქიებში (იორდანია, მაროკო) ძალაუფლება ფორმალურად განაწილებულია მონარქსა და პარლამენტს შორის, თუმცა აშკარად მონარქის სასარგებლოდ. მონარქის ძალაუფლება მხოლოდ საკანონმდებლო სფეროში არის ერთგვარად შეზღუდული, თუმცა აქაც აქვს მას პარლამენტის ინიციატივების ბლოკირების შესაძლებლობები. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, იგი სრულიად მონარქისა და მის მიერ დანიშნული და მხოლოდ მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის ხელშია თავმოყრილი.

დუალისტურ მონარქიაში დემოკრატიული ინსტიტუტების განუვითარებლობის გამო, ფაქტობრივად მონარქი ინარჩუნებს, ისეთი ზოგადი ხასიათის უფლებამოსილებებს, რომელთა გამოც იგი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ცენტრში იმყოფება. მონარქს შეუძლია გამოსცეს კანონის ძალის მქონე საგანგებო ხასიათის სამართლებრივი აქტები, რომლებიც არ საჭიროებენ პარლამენტისაგან მხარდაჭერას. რიგ შემთხვევებში მონარქს აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტიც კი, რის შედეგადაც იგი აბსოლუტურ მონარქიად გადაიქცევა. მაგალითისათვის, იორდანიაში 1974 წელს დათხოვნილი იქნა პარლამენტი, მხოლოდ 1989 წელს გახდა შესაძლებელი მორიგი საპარლამენტო არჩევნები.

დუალისტურ მონარქიაში შეუძლია საკუთარი შეხედულებით დანიშნოს მთავრობა, რომელიც მხოლოდ მისი წინაშე იქნება პასუხისმგებელი. თუმცა ხშირად მთავრობა

ფორმალურად მაინც ორმაგ პასუხისმგებლობას ატარებს მონარქისა და პარლამენტის წინაშე, ასევე მონარქს შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლება. პარლამენტის მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ზემოქმედების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება, რომელიც საკმაოდ ძლიერი ზემოქმედების საშუალებაა, მაგრამ გამოიყენება წელიწადში მხოლოდ ერთხელ.

დუალისტური მონარქიები არსებობდა გერმანიაში, თურქეთში, ტაილანდში და სხვა დღეისათვის კონსტიტუციური ნორმებით დადგენილი წმიდა სახის დუალისტური სახელმწიფოები პრაქტიკულად არ არსებობენ. მასთან ახლოს მდგომ სახელმწიფოებად ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ მაროკო, ტაილანდი, მალაიზია. კონსტიტუციური ცვლილებებით გაუქმებული იქნა დუალისტური მონარქიები ნეპალსა(1980 წ) და იორდანიაში(1991 წ) და ისინი საპარლამენტო მონარქიებად გადაკეთდნენ, თუმცა მიუხედავად ამისა ნეპალი და იორდანია სამართლებრივი საფუძვლებით ფაქტობრივად დუალისტურ მონარქიებად რჩებიან, იორდანის კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი, მაგრამ პარლამენტის ყველა აქტი, მათ შორის მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის (მთავრობის პოლიტიკური ხაზის არ მოწონება პარლამენტის მიერ) გამოცხადება, მეფის მიერ უნდა იყოს დადასტურებული. მაროკოში კი იორდანისაგან განსხვავებით, მთავრობის უნდობლობის ვოტუმი არ საჭიროებს მეფისაგან მოწონებას, მაგრამ მთავრობა პარლამენტთან ერთად პასუხისმგებელია მონარქის წინაშეც.

საპარლამენტო მონარქია კონსტიტუციური მონარქიის უფრო პროგრესული სახეა, ხელისუფლების დაყოფის უფრო მაღალი და განვითარებული საფეხურია დუალისტურ მონარქიასთან მიმართებაში.

მონარქი საპარლამენტო მონარქიის პირობებში, „მეფობს, მაგრამ ვერ მართავს“. პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე შეფარდებითი ვეტოს დადების უფლებას იყენებს მთავრობის მითითებით. რიგ საპარლამენტო მონარქიებში (ნორვეგია, შვეიცარია, იაპონია) მონარქს არც აქვს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს უფლება.

მართალია მონარქის უფლებები გაცილებით უფრო შეზღუდულია კონსტიტუციით, რომლის შეცვლის უფლებაც მონარქს არ აქვს, სამაგიეროდ გაზრდილია პარლამენტისა და მთავრობის უფლებები. პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ხელისუფლება, უფრო მაღალ საფეხურზეა, ვიდრე საკანონმდებლო ხელისუფლება. პარლამენტის ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ მთავრობა, რომელსაც ჩვეულებრივ, მონარქი ნიშნავს, უნდა იმსახურებდეს პარლამენტის ნდობას. თუ პარლამენტის უმრავლესობა უნდობლობას უცხადებს მთავრობას, იგი უნდა გადადგეს. მთავრობის მეთაური იმ პარტიის ლიდერია, რომელსაც პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს. იმ შემთხვევაში თუ ვერცერთმა პარტიამ, პარტიათა კოალიციამ ვერ მოახერხა მთავრობის შექმნა, მონარქს შეუძლია თვითონ დანიშნოს პრემიერ-მინისტრი. თუმცა იმ ქვეყნებში სადაც მონარქს არ აქვს ვეტოს დადების უფლება, იგი ფაქტიურად დამოუკიდებლად ვერ მოქმედებს და მის მიერ მიღებულ აქტებს ამზადებს მთავრობა. ეს აქტები იურიდიულ ძალას იძენენ იმ შემთხვევაში, თუ პრემიერ-მინისტრის თუ რომელიმე სხვა მინისტრის მიერ იქნება „ გამაგრებული“. შესაბამისად ეს უკანასკნელნი კისრულობენ როგორც პოლიტიკურ, ასევე იურიდიულ პასუხისმგებლობას მონარქის მიერ გამოცემულ აქტებზე, ვინაიდან მონარქი არ შეიძლება ცდებოდეს, აღნიშნულ წესს, კონტრასიგნაციას უწოდებენ. იგი ფაქტიურად მეფის ხელისუფლების შეზღუდვის ეფექტური საშუალებაა. ის მე-17 საუკუნის დასაწყისში ინგლისში იქნა შემოღებული.

თანამედროვე მსოფლიოში მონარქიული სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა საპარლამენტო მონარქიის სახით არსებობს (დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ესპანეთი, შოლანდია, ნორვეგია, იაპონია და ა.შ).

საპარლამენტო მონარქიასაც ახასიათებს ნაირსახეობა, მაგალითად, ტაილანდის პარლამენტში დიდ როლს თამაშობენ სამხედროები, მათ მინიჭებული აქვთ მნიშვნელოვანი უფლებები, ფაქტობრივად ისინი მართავენ ქვეყანას, იყენებენ მონარქის სახელსაც კი, რის გამოც ასეთ მმართველობას მილიტარისტულ-საპარლამენტო მონარქიას უწოდებენ. ასევე მის ნაირსახეობას წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნები, როლებშიც დიდი ბრიტანეთის მონარქის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი მეთაურობს, ასეთ მართვა-გამგეობას გაშუალებულ საპარლამენტო მონარქიასაც უწოდებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მონარქი საპარლამენტო მონარქიებში შვებულაა, იგი მხოლოდ დეკორაციული ფიგურა როდია. იგი წარმართავს მთავრობის საქმიანობას პრემიერ-მინისტრთან ერთად. პირდაპირ ერევა მთავრობის ფორმირების პროცესში და მისი პოლიტიკის გასაზღვრაში, ხელს აწერს საკანონმდებლო აქტებს (დანია, ბელგია, შოლანდია). დიდ ბრიტანეთში მონარქს მისი უფლებრივი არსენალი საშუალებას აძლევს აქტიურად ჩაერიოს სახელმწიფოს მართვის პროცესში, მას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და გამოიყენოს ვეტოს უფლება. აქ მონარქი ქვეყნის ეკლესიის მეთაურისა და შეიარაღებული ძალების მთავრსარდალიც, მას შეუძლია ომის გამოცხადება და ზავის დადება, ხელშეკრულების რატიფიკაცია (სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ ამ სახელმწიფოს სახელით დადებული მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება) და დენონსაცია (სახელმწიფოს განცხადება ორმხვირივი საერთაშორისო ხელშეკრულების შეწყვეტასა ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გასვლის თაობაზე), ლორდთა პალატის წევრთა და დიპლომატიური წარმომადგენლების, არმიისა და ფლოტის გენერალიტეტის დანიშვნა და სხვა.

საპარლამენტო მონარქიული მმართველობა ასე ვთქვათ, „კლასიკური ფორმით“ მოქმედებს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. სახელმწიფო მექანიზმი ასეთ ქვეყნებში ეყრდნობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს პარლამენტის უმრავლესობის აღიარებით, ფუნქციონირებს დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი.

ასევე საიტერესოა კონტრასიგნატურთან ერთად კონტიტუციური მონარქიის ერთ-ერთი მახასიათებლის ინსტიტუტის მნიშვნელობა, რომელიც „ცივილიზირი ფურცლის“ სახელით არის ცნობილი. იგი მონარქიის შესანახად დანესებული ყოველწლიური თანხის ოდენობას აღნიშნავს. ცივილური ფურცლით გათვალისწინებული თანხის რაოდენობა, ყოველი ახალი მონარქის კურთხევისას კანონით ხელახლა დგინდება.

ჩვენ კიდევ ერთხელ განხილოთ მონარქიული მართვა-გამგეობის შემდეგი ღირსებები:

1) მონარქი ერის და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა, სიმბოლო, რომელიც არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ცვლილებებზე და სახელმწიფოს სიმტკიცის

გამოხატულებაა, ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სეპარატისტული და ცენტრიდანული ტენდენციების თავიდან ასაცილებლად

- 2) მონარქი დგას პოლიტიკურ და პარტიულ უთანხმოებაზე მაღლა
- 3) მონარქიული მართვა-გამგეობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსის მემკვიდრეობითობას
- 4) მონარქიული მართვა-გამგეობის შემთხვევაში შესაძლებელია სახელმწიფოს მომავალი მეთაურის მიზანმიმართული მომზადება სახელმწიფოს მართვისათვის
- 5) მონარქის უვადო უფლებამოსილება და ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემა „აიძულებს“ მონარქს იფიქროს ქვეყნის განვითარების ხანგრძლივ პერსპექტივაზე

ასევე მონარქიულ მართვა-გამგეობას აქვს ნაკლოვანებებიც კერძოდ:

- 1) მონარქის გონებრივი თუ ფსიქიკური არასრულყოფილების შემთხვევაში ძალზე ძნელია სახელმწიფო მეთაურის პოსტზე მისი შეცვლის განხორციელება
- 2) ერთპიროვნული მმართველობის პირობებში ძალიან დიდია ხელისუფლების უზურპაციის ალბათობა
- 3) მონარქის იურიდიული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ფაქტობრივად, მის ხელისუფლებას უკონტროლოს ხდის
- 4) დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული მონარქის შენახვა (ცნობისთვის დიდი ბრიტანეთის მონარქია ქვეყანას მიმდინარე წელს 36,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი, დაახლოებით 53,7 დოლარი უჯდება, რაც ბრიტანეთის ყოველ მცხოვრებზე 60 პენსს შეადგენს)
- 5) თანამდროვე ქვეყნების უმრავლესობამ ისტორიული ევოლუციის პროცესში უარი თქვა მმართველობის მონარქიულ ფორმაზე.

I.II. რესპუბლიკური მმართველობის ფორმები

სიტყვა „რესპუბლიკა“ მომდინარეობს ლათინური ენიდან და ქართულად საზოგადოებრივ საქმეს ნიშნავს, იგი მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს ხალხის მიერ გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო (პარლამენტი, კონგრესი, უმაღლესი საბჭო და სხვა) ან ამომრჩევლებისგან თუ წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არჩეული სახელმწიფოს მეთაური-პრეზიდენტი. რესპუბლიკის დროს სახელმწიფო მმართველობა მონარქიისგან განსხვავებით კოლექტიურ ხასიათს ატარებს, ამგვარი მმართველობის დროს გადანაცვებების მიღება ხდება ჩვეულებრივი წინასწარ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად კენჭრისყრის გზით, იგი მიღებულად ჩაითვლება თუ მას მხარი დაუჭირა კანონით დადგენილმა უმრავლესობამ.

მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა (140ზე მეტი) რესპუბლიკური მართვა-გამგეობის ფორმას მისდევს, რომელიც დემოკრატიული ფორმის მმართველობაა იმ გაგებით, რომ ხელისუფლების ყველა შტო, მისი ყველა უმაღლესი ორგანო ხალხის მიერაა არჩეული და მოქალაქეებს აქვთ პირადი და პოლიტიკური უფლებები.

რესპუბლიკური მმართველობა გულისხმობს საზოგადოების მონაწილეობას ხელისუფლებაში, ამიტომ რესპუბლიკა შეუძლებელია ჩამოყალიბდეს იქ, სადაც საზოგადოება ყოველ შემთხვევაში მისი მნიშვნელოვანი ნაწილი არაა პოლიტიკურად მომწიფებული, არ აქვს ათვისებული და გამომუშავებული სახელმწიფოს ბედის პოლიტიკისადმი პასუხისმგებლობის გრძობა.

რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი აძლევს მანდატს ხელისუფლებას მართოს საზოგადოება სახელმწიფოს საერთო კეთილდღეობის მიღწევისათვის, ესეიგი რესპუბლიკური მმართველობა წარმომადგენლობითი ხასიათისაა, რაც დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი ოპტიმალური სახეა, ალბათ სწორედ ამიტომ შეჩერდნენ ამერიკელი „დამფუძნებლები“ რესპუბლიკაზე როგორც წარმომადგენლობით დემოკრატიაზე, მათ შორის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ჯეიმს მედისონი რესპუბლიკას განსაზღვრავდა როგორც „ქვეყანას, რომელშიც კანონებს ქმნიან და აღასრულებენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები“. რესპუბლიკაში მთელ უფლებამოსილებას ხალხი გადასცემს

ხელისუფლებას. წარმომადგენლები, რომლებიც ხელისუფლებას განაგებენ ასრულებენ თავიანთ სამუშაოს დათქმული დროის მანძილზე ან არაკეთილსინდისიერი საქციელის ჩადენამდე.

რესპუბლიკური მართვა-გამგეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. სახელმწიფოს მეთაურისა და სხვა უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების არჩევითობა
2. სახელმწიფოს მეთაურის და სხვა სახელმწიფო ორგანოების შეზღუდვა გარკვეული ვადით
3. სახელმწიფო მეთაურის პასუხისმგებლობა, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, განსაკუთრებული ფორმით
4. სახელმწიფო ხელისუფლების ერადერთ წყაროდ ხალხის გამოცხადება.

საინტერესოა რესპუბლიკისა და დემოკრატიის ურთიერთდამოკიდებულება, რადგანაც ეს ერთიდაიგივე ცნება არ არის, ინგლისი არა არის რესპუბლიკა, მაგრამ არის დემოკრატიული სახელმწიფო, იგივე შეიძლება ვუწოდოთ სხვა სახელმწიფოს, რომელიც რესპუბლიური მმართველობისაა მაგრამ საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან. როგორც ვიცით რესპუბლიკა არის სახელმწიფო წყობის ფორმა და ის გამოხატავს ხალხის ნებას, იგი არის სახელმწიფოს ფორმა ხოლო დემოკრატია კი სახელმწიფოს მოქმედების სახე. ასევე ადგილი აქვს ხალხთა მოტყუების მიზნის რესპუბლიკის გამოცხადებას მაგრამ სინამდვილეში ამ სახელმწიფოს რესპუბლიკასთან საერთო არ აქვს, ამგვარი საქმე შეიძლება ჰქონდეს ნამდვილ და ფალსიფიცირებულ რესპუბლიკასთან. მარტივად შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ამერიკის შეერთებული შტატები იტალია, საფრანგეთი, ჩრდილოეთ კორეასა თუ რუსეთს, სადაც ფაქტობრივად არ ტარდება არჩევნები. როგორც უკვე აღვნიშნეთ დემოკრატიული წყობა შეიძლება ჰქონდეს რესპუბლიკას და რესპუბლიკა ყოველთვის უნდა იყოს დაფუძნებული დემოკრატიის პრინციპებზე ისევე როგორც კონსტიტუციური მონარქიის შემთხვევაში.

პრეზიდენტის არჩევა რესპუბლიკური მართვა გამგეობის მქონე ქვეყნებში სხვადასხვანაირად ხორციელდება: მას ან საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეები ირჩევენ (რუსეთი, ბრაზილია) ან ამომრჩეველთა განსაკუთრებული კოლეგია

(გერმანია, იტალია, აშშ,) ან პარლამენტი (თურქეთი, ისრაელი და სხვა) პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ნებისმიერი მოქალაქე რომელიც აკმაყოფილებს მოცემული ქვეყნის კონსტიტუციისა თუ საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნებს, ეს მოთხოვნები ძირითადად ეხება დაბადებით მოქალაქეობას, ასაკს, მინიმალურ ასაკს ძირითად მიჩნეულია 35 წელი, ზოგან 45-50 წელიც. ნამიბიაში განსაზღვრულია მაქსიმალური ასაკიც 65 წელი. პრეზიდენტი გარკვეული ვადით ირჩევა ეს ვადა სხვადასხვა ქვეყნებში მერყეობს სამიდან შვიდ წლამდე.

კიდევ ერთხელ განვიხილოთ რესპუბლიკური მმართველობის თავისებურებანი კერძოდ: სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები აირჩევა უშუალოდ ხალხის მიერ ან იქმნება ხალხის მიერ არჩეული ორგანოს საშუალებით;

წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა განისაზღვრება გარკვეული ვადით; სახელმწიფოს მეთაური კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში იურიდიულად პასუხისმგებელია; ხელისუფლების წყაროა ხალხი.

რესპუბლიკური მმართველობა შეიძლება იყო უშუალოდ იქ, სადაც ძირითადი გადაწყვეტილებები მიიღება რეფერენდუმის გზით უშუალოდ მოსახლეობის მიერ და წარმომადგენლობითი, რომელიც იყოფა საპრეზიდენტო საპარლამენტო და შერეულ ფორმებად.

საპრეზიდენტო რესპუბლიკა-მმართველობის ამ ფორმას ამერიკულსაც უწოდებენ ვინაიდან მისი კლასიკური მოდელი სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნა შემოღებული და დღეისთვის ამ კონტინენტზე გავრცელებული, ამ ფორმის ძირითად ღირსებად მისი დამფუძნებლები მის სახალხო ფესვებს, აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალ სტაბილურობასა და სახელმწიფოს უფრო მაღალ ქმედუნარიანბას მიიჩნევდნენ, ამ მიზნების მიღწევას ემსახურება ყველა ის ნიშან თვისება, რომელიც მმართველობის ამ ფორმისთვისაა დამახასიათებელი, კერძოდ პრეზიდენტის წამყვანი როლი სახელმწიფო მექანიზმში, ამ როლის შესაბამისად პრეზიდენტი ერთდროულად წარმოადგენს სახელმწიფოს მეთაურს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. შესაბამისად საპრეზიდენტო რესპუბლიკის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური პასუხისმგებლობის არსებობა პარლამენტის წინაშე. ამ პრინციპიდან გამომდინარე

მთავრობის საქმიანობაში აუცილებლობას არ წარმოადგენს პარლამენტის მიერ პოლიტიკური ნდობის გამოცხადება, პარლამენტი არ არის უფლებამოსილი თანამდებობიდან გადააყენოს მთავრობის წევრი, ამის შესაძლებლობა პარლამენტს ეძლევა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იმპიჩმენტის პროცედურის გამოყენებით, სხვა შემთხვევაში მთავრობის წევრებს მინისტრებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პრეზიდენტი, პარლამენტს თავის მხრივ შესაძლებლობა აქვს დააყენოს საკითხი პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მოქმედებს პრეზიდენტის არჩევისა და ფორმირების არასაპარლამენტო წესი, რომლის შესაბამისად პრეზიდენტი აირჩევა ქვეყნის მოსახლეობის მიერ საყოველთაო სახალხო არჩევნების გზით, ხოლო მთავრობას ქმნის პრეზიდენტი ხშირად პარლამენტის თანხმობით.

საპარლამენტო რესპუბლიკის დროს ხდება ხელისუფლების მკაცრი გამიჯვნა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებად, კანონშემოქმედებით საქმიანობას ეწევა პარლამენტი, ქვეყანას მართავს პრეზიდენტი მის დაქვემდებარებაში მყოფი მინისტრების მეშვეობით, იგი განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკას, ზოგ ქვეყნებში მინისტრები ქმნიან მინისტრთა საბჭოს პრემიერ მინისტრის ხელმძღვანელობით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ფაქტობრივად ხშირად იურიდიულადაც ქვეყანას მართავს პრეზიდენტი. შესაძლებელია არსებობდეს მინისტრთა კაბინეტი რომელიც პრეზიდენტის სათათბრო ორგანოა (აშშ). პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს თავისი შეხედულებით ნიშნავს პრეზიდენტი, მაგრამ პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს ისინი, მინისტრები პასუხს აგებენ პრემიერის წინაშე, პარლამენტი ვერ ათავისუფლებს მათ უნდობლობის ვოტუმით. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში ქვეყანას მართავს ის პარტია რომელმაც გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს ფართო უფლებანი აქვს: აცხადებს საგანგებო მდგომარეობას; ამტკიცებს კანონებს ხელმოწერით; თავმჯდომარეობს მთავრობის სხდომებს და სხვა. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს არ აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება მას შეუძლია გამოიყენოს შეყოვნებითი (შეთარღებითი, სუსპენსიური) ვეტო (სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს თუ თანამდებობის პირის აქტი, რომელიც აჩერებს ან აყოვნებს კანონის ძალაში შესვლას) პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე

რომლის გადასალახად აუცილებელია პარლამენტის აბსოლუტური უმრავლესობა. ასევე უნდა აღინიშნოს რომ პარლამენტი თავის მხრივ ახდენს პრეზიდენტის იერ დადებული შეთახმებებისა და ხელშეკრულებების რატიფიკაციას.

ყოველი აღნიშნულიდან ნათლად ჩანს რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკა ქმნის ხელისუფლების დანაწილების პრინციპისა და მის ფარგლებში ურთიერთგაწონ-ასწორებისა და კონტროლის სისტემის გამოყენების საუკეთესო პირობებს, მმართველობის ეს ფორმა საშუალებას იძლევა ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებათა დამოუკიდებელი და ამასთან კოორდინირებული მოქმედებისათვის.

უპირველესად აღსანიშნავია პრეზიდენტის სახალხო პირდაპირი (მექსიკის შეერთებული შტატები) და ირიბი (აშშ) არჩევნები, რაც მის მაღალ ლეგიტიმურობასა და უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა შორის განსაკუთრებულ ადგილს უზრუნველყოფს. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში ხელისუფლების განშტოებათა სისტემა და ურთიერთდამოკიდება განისაზღვრება ხელისუფლების ხისტი დანაწილების პრინციპის საფუძველზე და იმავდროულად მოქმედებს ბალანსების ურთიერთშეკავების სისტემა, რომელიც მოწოდებულია გამორიცხოს რომელიმე განშტოების მისთვის დადგენილი ფარგლებიდან გასვლა. აშშ-ში პრეზიდენტს პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია კონგრესის წინაშე, რომელსაც უფლება აქვს „სახელმწიფო ღალატისათვის, მექრთმობისათვის, სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულისათვის“ თანამდებობიდან გადააყენოს იგი იმპიჩმენტის (მაღალი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების განსაკუთრებული წესი) საფუძველზე.

სასამართლო ხელისუფლება აკონტროლებს როგორც პრეზიდენტის ასევე პარლამენტის აქტების კონსტიტუციურობას. თანამედროვე მსოფლიოში რესპუბლიკების უმრავლესობა საპრეზიდენტოა (აშშ, ბრაზილია, მექსიკა, ფილიპინები და სხვა) საპრეზიდენტო რესპუბლიკას ახასიათებს პრეზიდენტის ავტორიტეტის გააბსოლუტურების ტენდენცია, რაც ამახინჯებს საპრეზიდენტო რესპუბლიკის არსს და ვლდებულობს „სუპერსაპრეზიდენტო“ და „საპრეზიდენტო მონოკრატიულ“ რესპუბლიკებს. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა ისეთი რესპუბლიკაა სადაც პარლამენტი პრეზიდენტის კონტროლს ექვემდებარება, თითქმის მთელი რეალური ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია და ეს უკანასკნელი მოკლებულია პარლამენტისა

და სასამართლოს ორგანოების მხრიდან კონტროლს ანუ იურიდიულად და ფაქტობრივადაც პრეზიდენტი ნახევრად დიქტატორული ხელისუფლებითაა აღჭურვილი, იგი არის მთავრობის მეთაურის და მმართველი პარტიის მეთაურის, სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკაში ფაქტურად არ არსებობს პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების კონსტიტუციური მექანიზმი.

“სუპერსაპრეზიდენტო,, მმართველობით ხასიათდება ლათინური ამერიკის ქვეყნები რაც მათი არასტაბილური პოლიტიკური ცხოვრებითაც იყო ნაკარნახევი, ცნობილია რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში სხვადასხვა მონაცემებით შვიდასამდე სამხედრო გადატრიალება ან გადატრიალების მცდელობა განხორციელდა .უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში ამ ქვეყნებში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა, გაცილებით სტაბილური გახდა პოლიტიკური ვითარება. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკებში კონსტიტუციები ხშირად პრეზიდენტის სასარგებლოდ განამტკიცებენ ისეთ შეუზღუდავ უფლებამოსილებებს როგორცაა: პარლამენტის დათხოვნის უფლება; პრეზიდენტის შეხედულებისამებრ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების უფლება; კანონის ძალის მქონე დეკრეტების გამოცემის უფლება; ერთპიროვნულად ადგილობრივი ადმინისტრაციის ხელმძღვანელების, მოსამართლეების დანიშვნისა და გადაყენების უფლება და ასე შემდეგ. სპეციალისტები სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკად თვლიან ირანს სირიას და სხვა.

მმართველობის ამათუიშ სახის დანერგვა შემთხვევითი მოვლენა არ არის. მისი არჩევა განპირობებულია სახელმწიფო ხელისუფლების მაქსიმალური სტაბილურობის მიღწევის მიზნით, ამასთან მმართველობის ფორმის არჩევას განაპირობებს მთელი რიგი ფაქტორები: სახელმწიფოში არსებული ტრადიციები, კონკრეტული პოლიტიკური ვითარება, პოლიტიკურ ძალთა რეალური თანაფარდობა საზოგადოებაში და ა.შ.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტიტუციური კანონიერების დაცვის პირობებში საპრეზიდენტო რესპუბლიკაში მთავრობა უფრო სტაბილური ხოლო პარლამენტსა და სასამართლოს უფრო დიდი და რეალური უფლებამოსილებები გააჩნია ვიდრე საპარლამენტო მმართველობის სისტემაში, აქვე უნდა აღინიშნოს რომ კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი შედარებით ადვილად

დეფორმირებადია, რისი მრავალი მაგალითია ამ სისტემის საფუძველზე აღმოცენებული მონოკრატიული რესპუბლიკები.

მიუხედავად იმისა რომ რესპუბლიკური მართვა გამგეობა თავისი არსით დემოკრატიულ სახელმწიფოს გულისხმობს არსებობს გამონაკლისებიც ტოტალიტარული სისტემის მქონე რესპუბლიკური სახელმწიფოები რომლებიც მონარქიული მართველობის ფორმის ნიშნებს ატარებენ ჰყავთ უცვლელი სახელმწიფო მეთაური როგორც ასეთ საპრეზიდენტო რესპუბლიკებს საპრეზიდენტო-მონოკრატიულ რესპუბლიკებს უწოდებენ განსხვავებით სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკებისგან სადაც კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის პერიოდულ არჩევნებს. ასეთი მმართველობის დროს გაბატონებულია ერთპარტიული სისტემა და კონსტიტუცია ადგენს სიცოცხლის განმავლობაში სახელმწიფოს ან პრეზიდენტი ხელმძღვანელის თანამდებობას. როგორც ჩანს ამგვარ მმართველობას საფუძველი ჩაეყარა ინდონეზიაში პრეზიდენტ სუკარუს დროს, რომელმაც თავი უცვლელ პრეზიდენტად გამოაცხადა. მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა იუგოსლავიაშიც, სადაც 1963 წლის კონსტიტუციის მიხედვით იუგოსლავიის პირველი პრეზიდენტი ბროზ ტიტო გადარჩევას არ ექვემდებარებოდა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტებად „იკურთხეს“ თავი ფილიპინების, მალავის, უგანდის, ტუნისისა და სხვა პრეზიდენტებმა, ყველა მათგანი შეიარაღებული აჯანყებების გზით იქნენ გადაყენებულნი გარდა ტუნისის პრეზიდენტისა რომელიც სამედიცინო დასკვნის საფუძველზე კონსტიტუციური გზით შეიცვალა. კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში კიმ ირ სენმა ასევე უცვლელ პრეზიდენტად გამოაცხადა თავი და სიცოცხლეშივე დანიშნა შვილი საკუთარ მემდკვიდრე.

აქვე თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საზოგადოების სირთულეს და შესაბამისად საზოგადოების, სახელმწიფოს სოციალური მართვის გართულებას დადებით მხარეებთან ერთად საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკების ნაკლოვან მხარეებსაც მაშინ ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ მმართველობის განსხვავებული ახალი ფორმების ძიება და არსებობა, რომლის მაგალითს წარმოადგენს შერეული მმართველობის ფორმის სახელმწიფოები.

საპარლამენტო რესპუბლიკა-რესპუბლიური მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს პარლამენტი ასრულებს.

საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელია პარლამენტის უმაღლესობა ხელისუფლების სისტემაში. ეს უმაღლესობა გამოხატულებას პოულობს საპარლამენტო რესპუბლიკის ისეთ მთავარ თავისებურებებში, როგორცაა მთავრობის ფორმირების საპარლამენტო წესი და მის წინაშე მთავრობის პოლიტიკური პასუხისმგებლობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის პასუხისმგებლობა სოლიდარული ხასიათისაა, რადგანაც მთავრობის ერთი წევრისადმი, განსაკუთრებით მისი თავჯდომარისადმი, უნდობლობა მთელი მთავრობის გადადგომას იწვევს.

პარლამენტი, საპარლამენტო რესპუბლიკაში, საკანონმდებლო, საბიუჯეტო და მთავრობის საქმიანობაზე კონტროლთან ერთად, ფართო უფლებამოსილებებს ფლობს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ჩამოყალიბების საქმეში. იგი კანონების მიღებასთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობისა და სახელმწიფოს მმართველობის სხვა ორგანოების ფორმირებაზე. მთავრობის შემადგენლობა განისაზღვრება საპარლამენტო უმრავლესობით. თუ საპარლამენტო რესპუბლიკას არ ჰყავს პრეზიდენტი, მაშინ პარლამენტი თვითონ ამტკიცებს მთავრობის თავჯდომარეს და მთავრობის თავჯდომარის წარდგინებით მთავრობის სრულ შემადგენლობას, ან ამტკიცებს მთავრობის თავჯდომარეს, რომელიც თვითონ აყალიბებს მთავრობას, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საპარლამენტო რესპუბლიკას ჰყავს პრეზიდენტი, მაშინ პრეზიდენტი ამტკიცებს მთავრობის თავჯდომარეს, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური აქტია, რადგან მთავრობის თავჯდომარის კანდიდატურა საპარლამენტო უმრავლესობისაგან მომდინარეობს.

საპარლამენტო რესპუბლიკა უფრო მეტად გავრცელებულია ევროპის განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოებში (ავსტრია, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი).

საპრეზიდენტო რესპუბლიკისაგან საპრეზიდენტო ძირითადად მთავრობის ფორმირებისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის წესითა და უმაღლეს ორგანოთა

სისტემური ურთიერთაკავშირის ხასიათით განსხვავდება. საპარლამენტო რესპუბლიკაში ფორმალურად პარლამენტის პირველადობა, უზენაესობა არის დეკლარირებული. ასევე მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტის მიერ და პარლამენტის საფუძველზე (ამ სისტემაში მთავრობის ფორმალურ ხელმძღვანელს „ადმინისტრაციულ პრემიერს“ უწოდებენ). ასევე პარლამენტს შეუძლია უნდობლობის გამოცხადებით ან ნდობის გამოცხადებაზე უარის თქმით გადააყენოს მთავრობა და პრეზიდენტი მოახდენს ამ ფაქტის კონსტატაციას.

მთავრობის ფორმირება ხდება იმ პარტიათა მიერ, რომლებმაც არჩევნების შედეგად მანდატების უმრავლესობა მოიპოვეს პარლამენტში. მმართველობის ასეთი ფორმის დროს არსებობს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რომელსაც ირჩევს ან ნიშნავს პარლამენტი.

საპარლამენტო რესპუბლიკაში სახელმწიფოს მეთაური- პრეზიდენტი, ან საყოველთაო წესით არჩეული პარლამენტის მიერ აირჩევა ან საპარლამენტო საფუძველზე შექმნილი კოლეგიის მიერ. აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურობის შედარებით დაბალი ხარისხის გამო, პრეზიდენტი ვერ ახდენს რაიმე რეალურ ზეგავლენას სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაზე. თითქმის ყოველი მისი ძალაუფლებრივი მოქმედება უნდა იყოს შეთანხმებული მთავრობასთან, ყოველი მისი ნორმატიული აქტი ძალაში შედის მხოლოდ პრემიერ-მინისტრის ან/და შესაბამისი მინისტრის კონტრასიგნების შემდეგ.

მიუხედავად იმის, რომ პრეზიდენტი ფორმალურად ფართო უფლებამოსილებებითაა აღჭურვილი, მისი როლი მთავრობის ფორმირებაში ნომინალურია. პრეზიდენტის აქტები იურიდიულ ძალას, როგორც წესი იძენენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას დაეთანხმება პარლამენტი ან მთავრობა. პრეზიდენტის აღნიშნულ აქტებზე პასუხისმგებლობას ამ უკანაკნელთ ეკისრებათ.

გამომდინარე იქედან, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი, საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელში დასაშვებია, როგორც პარლამენტის დათხოვნა, ასევე მთავრობის გადაყენება. ეს არის სახელმწიფოს მეთაურის პრეზიდენტის, როგორც არბიტრის უფლებამოსილება, თუმცა რეალობაში (ზოგჯერ ფორმალურადაც) პარლამენტი მას შეუძლია დაითხოვოს მთავრობის წინადადებით და თანხმობით,

ხოლო მთავრობა გადააყენოს პარლამენტის შესაბამისი ქმედების შემდეგ. როგორც ზევით ავლინებთ მართალია სახელმწიფო მეთაურს ფართო უფლებამოსილებები აქვს, თუნდაც ისეთი, როგორცაა: პარლამენტის დათხოვნა, კანონის გამოქვეყნება, ბრძნებების გამოცემა, მთავრობის ხელმძღვანელის დანიშვნა, შეიარაღებულ ძალების მთავარსარდლად ყოფნა და ა. შ მიუხედავად ამისა საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის უფლებები მნიშვნელოვნად შესუსტებულია საპრეზიდენტო რესპუბლიკასთან შედარებით. სამაგალითოდ შეიძლება მოვიტანო ინდოეთი, სადაც 1949 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი შესწორებით, პრეზიდენტი ვალდებულია დაჰყვეს მთავრობის რჩევებს.

პრეზიდენტი საპარლამენტო რესპუბლიკაში, არ წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, იგი სახელმწიფოს მეთაურია. წმინდა საპარლამენტო რესპუბლიკები საკმაოდ ცოტაა. ასეთი მოდელი არსებობს გერმანიაში, იტალიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, ლატვიაში, სლოვაკეთში და სხვა.

საპარლამენტო რესპუბლიკისათვის არასასურველია განსახვავება (უფსკრული) უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ფორმალურ- იურიდიულ და ფაქტიურ მდგომარეობებს შორის, მდგომარეობა, სადაც პარლამენტი მუშაობს მთავრობის ყოველდღიური მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ.

საპარლამენტო რესპუბლიკის დროს მიუთითებენ ორი სახის სახელმწიფო რეჟიმზე: საპარლამენტოსა და მინისტერიალზე. მმართველობის შერეული ფორმები- დამახასიათებელია როგორც საპრეზიდენტო, ასევე საპარლამენტო მმართველობის ნიშნები. პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობას. ამასთან პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე, პრეზიდენტს აქვს უფლება ვადაზე ადრე დაითხოვოს პარლამენტი.

ცალკეული ქვეყნების განვითარებამ გამოავლინა მართველობის საპარლამენტო და საპრეზიდენტო ფორმების ნაკლოვანი მხარეები. საპარლამენტო რესპუბლიკაში მთავრობის შესაძლო ხშირი ცვლილებებით გამოწვეული არასტაბილურობის სახელმწიფო მართვის ნაკლები ეფექტურობის, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში შესაძლო მონოკრატული (ერთპიროვნული მმართველობითი) სისტემის დამყარების

საშიშროების გათვალისწინებით მთელ რიგ სახელმწიფოში გამოყენებულია რესპუბლიკური მმართველობის შერეული ფორმა.

როგორც აღვნიშნეთ მმართველობის შერეული ფორმის აუცილებლობა დაკავშირებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო ფორმების ნაკლოვან მხარეებთან, რომლებიც ზოგადად კონცენტრირებული სახით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ხელისუფლების მონოპოლიზაცია და ავტორიტარიზმისკენ გადახრა, გადახრა საპრეზიდენტო რესპუბლიკაში; ამ ტენდენციის შედეგად იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ სუპერპრეზიდენტზე, ზეპრეზიდენტზე;

2. მთავრობის არასტაბილურობის ზრდა საპრეზიდენტო რესპუბლიკაში.

თანამედროვე მსოფლიოში უფროდაუფრო ფეხს იკიდებს მმართველობის შერეული ფორმა, რომელიც აერთიანებს როგორც საპრეზიდენტო ისე საპარლამენტო რესპუბლიკის ღირსებებს. საპრეზიდენტო რესპუბლიკის დადებით მომენტად მიჩნეულია მთავრობის სტაბილურობა, ხოლო საპარლამენტო რესპუბლიკის დადებით მომენტად კი პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლი. შერეულ მართვა-გამგეობას ნახევრად საპარლამენტო, ნახევრად საპრეზიდენტო ან საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკებსაც უწოდებენ.

ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა პირველად შემოღებული იქნა საფრანგეთში 1958 წელს დეგოლის ინიციატივით, ამ რეფორმის მიზანი ქვეყანაში არსებული პარლამენტარიზმის ტრადიციების შენარჩუნებით პრეზიდენტის ხელისუფლების განმტკიცება იყო, სწორედ ამავე წელსვე მიღებული კონსტიტუციის თანახმად საყოველთაო წესით ამომრჩევლის მიერ არჩეულ რესპუბლიკის პრეზიდენტს ნომინალურად არბიტრის ფუნქცია დაეკისრა, ამასთან რათა უზრუნველყოს „სახელმწიფო ორგანოთა ნორმალური ფუნქციონირება“ იგი აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებებით, სახელმწიფო მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში (საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნიშანთვისებები).

სამართლებრივი თვალსაზრისით ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმი არის საპარლამენტო რეჟიმი ორმაგი აღმასრულებელი რგოლით, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით ნახევრად საპრეზიდენტო რეჟიმი ერთობ მოქნილი რეჟიმია, რადგან

მას შეუძლია იმოქმედოს პოლიტიკურ გარემოებათა შესაბამისად როგორც საპრეზიდენტო მაჟორიტარულმა რეჟიმმა.

შერეული (ნახევრად საპრეზიდენტო) მართვა-გამგეობა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. პრეზიდენტს ირჩევს უშუალოდ ამომრჩეველი, რითაც იგი პარლამენტისგან განსხვავებით დამოუკიდებლობას ინარჩუნებს;

2. ვიცე-პრემიერებს და მინისტრებს ნიშნავს პრეზიდენტი თავისი შეხედულებით პარტიული ძალების პარლამენტში განლაგების მიუხედავად. პრემიერ-მინისტრსაც ნიშნავს პრეზიდენტი (საფრანგეთი, ყაზახეთი), მაგრამ პარლამენტს აქვს უფლება უნდობლობა გამოუცხადოს პრეზიდენტს და შესაბამისად მთავრობას. ზოგ ქვეყანაში (უკრაინა) პრემიერ-მინისტრს ნიშნავს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით;

3. მთავრობა პასუხისმგებელია პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც შეუძლია თავისი შეხედულებით გაანთავისფულოს პრემიერ-მინისტრი, ცალკეული მინისტრები, ან დაითხოვოს მთელი მთავრობა;

4. მთავრობა პასუხისმგებელია ასევე პარლამენტის წინაშეც, პარლამენტს შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას;

5. პარლამენტის (ან მისი ქვედა პალატის) თანხმობაა აუცილებელი პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის დანიშნვაზე.

ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტი განსაკუთრებულ სტატუსს იძენს, იგი თითქმის გამოსულია ხელისუფლების დანაწილების ტრიალიდან და არ მიეკუთვნება მის არცერთ შტოს (საფრანგეთი, რუმინეთი და სხვ.) კონსტიტუციაში გატარებული იდეა პრეზიდენტის ხელისუფლების როგორც საარბიტრაჟო ხელისუფლების შესახებ.

საპარლამენტო და საპრეზიდენტო ნიშნების შეერთება მიზნად ისახავს სახელმწიფოს სტაბილურობის უზრუნველყოფას, სამთავრობო კრიზისების შემცირებას, უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების კოორდინირებულ საქმიანობას. მაგრამ აღნიშნული შეერთება ყოველთვის არ იძლევა ისეთი „ჰიბრიდის“ მიღების შესაძლებლობას, რომელიც მოხსნიდა ყველა აღნიშნულ პრობლემას. ამიტომ შერევის ფორმებიც სხვადასხვანაირია ყველა კონკრეტულ სახელმწიფოში, სწორედ ამ

თვალსაზრისით მმართველობის შერეული ფორმის შიგნით შეიძლება ცალკე გამოვყოთ ნახევრად საპრეზიდენტო და ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკა. იმავდროულად უნდა ითქვას ისიც, რომ მთავრობის არსებობა ფორმირება და ფუნქციონირება პარლამენტზეა დამოკიდებული, რომელსაც მთავრობის გადაყენება შეუძლია, რაც საპარლამენტო რესპუბლიკისთვისაა დამახასიათებელი. მმართველობის ამ შერეულ ფორმაში საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ელემენტებისა და პროცედურების წინა პლანზე წამოწევა როგორც წესი პარლამენტის პარტიულ შემადგენლობაზეა დამოკიდებული, თუ პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა (შესაბამისად მთავრობა) ერთ პოლიტიკურ სპექტრს წარმოადგენენ მმართველობა ნახევრად საპრეზიდენტოა, თუ განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს-მმართველობა ნახევრად საპარლამენტოა.

მმართველობის შერეული ფორმების არსებობის მთავარი მიზნებისათვის-თავი დაეღწიათ საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის ნაკლოვანებებისათვის, დღეისათვის მმართველობის არცერთ არატრადიციულ ფორმას არ მოუღწევია. რესპუბლიკური მმართველობის შერეული სისტემა ძალზედ მიმზიდველი აღმოჩნდა თითქმის ყველა პოსტკომუნისტური ქვეყნისათვის (პოლონეთი, ბულგარეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და ა.შ.), თუმცა ჩამოუყალიბებელი სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის მოსახლეობის არასაკმარისი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის გამო, კლასიკურმა ფრანგულმა სისტემამ ხშირ შემთხვევაში პრეზიდენტციალიზმისკენ გადახრილი დეფორმაცია განიცადა და როგორც ე.წ. სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა ფუნქციონირებს. ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მმართველობის ფორმის საკითხი, მიუხედავად მისი წარმოშობის სიძველისა თავისი პრაქტიკული, პოლიტიკური და სამართლებრივი მნიშვნელობით მეტად აქტიური საკითხია დღევანდელი საზოგადოებისთვის.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რიგ სახელმწიფოებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არატრადიციულმა ორგანიზაციამ აჩვენა რომ მმართველობის ფორმების კლასიკურ სქემებსა და კლასიფიკაციაში ვერ „ჯდება“ თანამედროვე სახელმწიფოთა ერთი ნაწილი, იქმნება ახალი არატრადიციული-ჰიბრიდული თუ შერეული მმართველობის ფორმები. ჰიბრიდული მმართველობა გულისხმობს

მონარქიული და რესპუბლიკური მმართველობის ნიშნების შერწყმას, ხოლო შერეული საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ნიშნების შერწყმას. მმართველობის ასეთი ფორმების შექმნა მკვლევართა აზრით ხშირ შემთხვევაში პოზიტიური მოვლენაა, ისინი ამდაგვარი მოდიფიკაციის შემდეგ მიზეზებზე მიუთითებენ:

1. სახელმწიფოს მართვისათვის მნიშვნელოვანია არამხოლოდ ხელისუფლების დანაწილება და შეკავება-განონასწორება, არამედ სახელმწიფოს ორგანოთა ურთიერთმოქმედებაც, რაც მმართველობის შერეული ფორმის პირობებში ძლიერდება. თუმცა ეს გაუმჯობესება მიმდონარეობს ან პარლამენტის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების შესუსტებით, ანაც მთავრობის ერთდროულად პარლამენტსა და პრეზიდენტზე დაქვემდებარებით;

2. მმართველობის „წმინდა“ ფორმებს ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, საპრეზიდენტო რესპუბლიკას აქვს ტენდენცია ავტორიტარიზმისაკენ, სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკისაკენ ხოლო საპრეზიდენტო რესპუბლიკა ხასიათდება მთავრობის არასტაბილურობით, ხშირი სამთავრობო კრიზისებითა და გადადგომებით, თუმცა ამგვარი რამ მხოლოდ საპარლამენტო რესპუბლიკაში როდი ხდება, მაგალითად რუსეთში 1998-99 წწ. თვრამეტი თვის განმავლობაში ექვსი პრემიერ-მინისტრი შეიცვალა, ამგვარი ნაკლოვანებების „შესავსებად“ იქმნება შერეული ტიპის მმართველობები;

3. პროგრესული პოლიტიკურ-იურიდიული იდეებისა და ინსტიტუტების გატარება-გავრცელებამ ხელი შეუწყო არატრადიციული მმართველობის ფორმის ჩამოყალიბებას. ასეთი იდეების გავრცელების შედეგად ქუვეითთში, ბაჰრეინში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, საუდის არაბეთში მიღებულ იქნა კონსტიტუციები. ცხადია, ჯერჯერობით ნაადრევია სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმის კლასიფიკაციაში არატიპური მმართველობის ფორმის შეტანა მაგრამ ჩვენ რომ მოხშირებულად გვესმის ისეთი არატრადიციული ტერმინები როგორცაა-„მონარქიული რესპუბლიკა“, „რესპუბლიკური მონარქია“, „ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა“, „ნახევრად საპარლამენტო რესპუბლიკა“, „საპრეზიდენტო-საპარლამენტო რესპუბლიკა“, „საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკა“ და სხვა. ეს ფაქტია, მათი დამკვიდრება კი მომავლის საქმეა.

თუ ადრე „გლობალიზაცია“ წმინდა ეკონომიკური ტერმინი გახლდათ დღეისათვის იგი პოლიტიკაში შეიჭრა და სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილი არასახელმწიფოებრივი და ზესახელმწიფოებრივი სუბიექტების ხელში გადავიდა, რაც სახელმწიფოს სუბსახელმწიფოებრივი, სუპრასახელმწიფოებრივი, საბაზრო და სამოქალაქო საზოგადოებრივ მმართველობაში გამოიხატა. სუბსახელმწიფოებრივ (ქვესახელმწიფოებრივ) მმართველობაში გულისხმობენ სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეულების (შტატი, რეგიონი,პ როვინცია, ქალაქი და სხვა) უშუალო, ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით დამყარებულ კავშირებს სხვა ქვეყნებთან ან მის სუბსახელმწიფოებრივ ელემენტებთან (ევროპაში 17 ქვეყნის 50-ზე მეტი რეგიონული მთავრობა უშუალო კავშირშია ერთმანეთთან, ევროპის რეგიონთან ასამბლეის მეშვეობით). ფაქტობრივად ეს კავშირები გარკვეულად მართავს შესაბამის სახელმწიფოებრივ ერთეულს.

სუპრასახელმწიფოებრივი (ზესახელმწიფოებრივი) მმართველობა გულისხმობს იმ საერთაშორისო თუ რეგიონალური ორგანიზაციების მმართველობას რომელთა წევრსაც მოცემული სახელმწიფო წარმოადგენს. როგორც ზევით ვისაუბრეთ ჰიბრიდული და შერეული მმართველობის ფორმები ხშირ შემთხვევებში დადებითი მოვლენაა და იწვევს სახელმწიფოს მმართველობის ეფექტურობის ამაღლებას, მაგრამ შერეული მმართველობის ფორმის მქონე სახელმწიფოთა სახელმწიფო აღმშენებლობითი პრაქტიკდიან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, მმართველობის შერეული ფორმა ყოველთვის ვერ ახერხებს მმართველობის კლასიკური ფორმებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების აღმოფხვრას, უფრო მეტიც, ზოგჯერ განსაკუთრებით მაშინ როცა რესუბლიკური მმართველობა იძენს მონარქიული მმართველობის თვისებებს და წარმოიქმნება ე.წ. „მონარქიული რესპუბლიკა“, ასეთ პროცესს ცალსახად უარყოფითი ხასიათი აქვს. მონარქიული ანუ მონოკრატიული რესპუბლიკა მმართველობის ისეთი ფორმაა რომლისთვისაც დამახასიათებელია სახელმწიფოს მეთაურის უფლებების არალეგიტიმურობა ან ნაკლები ლეგიტიმურობა. ასეთი შემთხვევები ხშირია სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ როცა ამათუიმ სახელმწიფოს დანიშნული თუ არჩეული პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი ხელში ჩაიგდბეს რა ხელისუფლებას უარს ამბობს ხელისუფლების დატოვებაზე, კონსტიტუციით

გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ანუ ახდენს ხელისუფლების უზურპაციას. მაგალითად მობუტუ ზაირში (მაშინდელი კონგო) „ შავი პოლკოვნიკები“ საბერძნეთში, პინოჩეტი ჩილეში და სხვა.

ამერიკული საპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე ორიენტირებული საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, მკვლევართა ერთი ნაწილი საქართველოს ევროპაში ერთადერთ საპრეზიდენტო რესპუბლიკად, ფაქტიურად კი სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკად მიიჩნევდა, მაგრამ 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური კანონის “საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ შესაბამისად საქართველო ამერიკული ტიპის საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან ფრანგული მოდელის შერეული მმართველობის რესპუბლიკის მოდელზე გადავიდა, რომელიც შეიცავს საპრეზიდენტო და საპარლამენტო რესპუბლიკის ნიშნებს. სპეცილისტთა აზრით ქართულ მოდელში აღმოცენებული შერეული რესპუბლიკა მკვეთრად პრეიდენციალიზმისაკენ გადახრილ მოდელს წარმოადგენს.

საბაზრო გლობალურ მმართველობაში გლობალისტები ბაზრის უდიდეს როლს გულისხმობენ და მიუთითებენ რომ სახელმწიფოს მიერ ამათუიმ გადანყვეტილების მიღება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოცემული სახელმწიფოს მიმართებაზე გლობალურ საფინანსო ბაზართან. რაც შეეხება გლობალური სამოქალაქო საზოგადოების მმართველობას იგი აღნიშნავს სახელმწიფოს მმართველობაში არასახელმწიფო, არასამთავრობო სექტორის მონაწილეობას. ცნობილია რომ თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება „მესამე სექტორს“- სამოქალაქო საზოგადოებას. (არასამთავრობო ორგანიზაციების როლის ზრდაზე მათი რაოდენობრივი ზრდაც მიუთითებს). თუ 1909 წლისათვის მსოფლიოში 171 არასამთავრობო ორგანიზაცია იყო 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის მათმა რიცხვმა 5500-ზე მეტი შეადგინა. გლობალიაციის პერიოდში აღმოცენებული მმართველობის აღნიშნული სახეები სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულ ნაწილს ისაკუთრებენ, რითაც ამცირებენ სახელმწიფო სუვერენიტეტის მნიშვნელობას. სახელმწიფო სუვერენიტეტის გადანაწილება გლობალიზაციის პირობებში შექმნილ საერთაშორისო თუ სხვა არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებთან, ანტიგლობალისტების აზრით,

საშიშროებას უქმნის ერი-სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს იდეას. მათი მოძრაობა სწორედ ამ იდეის დაცვისკენაა მიმართული.

II. პოლიტიკურ-ტერიტორიული მონაცემების ფორმები

სანამ, უშუალოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ-ტერიტორიული მონაცემს ფორმებს განვიხილავთ სასურველია ვიცოდეთ უშუალოდ რას ნიშნავს და რას მოიცავს სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცემი.

ცნება სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცემის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ორგანიზება, სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთობა. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთმიმართების სისტემა, რომელიც სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიული ერთეულების ხელუფლებებს შორის მოქმედებს.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად სახელმწიფო ტერიტორიის დაყოფის პრაქტიკა უძველესი დროიდან არის გავრცელებული. ანტიკური პერიოდიდან, სახელმწიფოთა მონარქები საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიას ყოფდნენ ტერიტორიულ ერთეულებად, სადაც სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებას მონარქის ხელისუფლებას უშუალოდ დაქვემდებარებული მმართველები უზრუნველყოფდნენ.

ჩვეულებრივ სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია ნაწილებად, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის გეოგრაფიულ საფუძველს. ამასთან, თითოეულ ტერიტორიულ ერთეულში, ერთიან სახელმწიფო ხელისუფლებასთან ერთად, შესაბამის ტერიტორიაზე მოქმედებს შესაბამისი ერთეული ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შეიძლება ჰქონდეთ ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა და სხვა. ასეთი ტერიტორიული ერთეულები სახელმწიფოს მსგავს წარმონაქმნებს წარმოადგენდნენ და გააჩნიათ

თვითმმართველობის მაღალი დონე. სხვა შემთხვევაში კი ქვეყნის მხოლოდ ისეთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენენ, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფოებრიობის რაიმე ნიშანი, ყველა ერთეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული სტატუსი და მათი ორგანოები წარმოადგენენ მთელი სახელმწიფო აპარატის სტრუქტურულ ნაწილს.

სახელმწიფოს დაყოფას ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, უპირველეს ყოვლისა საფუძვლად უდევს მართვის რაციონალიზაციის აუცილებლობა-ბუნებრივია, სახელმწიფო ამოცანების შესრულება გაცილებით ოპერეტიულად და ეფექტიანად შეუძლია შედარებით მცირე ტერიტორიაზე მოქმედ მმართველს (მმართველობის ორგანოს), ვიდრე ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებას.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, რის გამოც სახელმწიფოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის სწორ და დროულ განსაზღვარაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფოს სტაბილურობა და მისი ნაყოფიერი ფუნქციონირება.

აღნიშნულის შესაბამისად, თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის თეორიაში გამოყოფენ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ორ ძირითად ფორმას: უნიტარულსა და ფედერაციულს. ძირითადი განსხვავება ამ ორ ფორმას შორის გამოიხატება იმაში, რომ უნიტარული სახელმწიფო დაყოფილია და შედგება მხოლოდ ადმინისტრაციული ან პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებისაგან, ხოლო ფედერაციული სახელმწიფოს ერთეულები წარმოადგენდნენ სახელმწიფოს მსაგავს წარმონაქმნებს სუვერენიტეტის გარეშე.

II.I. ადმინისტრაციული დაყოფა უნიტარულ სახელმწიფოში

უნიტარული სახელმწიფო ერთიანი სახელმწიფოა, იგი არ არის დაყოფილი სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად. უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და/ან ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისაგან. სიტყვა „უნიტარული“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან „unus“ და

ქართულად ერთს ნიშნავს. უნიტარიზმის კონცეფცია ჟან-ჟაკ რუსოს იდენტობის თეორიიდან იღებს სათავეს და თანასწორ მოქალაქეთა საერთო ნების საფუძველზე ჩამოყალიბებულ განუყოფელ, დაუნაწილებელ, ერთიან სახელმწიფოს გულისხმობს. უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისაგან, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს პროვინციებად, შტატებად, გუბერნიებად, რაიონებად, პრეფექტურებად და სხვა. არსებობს ისეთი უნიტარული სახელმწიფოებიც, რომლებსაც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული არ აქვთ (ბაჰრეინი, ნაურუ). უნიტარული სახელმწიფო ფედერაციულისაგან განსხვავებით ცენტრალიზებული სახელმწიფოა. მისი შემადგენელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების მმართველობის ორგანოები ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების რეგიონალურ ქვედანაყოფებს წარმოადგენენ და მოქმედებენ ცენტრალური ორგანოების ბრძანებების, განკარგულებების, მითითებების, ინსტრუქციების შესაბამისად, ცენტრიდან დაფინანსებით და ანგარიშვალდებულნი არიან ცენტრის წინაშე. საქმისადმი მათი შემოქმედებითი მიდგომა შემოიფარგლება ისეთი მეთოდებისა და ფორმების მოთქმებითა და დანერგვით, რომლებიც საშუალებას იძლევა უკეთესად შესრულდეს ცენტრის მოთხოვნები და მითითებები.

მნიშვნელოვნად საყურადღებოა ადმინისტრაციული დაყოფა უნიტარულ სახელმწიფოში, რომლის მიხედვით უნიტარული სახელმწიფოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთეულების დონეების მიხედვით. ადმინისტრაციული ერთეულების საფეხურების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყნის ტერიტორიის სიდედასა და მოსახლეობის რაოდენობაზე, მაგრამ ეს მომენტი არ არის განსაზღვრული ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის და შეიძლება შედარებით დიდი ტერიტორიისა და მეტი რაოდენობის მოსახლეობის მქონე ქვეყანას უფრო ნაკლები რაოდენობა, უფრო ნაკლებ საფეხუროვანი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დონეები გააჩნდეს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთს გააჩნია ტერიტორიული დაყოფის მხოლოდ სამი დონე, ხოლო საფრანგეთს ოთხი.

მსოფლიო კონსტიტუციური პრაქტიკა იცნობს ისეთ შემთხვევებსაც, როცა ქვეყანას საერთოდ არ გააჩნია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ასეთ მაგალითს წარმოადგენს მალტა.

უნიტარული სახელმწიფოების ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების დონეთა რაოდენობაზე საუბრისას საჭიროა აღნიშნოს თანამდროვე სახელმწიფოებში მიმდინარე ტენდენცია, რომელიც კონსტიტუციურ სამართალში რეგიონალიზმის ცნებით მოიხსენიება.. იგი გულისხმობს ადმინისტრაციული ერთეულების გამსხვილებას. ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული საქართველოს ახალგაზრდა იუსიტთა ასოციაციის კონსტიტუციონალისტთა ჯგუფს, რასაც ჩვენს სინამდვილეში რაიონის მიმართ, ვფიქრობ, სწორი პოზიცია უკავია. აღნიშნული ჯგუფის აზრით, „რაიონული დონის ხელისუფლების არსებობისას საკმაოდ რთული იქნება მათ შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის მექანიზმის შემუშავება, აქედან გამომდინარე, შეიძლება გართულდეს რეგიონული და რაიონული დონის ხელისუფლებებს შორის ურთიერთობა. საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მონაცობიდან რაიონული სახელისუფლები დონის ამოგდება (ანუ რამდენიმე რაიონის გამსხვილება ერთ დიდ ტერიტორიულ ერთეულად), გარდა იმისა, რომ შეამცირებს სამამდე დაიყვანს (ცენტრალური, რეგინალური, ადგილობრივი) ქვეყანაში ხელისუფლების დონეებს, ამასთან, რაც ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია, მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიუროკრატიულ აპარატს და მისი შენახვისათვის აუცილებელ ხარჯებს.“

უნიტარულ სახელმწიფოში, როგორც უკვე მივუთითეთ, მოქმედებს, როგორც სამართლის, ისე სასამართლო ხელისუფლების ერთიანი სისტემა. შესაბამისად, ქვეყნის კანონმდებლის საერთო ბაზას წარმოადგენს ქვეყნის ძირითადი კანონი-კონსტიტუცია, ხოლო მართლმსაჯულების განხორცილება მთელი ქვეყნის მასშტაბით საერთო მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების გამოყენებით ხდება.

საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში უნიტარული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია გადასახადების ერთიანი სისტემა. ამ სისტემის შესაბამისად, როგორც წესი, ჯერ ხდება ცენტრალური ბიუჯეტის ფორმირება, საიდანაც შემდეგ სახსრები სხვადასხვა ერთეულში ნაწილდება. უნიტარიზმისათვის დამახასიათებელია აღნიშნული ნიშნების ფარგლებში, ცენტრალიზაცია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია სრულიად სხვადასხვა ფორმითა და სახით გამოვლინდეს.

შედგენილობის მიხედვით განასხვავებენ მარტივ და რთულ უნიტარულ სახელმწიფოებს. მარტივი უნიტარული სახელმწიფო შედგება ადმინისტრაციულ-

ტერიტორიული დანაყოფებისაგან (კოლუმბია, ტაილანდი, პოლონეთი და სვა), რომლებსაც აქვთ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების სტატუსი, მათი ტერიტორია შეიძლება შეიცვლოს ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმების გარეშე, ხოლო რთული უნიტარული სახელმწიფო თავის შემადგენლობაში აერთიანებს ერთ ან რამდენიმე ავტონომიურ წარმონაქმნს (დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, დანია და სვა). მაგრამ, როგორც წესი, უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს ერთი კონსტიტუცია, ერთმოქალაქეობა, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ერთი სისტემა.

მართველობის ორგანოების შექმნის წესის მიხედვით განასხვავებენ ცენტრალიზებულ, დეცენტრალიზირებულ და ნახევრადცენტრალიზებულ ანუ შერეულ უნიტარულ სახელმწიფოებს.

ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში ადგილობრივი ორგანოების დაქვემდებარება ცენტრისადმი ხორციელდება ცენტრის მიერ დანიშნული თანამდებობის პირის საშუალებით (ინდონეზია, ყაზახეთი, უზბეკეთი და სვა). ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთა ყველა რგოლში მოქმედებს მმართველობის ვერტიკალურად დანიშნის სისტემა.

ცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოში გამორიცხულია ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ავტონომიურობა. ამ ტიპის სახელმწიფოში არ არსებობს ადგილობრივი საკითხების გადანყვეტის უფლების მქონე არჩევითი ორგანოები. მათი ფუნქციები ხორციელდება ცენტრიდან დანიშნული პირის მიერ. ამ ტიპის სახელმწიფოები იშვიათია.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ასევე შედარებით დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს. მისი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ასეთი სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებში, მსაგავსად დეცენტრალიზებულისა, არსებობს ხელისუფლების ადგილობრივი არჩევითი ორგანოები. განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ შედარებით დეცენტრალიზმის დროს არ არსებობს ადგილობრივი კანონმდებლობა. შესაბამისად, ადმინისტრაციული ერთეულების უმაღლესი დონეები მთლიანად ან ნაწილობრივ ადმინისტრაციული ხასითის არიან.

ცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1) ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანების ხელმძღვანელს ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც ემორჩილება თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოები. მაგალითად, თინეთში ადგილობრივ თვითმმართველობას განაგებს გუბერნატორი, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი;

2) სახელმწიფოში არსებობს ერთიანი, მთელი ქვეყნის მომცველი უმაღლესი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც ხელმძღვანელობს შესაბამის ადგილობრივ ორგანოს;

3) სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს ერთი კონსტიტუცია, ერთიანი საკანონმდებლო და საგადასახო სისტემა, ერთი მოქალაქეობა;

4) სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს არ აქვთ საკუთარი საკანონმდებლო ორგანო, საგარეო ურთიერთობის ორგანოები და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს აწესრიგებს ცენტრალური ორგანოები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს უნიტარიზმის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. უნიტარული სახელმწიფოს დადებით მომენტად მიიჩნევა ცენტრალური ხელისუფლების ხელში ქვეყნის რესურსების სრული კონცენტრაცია, რაც ხელს უწყობს მის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას, ერთიანი ერის ჩამოყალიბების პროცესს. ამ მიზნით ფედერაციული სახელმწიფოები (ინდონეზია, კამერუნი და სხვა) გარდაიქმნა უნიტარულ სახელმწიფოებად. უნიტარული სახელმწიფო მოსახერხებელია ბიუროკრატიული სისტემის გამართული ორგანიზაციისათვის.

უნიტარული სახელმწიფოს უარყოფით ნიშნებად ასახელებენ ავტორიტარული რეჟიმისაკენ მისწრაფების ტენდენციას, ცალკეული რეგიონების, ეთნიკური ჯგუფების (თუ ასეთი არსებობს) ინტესრესებისა და უფლებების ინგონირებას, მმართველობის უნიფიცირებას, ადგილობრივი თვითმმართველობის შეზღუდვას და სხვა.

წყობილების ეს ფორმა შესაძლებლობას ქმნის ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების ხელში კონცენტრირებულ იქნას სახელმწიფო ხელისუფლების მნიშვნელოვანი, ძირითადი რესურსები, რაც შესაძლებლობას უქმნის ცენტრალურ ხელისუფლებას მთელი ქვეყნის მასშტაბით მაქსიმალური ოპერატიულობით

განახორციელოს თავისი გადანყვეტილებები. მეორე მხრივ, ხელისუფლების ცენტრში კონცენტრაციის მეტსიმეტად მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს არადემოკრატიული რეჟიმისაკენ გადახრა და საბოლოდ, ადამინისა და მოქალაქის უფლება-თავისუფლებათა ხელყოფა.

დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო-უნოდებენ ისეთ უნიტარულს სახელმწიფოს, რომლის ადგილობრივი ორგანოები ყალიბდება ცენტრალური ორგანოებისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ იურიული ურთიერთობა მათ შორის იდება დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაყრდნობით (დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, იაპონია, ესპანეთი, იტალია და სხვა). ასეთივე სისტემა მოქმედებს ამერიკის, კანადის და სხვა ფედერაციების სუბიექტებში.

დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო ფედერალიზმთან ახლოს მდგომი ფორმაა. დეცენტრალიზმის დროს უფლებამოსილება ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტერიტორიულ ერთეულებს შორის განაწიებულია კონსტიტუციით. ამის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ იტალიის ტერიტორიული მოწყობა. იტალიის კონსტიტუციით უმაღლეს ტერიტორიულ ერთეულებს აქვთ საკუთარი კანონმდებლობა. კონსტიტუციის შესაბამისად, ოლქებს გააჩნიათ სტატუსი, რომელიც გასაზღვრავს ოლქის შინაგან ორგანიზაციას. ამ სტატუსს ღებულობს თავად ოლქი და ამტკიცებს რესპუბლიკური კანონი. კონსტიტუციით ოლქები სარგებლობენ ფინანსური ავტონომიით. ოლქში საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციას ასრულებს ოლქის საბჭო, რომელიც არჩევითი ორგანოა. აღმასრულებელ სფეროში მოქმედებს კომისარი, რომელიც ხელმძღვანელობს ოლქში სახელმწიფოს ადმინისტრაციას.

დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედებს მხოლოდ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არ არის ცენტრიდან დანიშნული ზოგადი კომპეტენციის ჩინოვნიკი, რომელიც განახორციელებდა არჩევითი ორგანოების საქმიანობაზე ადმინისტრაციულ კონტროლს. ასეთ სახელმწიფოში აღმასრულებელი ხელისუფლების გამგებლობას მიკუთვნებული კომპეტენციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაცემული აქვთ საშუალო ან ქვედა დონის ორგანოებს, რომელთაც ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მინიჭებული ჰქონდეთ სამართალშემოქმედებითი უფლებამოსილებაც, მაგრამ მმართველობის

დეცენტრალიზებული სისტემა ფუნქციონირებს ერთიანი სახელმწიფო ორგანიზაციისა და ერთიანი სახელმწიფო მართლწესრიგის ფარგლებში. დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- 1) სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევა ხდება მოსახელობის მიერ;
- 2) სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სარგებლობენ მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობით ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაჭრისას;
- 3) სხვადასხვა ეროვნების ხალხს ენიჭება ეროვნული და საკანონმდებლო ავტონომია (მონღოლეთი, სუდანი, აზერბაიჯანი და სხვა)

ნახევრად დეცენტრალიზებული ანუ შერეული უნიტარული სახელმწიფო, რომლის ზოგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში არის როგორც თვითმმართველობითი ადგილობრივი ორგანოები, ასევე ცენტრის მიერ დანიშნული ზოგადი კომპეტენციის მქონე ჩინოვნიკები ან მხოლოდ არჩევითი (საფრანგეთი, სენეგალი და სხვა). ე. ი. ის ხასიათდება როგორც ცენტრალიზებული ასევე დეცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფოს ნიშნებით (იაპონია, თურქეთი, საქართველო და სხვა).

უნიტარიზმის ზოგადი დახასიათებისას აღვნიშნეთ, რომ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს არანაირი სამართლებრივი სტატუსი არ გააჩნია მაგრამ არც ეს ზოგადი წესია ბოლომდე დოგმატური. შესაძლებელია რომ ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულს ან ერთეულებს სხვებთან შედარებით განსხვავებული ინსტიტუციურ სამართლებრივი სტატუსი ჰქონდეთ. ასეთ სახელმწიფოში ზოგიერთ ერთეულს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე (ეროვნული, ეთნიკური, ისტორიული და სხვა) უფრო ფართო თვითმმართველობის უფლება შეიძლება მიენიჭოს. ასეთ ტერიტორიულ ერთეულებს კონსტიტუციური სამართალი ტერიტორიული ავტონომიების სახელით მოიხსენიებს.

ავტონომიები უნიტარულ სახელმწიფოში-სიტყვა ავტონომია (ძველ ბერძნულად „თავისი კანონი“) თვითმმართველობას ნიშნავს,ზოგადი გაგებით ავტონომია საკითხთა გარკვეული წრის დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობაა იურისპრუდენცია ავტონომიას გულისხმობს ქვეყანაში არსებული ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, ისტორიული, გეოგრაფიული, ყოფითი თუ სხვა თავისებურებების გათვალისწინებას

სახელმწიფოს მშენებლობაში. ასეთი თავისებურებანი შეიძლება გათვალისწინებული იქნას სხვადასხვანაირად: განსაკუთრებული ტერიტორიის გამოყოფით, რომელზედაც იმოქმედებს სპეციფიური რეჟიმი ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების სამართავად; განსაკუთრებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის გზით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფისათვის და მათ მიერ თავიანთი წარმომადგენლობების შექმნით ცენტრალურ თუ ადგილობრივ სახელმწიფო ორგანოებში და სხვა.

პოლიტიკური ავტონომია-საკუთარი საკანონმდებლო უფლება აქვს. პოლიტიკური ავტონომია იტალიის 20 ოლქში, ესპანეთის სხვადასხვა სახის ავტონომიურ ერთეულებში, ვოევოდინას მხარეში(სერბიაში), ჩრდილოეთ ირლანდიაში, შოტლანდიაში, უელსი(დიდი ბრიტანეთი), ალანდიის კუნძულებზე ფინეთში, ფარერის კუნძულებზე და გრენლანდიაზე დანიაში, ნახიჭევანში (აზერბაიჯანში), ყარაყალპაყეთში(უზბეკეთი), ყირიმი(უკრაინა) და სხვა.

პოლიტიკური ავტონომიის უფლება სხვადასხვაგვარია, არამხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოში არამედ ერთი სახელმწიფოს ორ სხვადასხვა ავტონომიაშიც კი. მაგალითად, პორტუგალიაში, აზორის კუნძულსა და მადეირას კუნძულს, ადგილობრივი კანონების მიღების უფლების გარდა აქვთ საკანონმდებლო ინიციატივის უფლებაც, პორტუგალიის პარლამენტში და ამასთანავე, საერთაშორისო მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღების უფლებაც თუ საქმე მათ უფლებებს ეხება. დანია მაგალითად ფარერის კუნძულებისა და გრენლანდიის მიმართ ახორციელებს კონტროლს მხოლოდ თავდაცვასა და საგარეო საქმეთა წარმართვაზე, ესპანეთში ოთხი ეროვნული ოლქის გარდა არეობს 13 ისტორიული ოლქი, რომელთა უფლებამოსილება შეზღუდულია, ბასკების ქვეყანასა და კატალონიასთან შედარებით, სადაც ეს უფლებები გაცილებით განვრცობილია, მათ აქვთ საკუთარი სამოქალაქო სამართალი, სპეციფიკური სამართალწარმოება, ჰყავთ საკუთარი პოლიცია, აქ კონტროლი ხორციელდება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით, მაშინ როცა პოლიტიკური ავტონომიის სხვა დონეებზე კონტროლი ხორციელდება როგორც სამთავრობო ასევე ადმინისტრაციული სასამართლოს მხრიდან.

პოლიტიკური ავტონომია ეროვნულ უმცირესობებს ანიჭებს გარკვეულ დამოუკიდებლობას საშინაო ცხოვრების საკითხებში, მისი სტატუსი უფრო მაღალია ვიდრე ადმინისტრაციულ ტერიტორიული ავტონომიისა და უფრო დაბალია ვიდრე ეროვნულ სახელმწიფოებრივ ავტონომიისა (ავტონომიური რესპუბლიკა). პოლიტიკური ავტონომია იზღუდება ცენტრის მიერ მიღებული აქტით რომელიც განსაზღვრავს ავტონომის სტატუსს და წარმოადგენს ავტონომიური ორგანოების მოქმედების სამართლებრივ საფუძველს.

ქვეყანათა უმრავლესობაში პოლიტიკური ავტონომიები ყალიბდება ზოგადი სქემით, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი პარლამენტი ქმნის ადგილობრივ მთავრობას. ადგილობრივი კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები გამოიცემა კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით მკაცრად განსაზღვრულ საკითხებზე და უნდა შეესაბამებოდეს ზოგად სახელმწიფოებრივს. ადგილობრივი კანონმდებლობა მოიცავს საკითხების შემზღველ წრეს და ძირითადად ეხება: ბაზრობას, სანიტარიას, ადგილობრივი პოლიციის ორგანიზაციას, ადგილობრივი დანესებულებების ორგანიზაციას, იშვიათად ,სოფლის მეურნეობას, ნადირობას, თევზჭერას, ბუნების დაცვას და სხვა. ეს კანონები შეიძლება გაუქმებული იქნას თუ ისინი გადიან ავტონომიის კომპეტენციის ფარგლებიდან ან ეწინააღმდეგებიან ზოგადსახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებსა და ინტერესებს. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელია მის მიერ დანიშნული გუბერნატორი (იგი სხვა სახელითაც შეიძლება მოიხსენიებოდეს, მაგალითად კომისარი, მინისტრი და სხვა), რომელსაც ადგილობრივი პარლამენტის მიერ მიღებულ გადანყვეტილებებთან მიმართებაში აქვს შეყოვნებითი ვეტოსა და მათი რეზერვირების უფლება, ანუ უფლება გადადოს მათი ძალაში შესვლა სახელმწიფოს მეთაურის შეხედულებისამებრ. შესაძლებელია პოლიტიკური ავტონომიის შეჩერება ავტონომიაში საგანგებო სიტუაციის პირობებში ,ამ შემთხვევაში მისი მართვა ხდება ცენტრალური ორგანოების მიერ “პირდაპირი მმართველობის“ პრინციპები. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში კათოლიკეებისა და პროტესტანტების შეჯახებების გამო ოცდაათი წლის განმავლობაში პირდაპირ მმართველობას ახორციელებდა ლონდონი.

პოლიტიკური ავტონომიის უფრო მაღალი საფეხურია ავტონომიური რესპუბლიკა, რომელსაც სახელმწიფოს სტატუსისათვის დამახასიათებელი ნიშნები (კონსტიტუცია, კანონმდებლობა, მოქალაქეობა, უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები, სიმბოლიკა და სხვა) გააჩნია.

კულტურული ავტონომია-წარმოადგენს ერთი ეროვნების მოქალაქეთა გაერთიანებას ეროვნული კულტურის, განათლების, სულიერების და სხვა ინტერესების თვითორგანიზაციის მიზნით. ავტონომიის აღნიშნულ ტიპს მიმართვენ იმ შემთხვევაში როცა ესათუის ეთნიკური ჯგუფი არ ცხოვრობს კომპაქტურად და მიმოხვეულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. კულტურული ავტონომია არ იქმნება ტერიტორიული ნიშნით, იგი ექსტერიტორიული ავტონომიაა, მას არაფერი აქვს საერთო ქვეყნის ტერიტორიულ მონყობასთან, კულტურული ავტონომია სახელმწიფო ღონისძიებების სისტემაა, რომელიც მონოდებულია ეროვნული უმცირესობისათვის მიუხედავად იმისა, კომპაქტურად ცხოვრობენ თუ არა უზრუნველყოს მათი ეროვნული კულტურის, ენის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და განვითარება (ავსტრის-უნგრეთი). შეიძლება განვასხვაოთ კულტურული ავტონომიის ორი ნაირსახეობა-პერსონალური და კორპორაციული კულტურული ავტონომიები.

კორპორაციული ავტონომია ენობრივი ერთობების ინტერესების გამომხატველია. კორპორაციული ავტონომიის პირობებში, ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლობისათვის ადგილთა გარკვეული რაოდენობაა გამოყოფილი სახელმწიფო აპარატში და ამასთანავე, ენობრივი უმცირესობით კომპაქტურად დასახლებულ რაიონში მომუშავე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ სახელმწიფოთა მოხელეს ევალება ადგილობრივი მოსახლეობის ენის ცოდნა.

პერსონალურ ავტონომიასთან იმ შემთხვევაში გვაქვს საქმე როდესაც ეროვნული უმცირესობა გაბნეულად ცხოვრობს ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ ქმნის გაერთიანებას, რომელიც დაკავებულია ეროვნული საკითხების მოგვარებით. ეს გაერთიანება ამავე დროს უფლებამოსილია სათათბირო ხმის უფლების მქონე წარმომადგენელი იყოლოს სახელმწიფოს რიგ ცენტრალურ ორგანოებში (ნორვეგია, შვედეთი და სხვა).

ტერიტორიული ავტონომია-როცა ლაპარაკია კომპაქტურად დასახლებული მოსახლეობის თავისებურებებზე იქმნება ტერიტორიული ავტონომია, იმის გამო რომ

ტერიტორიული ავტონომია ხშირად ეროვნულ-ეთნიკური მომენტის გათვალისწინებით იქმნება, მას ეროვნულ (ნაციონალურ) ტერიტორიულ ავტონომიასაც უწოდებენ.

თანამედროვე მსოფლიო იცნობს როგორც ეთნიკური ასევე კულტურის, ყოფის, გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით შექმნილ ტერიტორიულ ავტონომიებს. ასეთი ავტონომიები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფართოდ გავრცელდა, იტალიაში 20 ავტონომიური ოლქი ჩამოყალიბდა, როგორც ეთნიკური, ასევე კულტურული, ყოფითი თუ გეოგრაფიული ფაქტორების საფუძველზე. მეოცე საუკუნის 70-იან წლებში შეიქმნა ქურთების ავტონომია ერაყში. 80-იან წლებში კი თილიპინებში ჩამოყალიბდა ორი ავტონომიური წარმონაქმნი მათ შორის ერთი მინდანაოს კუნძულზე რელიგიური ნიშნით. ასევე ორი ავტონომია შეიქმნა ნიკარაგუაში, 17 ესპანეთში საკმაოდ ფართო უფლებებით (რის გამოც პოლიტიკოსები ხუმრობენ კიდევ რომ „ესპანეთი ფედერაციული სახელმწიფოა, მაგრამ ჯერ ამის შესახებ არ იცის“), 90-იან წლებში მოლდოვაში შეიქმნა გაგაუზების ავტონომია, პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი მიიღო კორსიკამ საფრანგეთის შემადგენლობაში და სხვა. როგორც ვხედავთ ისეთი ბეცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის როგორც საფრანგეთია, ავტონომიზაციის და რეგიონალიზაციის ტენდენციები უცხო არ არის.

როგორც ავღნიშნეთ კომპაქტურად დასახლებული ეთნოსის რეალიზაციის ფორმას წარმოადგენს ტერიტორიული ავტონომია. ტერიტორიული ავტონომიის ერთადერთ ფორმას-ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, ისიც მკაცრი ცენტრალიზაციის მქონეს სცნობდა საბჭოთა მმართველობა. ავტონომიისადმი ასეთი მიდგომაა დამახასიათებელი თანამედროვე ჩინეთში, სადაც 150-ზე მეტი სხვადასხვა დონის ავტონომია არსებობს.

ადმინისტრაციული ავტონომია-ფართოდ გამოიყენება ჩინეთში, სადაც 150-ზე მეტი ადმინისტრაციული ავტონომია ემსახურება ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვას. ავტონომიის ორგანოები წარმართავენ ადგილობრივ მეურნეობას, განაგებენ ადგილობრივი კულტურის, მეცნიერების, განათლების საკითხებს, აქვს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის უფლება, განსაკუთრებით ეს ეხება ვაჭრობას გარკვეულ ქვეყნებთან.

ადმინისტრაციული ავტონომია გამოიყენება მაგალითად მოლდოვაში, სადაც ავტონომიები ფლობენ ვიწრო უფლებამოსილებებს ენის (მათ შორის სამართალწარმოების ენის), განათლების, კუტურის, ტრადიციის სფეროში. ზოგ ადმინისტრაციულ ავტონომიაში გამოდის გაზეთი ადგილობრივ ენაზე, გამოყოფილია დრო ადგილობრივი რადიომუწყებლობისათვის და სხვა. ადგილთა უმრავლესობა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში, კანონის მიხედვით უნდა ეკავოს ადგილობრივი ეთნოსის წარმომადგენლებს და სხვა.

ადმინისტრაციული ავტონომიები განსხვავდება ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულისაგან რომ მას ჰყავს წარმომადგენლები ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოებში, აქვთ საკუთარი უფლებამოსილებებისა და ინტერესების დაცვის სპეციალური საშუალებები.

რეგიონალური (რეგიონული) სახელმწიფო-უნიტარული სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეულების გამსხვლევებისა და დეცენტრალიზაციის გზით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიქმნა პოლიტიკურ ტერიტორიული წყობილების სპეციფიკური ფორმა-რეგიონალური(რეგიონული) სახელმწიფო. დღეისათვის სპეციალისტთა შეფასებით ასეთი ფორმა არსებობს იტალიაში, ესპანეთი, შრი-ლანკაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. თუმცა ამის შესახებ არაფერია ნათქვამი აღნიშნული ქვეყნების კონსტიტუციებში. რეგიონალურ სახელმწიფოს ხშირად უნიტარიზმიდან ფედერალიზმამდე გარდამავალ ფორმადაც განიხილავენ, რეგიონალური სახელმწიფო განსხვავდება როგორც რთული უნიტარული სახელმწიფოსაგან, ასევე ფედერაციულისაგან.

რეგიონალური სახელმწიფო შედგება პოლიტიკურ-ავტონომიური წარმონაქმნებისაგან, რომლებიც ღებულობენ ადგილობრივ კანონებს, მაგრამ მათი საკანონმდებლო სფერო მკაცრადაა დადგენილი ქვეყნის კონსტიტუციით და კონტროლდება ცენტრის სპეციფიური წარმომადგელის მიერ.

შეტამების მხრივ შეგვიძლია კიდევ ერთხელ გამოვყოთ უნიტარული სახელმწიფოს ნიშან-თვისებები:

- 1) უნიტარული სახელმწიფო ერთიანი, განუყოფელი სახელმწიფოა, სადაც ასევე ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლება ხორციელდება და რომელიც ერთადერთი უმაღლესი ხელისუფლებაა მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- 2) უნიტარულ სახელმწიფოში მის შემადგენელ ნაწილებს, ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. ქვეყანაში მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია და კანონმდებლობა, პოლიტიკური ხელისუფლების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა; ცენტრალური ერთეულების ადგილობრივი ორგანოების სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საერთო სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით.
- 3) ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ რაიმე პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თითოეული ერთეული, როგორც წესი, ერთნაირი სამართლებრივი სტატუსით სარგებლოს და გააჩნია ცენტრალური ორგანოებისადმი თანასწორი დამოკიდებულება, რაც ბუნებრივია არ გამორიცხავს მათი ფართო ხასიათის უფლებამოსილების სამეურნეო, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში არსებობის აუცილებლობას.
- 4) უნიტარულ სახელმწიფოში მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება სახელმწიფოს ერთიანი მოქალაქეობით.

II.II. ფედერაციული მონყობა(ფედერალიზმი)

ტერმინი ფედერაცია ლათინური ენიდან „FEDUS“ მომდინარეობს და ქართულად „კავშირს“ „გაერთიანებას“ ნიშნავს. ფედერაციის გვერდით არსებობს ტერმინი ფედერალიზმი რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიულ ნაწილებს შორის კოორდინაციის აღმნიშვნელი ტერმინია. ფედერაციული სახელმწიფო გულისხმობს სახელმწიფო ტერიტორიების გადანაწილებას საზიაროობის პრინციპის მიხედვით ცენტრალურ და ფედერაციის სუბიექტ ორგანოთა შორის.

ფედერაციის სუბიექტები (ფედერაციის სუბიექტებს წარმოადგენდნენ აშშ-ს შტატები, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და ავსტრიაში მიწები, შვეიცარიაში

კანტონები და ა.შ.) წარმოადგენდნენ კვაზისახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და შესაბამისად ისინი არამხოლოდ ადმინისტრაციული არამედ განსაზღვრული პოლიტიკური ავტონომიითაც სარგებლობენ (ფედერაციის ცნებისგან უნდა განვასხვავოთ კონფედერაციის ცნება, კონფედერაცია წარმოადგენს არა სახელმწიფოს არამედ სახელმწიფოთა კავშირს, რომლის წევრი სახელმწიფოები ქმნიან ერთობლივ ორგანოებს ცალკეული სფეროების მიხედვით). ყველა შემთხვევაში ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური ავტონომია კონსტიტუციით მკაცრად არის რეგლამენტირებული რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ფედერაციებს არ გააჩნიათ სეცესიის-სახელმწიფოსგან გამოყოფის უფლება.

ფედერაციული სახელმწიფო რთული სამოკავშირეო სახელმწიფოა, რომელშიც გაერთიანებულია რიგი სახელმწიფოები ან სახელმწიფოს მსგავსი წარმონაქმნები ფედერაციის სუბიექტები.

ფედერალიზმი მრავალასპექტიანი მოვლენაა და მას იკვლევენ იურისტები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ეთნოგრაფები და სხვა, შესაბამისად მისი შესწავლისას ერთნი უპირატესობას ანიჭებენ ისტორიულ-პოლიტიკურ მეთოდს, მეორენი-სტრუქტურულ-ანალიტიკურ მეთოდს ან ფილოსოფიურ -დოგმატურს. ამიტომაც დამკვიდრდა მოსაზრება რომ ფედერალიზმის ყოველმხრივ კვლევა სცილდება სამართლის თეორიისა და კონსტიტუციის შესწავლის მიზანს და კომპლექსური კვლევის საგანს წარმოადგენს.

ფედერალიზმის ახსნა შეუძლებელია მარტოდენ იურიდიული ცნებებისა და კატეგორიების მიხედვით, ფედერალიზმი ასახავს განსაზღვრულ პოლიტიკურ დინამიკას და გამოირჩევა სოციალური ადაპტაციის განსაკუთრებული უნარით, არ არსებობს ფედერალიზმის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ნორმატიული ფორმა რამდენადაც მართვის ფედერალური სისტემა მოქნილია როგორც თვითონ მეთოდი. ფედერალიზმის განსაზღვრული სტატისტიკური ფორმის დადგენის ნებისმერი ცდა იწვევს მისი ფუნქციური შესაძლებლობების არასწორ გაგებას და ხატავს ფეოდალური მოდელის მცდარ გაყალბებულ სურათს.

ფედერაციულად მოწყობილი სახელმწიფო ისეთი სახელმწიფო მოწყობაა, როდესაც მმართველობითი ფუნქციები (ხელისუფლება) განაწილებულია (გამიჯნულია)

ცენტრალურ ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის რეგიონალურ სუბიექტებს (ავონომიური რესპუბლიკები, შტატები, ოლქები, მხარეები, მიწები, კანტონები და ა.შ.) შორის. საქართველოში ტერმინი (ფედერაციის) პირველ მოხსენებას ვხვდებით “საქართველოს მოამბეში“ კონსტანტინე ლორთქიფანიძის კომპილაციურ თხზულებაში “ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეები“, სადაც ვკითხულობთ: “რამოდენიმე სახელმწიფო ერთად შეერთებული ისე რომ თითოეული მათგანი საკუთარ საქმეებს თვითონ წყვეტს მაგრამ საზოგადო საქმეებისთვის კი ჰქონდეს მათ დანიშნული საერთო მმართველობა არის ფედერაციული სახელმწიფო ანუ ფედერაცია.

ფედერაციისა და ფედერაციული სახელმწიფოს ტერმინების გარდა რომელსაც გამოიყენებს რიგი სახელმწიფოები (გერმანია, არგენტინა და სხვა) კონსტიტუციები არსებობს აგრეთვე ამ ტერმინების იდენტური ტერმინები-„კავშირი“ (ინდოეთი), “შეერთებული შტატები“ (აშშ, მექსიკა), “ფედერაციული რესპუბლიკა (ბრაზილია), “კონფედერაცია“ (კანადა,შვეიცარია) და სხვა, რომლებიც ასევე ფედერაციული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ თავისებურებებს აღნიშნავენ.

ფედერაციის სუბიექტების კვაზისახელმწიფოებრივი ბუნება არსებითად ვლინდება შემდეგი ნიშნებით, ფედერაციის სუბიექტებს გააჩნია საკუთარი კონსტიტუცია (გარდა იშვიათი გამონაკლისებისა), პარლამენტი და მთავრობა ზოგჯერ ასევე საკუთარი სასამართლო სისტემა და გასამხედროებული ფორმირებები (აშშ); ამასთან ერთმანეთისგან მკაცრად არის გამიჯნული ფედერაციის ექსკლუზიური უფლებამოსილებები, კონკურენტული უფლებამოსილებები და ფედერაციის სუბიექტების ექსკლუზიური უფლებამოსილებები; ფედერალურ სახელმწიფოებში არცთუ იშვიათად მოქმედებს ფედერაციის სუბიექტის მოქალაქეების ინსტიტუტი; ფედერაციის სუბიექტებს აქვთ საკუთარი სიმბოლოები-დროშა, გერბი და ჰიმნი; ფედერალურ სახელმწიფო ხელისუფლებას არ აქვს უფლება პირდაპირი სახით ჩაერიოს ფედერაციული სუბიექტის ხელისუფლების ფორმირებაში; ფედერაციის სუბიექტის ხელისუფლება თავისი საქმიანობისთვის არ არის პასუხისმგებელი ფედერალური ხელისუფლების წინაშე.

ფედერაციის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს ფედერაციის სუბიექტთა როგორც ერთიანი მთელის ეროვნული რეგიონული და სხვა ინტერესების შეხამება,

ზოგადსახელმწიფოებრივთან სპეციალისტები ფედერალიზმის ხუთ ძირითად ფუნქციას გამოყოფენ, ეს ფუნქციებია:

- 1) ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის ისეთი ორგანიზაცია რომელიც აკავშირებს მრავალფეროვნებას და ერთიანობას ერთმანეთთან
- 2) ერთიანი პოლიტიკური ორგანიზმის დანაწევრება პოლიტიკურ ერთეულებად რომლებიც ფედერალური წყობით არიან დაცულნი საბოლოო დემონტაჟისგან
- 3) მოსახლეობის შესაძლებლობა ხელისუფლების რამდენიმე დონეზე მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში
- 4) ცენტრალური ხელისუფლების ბოჭვა
- 5) რეგიონული კონკურენციის გზით მთავრობის ეფექტურობის ზრდა.

ფედერაციის ზემოთაღნიშნული ზოგადი ფუნქციების მიუხედავად კონკრეტული ფედერაციული სახელმწიფოს ფუნქცია და ორიგინალობა დამოკიდებულია მიზნებზე, რა მიზნებია იგი იქმნება და იმ ამოცანებზე რომელსაც იგი ასრულებს. მაგალითად აშშ-ს ფედერაციის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და ფედერაციის სუბიექტების პოლიტიკური თავისუფლების უზრუნველყოფა. გერმანიაში ფედერაციას უნდა გააერთიანებინა განცალკევებული გერმანული სახელმწიფოები; შვეიცარიაში ფედერალიზმი შემოიღეს იმ მიზნით რომ შესაძლებელი ყოფილიყო ერთ სახელმწიფოში განსხვავებული რასის ენის რელიგიისა და პოლიტიკური ტრადიციების მქონე ერთეულების თანაცხოვრება ისე რომ არ დარღვეულიყო ინდივიდუალურობა, ავსტრიაში მისი მიზანი ეროვნული საკითხების მოგვარება იყო; ბელგიაში ფედერალიზმი შემოღებული იქნა ვალონებსა და ფლამინდიელებს შორის ეროვნული წინააღმდეგობების დაძლევისა ბელგიის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების მიზნით და სხვა.

ფედერალიზმი უნიტარიზმთან შედარებით უფრო პროგრესულ დემოკრატიულ ფორმად არის მიჩნეული, მისი დემოკრატიულობის განსამზღვრელად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის მაღალი დონე, ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ხელისუფლების ორ დონეს: საერთო ფედერალური ხელისუფლება და ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლება. საერთო ფედერალურ დონეზე სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი საკავშირო წარმომადგენლობითი

ორგანო რომლის ერთ-ერთი კერძოდ ზედა პალატა უმაღლეს წარმომადგენლობაში სწორედ ფედერაციის სუბიექტების ინტერესებს გამოხატავს.

ფედერაციული სახელმწიფოს სწორი შემეცნება შესაძლებელია განოხრციელდეს მხოლოდ მაშინ, როცა მას განვიხილავთ როგორც ფედერალიზმის პრინციპის სპეციფიკურ სახელმწიფო სამართლებრივ ფორმას. ფედერაციული სახელმწიფო არ წარმოადგენს დეცენტრალიზაციის ფორმალურ პრინციპს, ფედერალიზმისთვის დამახასიათებელია პოლიტიკური წესრიგის დუალიზმი. ფედერალიზმი როგორც ფედერალური სახელმწიფოს პრინციპი ასევე უზრუნველყოფს:

- 1) ერთიანი სახელმწიფოს შემადგენელი პოლიტიკური წესრიგის დამოუკიდებლობას. პროვინციული უნიტარიზმის საწინააღმდეგოდ.
- 2) ჯანსაღ კონკურენციას ტერიტორიულ ერთეულებს შორის და შესაბამისად მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების დინამიკას. ამავე დროს რეგიონალური დისპარატიტების აღმოფხვრას და შრომის რეგიონალურ დანაწილებას.
- 3) ფედერაციული სახელმწიფოს პერმანენტულ პოლიტიკურ დინამიკურობას და არა პარტიკულარულ სტაგნაციებს.

ფედერაციული სახელმწიფო როგორც ფედერალური იდეის სახელმწიფოებრივ სამართლებრივი კონსტრუქცია ტერიტორიული დაყოფის ისეთი იდეური სისტემაა, რომელიც მოიცავს და ერთნაშეთთან აკავშირებს განსხვავებულ ეროვნულ და ეთნიკურ ჯგუფებს. ფედერაციულ სახელმწიფოში აღნიშნული ჯგუფები წარმოადგენდნენ არა ეთნიკურ უმცირესობას არამედ სახელმწიფოს ჩამოუყალიბებელი ხალხის ნაწილს. ტერიტორიული ჯგუფების უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ფედერალიზმი მიჩნეულია ერთერთ სრულყოფილ ფორმად, რამდენადაც ფედერაციის სუბიექტებს აქვთ თავიანთი სახელწიფოებრიობა ადგილობრივი, ლოკალური, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ფორმით.

ავტონომიის უპირატესობები ფედერალიზმთან მიმართებაში უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება იმ ფაქტორებით, რომ კულტურული უმცირესობის ნებისმიერი ფორმით ჩაგვრა ყოველთვის აწყდება წინააღმდეგობას ამ უმცირესობის მხრიდან და საბოლოოდ არღვევს ერთიან წესრიგს. კულტურულ პლურალიზმს შეუძლია პოზიტიური გავლენა იქონიოს სოციალურ განვითარებაზე, ხოლო ტოლერანტობა

საბოლოოდ უზრუნველყოფს უმცირესობის ნებაყოფლობით ასიმილაციას. ავტონომიას როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ იურიდიულ ფორმას შეუძლია შეასრულოს კონფლიქტების გადაჭრის ფუნქციაც და უშუალოდ ადგილებზე მოაწესრიგოს არსებული უთანხმოებები.

ავტონომიის კონკრეტულ უპირატესობათა და ნაკლოვანებათა შეფასება ეს არის პოლიტიკის ამოცანა, ხოლო იურიდიული დაკავებულია ამ შეფასების მხოლოდდამხოლოდ სამართლებრივი საფუძვლების ანალიზით.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ეთნიკური ფედერალიზმის როლი და ფორმები რომელიც ორი ძირითადი სახისაა: პერსონალური და ტერიტორიული. მათ შორის განსხვავება კი გახლავთ ის, რომ :

1) ტერიტორიული სისტემა ეთნიკურ ჯგუფებს ანიჭებს უფლებამოსილებებს.

ა) კულტურის საკითხებში

ბ) საჯარო წესრიგის სფეროში

2) პერსონალური სისტემა ეთნიკურ ჯგუფებს ანიჭებს ფართო თვითმმართველობას კულტურულ საკითხებში (ამიტომ პერსონალური ფედერალიზმის აღნიშნული ფორმა ხშირად მიღებულია როგორც კულტურული ავტონომია). პერსონალური ფედერალიზმის შემთხვევაში ეთნიკური ჯგუფი საჯარო წესრიგთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სხვა ჯგუფებთან ერთად.

ფედერაციული სახელმწიფოს თეორია მოწოდებულია გასაგები გახადოს ფედერალური გაერთიანების არსი, იგი ასევე ცდილობს ახნას თუ რა საშუალებებით შეიძლება ჩამოყალიბდეს ფედერაციული სახელმწიფო როგორც პოლიტიკური სისტემა, ამ მიზნით ფედერაციული სახელმწიფოს თეორია ცდილობს ერთმანეთისგან განასხვავოს სახელმწიფოს სასურველი და რეალური, გამოიკვლიოს მართვის ფედერალური სისტემის უპირატესობებიც და ნაკლიც. ჯერ კიდევ 1920 წელს გამოქვეყნდა გერმანელი მეცნიერის და მე-20 საუკუნეში ფედერაციული სახელმწიფოს თეორიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარის ნავიასკის წიგნი “ფედერაციული სახელმწიფო როგორც სამართლებრივი ცნება. ნავიასკი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფედერალური სახელმწიფოს ცნებაში შეუძლებელია რაიმე სიცხადის შეტანა, რომ

სახელმწიფოთა ყველა კავშირი შეიძლება დახასიათდეს როგორც ფედერალური ან ფედერაციული.

ფედერაციული სახელმწიფო ჩვენ შეიძლება სტრუქტურული ნიშნებით დავყოთ:

- 1) ფედერაციული სახელმწიფო არის ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფილი სახელმწიფო. ფედერაცია წარმოადგენს ავტონომიური გაერთიანების კავშირს, უფრო დიდი საერთო ფუნქციებისა და საერთო ორგანოების მქონე დამოუკიდებლად მოქმედ ერთობასთან.
- 2) ფედერალიზმისთვის დამახასიათებელია განუყოფელი პლურალიზმი, ერთის მხრივ ფედერაციის პოლიტიკურ ერთიანობასა და ცენტრისკენულობას, ხოლო მეორე მხრივ ფედერაციის სუბიექტთა პოლიტიკურ მრავალფეროვნებას და ცენტრიდანულობას შორის.
- 3) ფედერაციული სახელმწიფოს წევრებს შორის ურთიერთობა ემყარება კოოპერაციისა და კოორდინაციის პრინციპებს და არა მკაცრ იერარქიულ დაქვემდებარებას (აღსანიშნავია რომ ფედერაციული სახელმწიფოს გერმანული მოდელი და არც გერმანული თეორია არ ეთანხმება დეცენტრალიზაციის ასეთ გაგებას).
- 4) ერთიანი ფედერალური პოლიტიკური წესრიგის შემადგენელი ერთეულები მონაწილეობენ საერთო სახელმწიფო უფლებამოსილებათა განხორციელებაში. ფედერაციის სუბიექტი შედარებით ნაკლებად არის დამოუკიდებელი ცენტრზე როგორც უფლებამოსილებათა და განსაკუთრებით ფინანსების გამიჯვნის გზით, ისე დავის გადაწყვეტის განსაკუთრებული პროცედურის მეშვეობით.
- 5) ფედერაციის სუბიექტებს განსაზღვრული პოლიტიკური ავტონომია აქვთ.
- 6) ფედერაციის სუბიექტები ფედერალური ნების ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეობა, ფედერალური პარლამენტის მეორე პალატის მეშვეობით.
- 7) ფედერალური მოდელის აღნიშნული ელემენტები განმტკიცებულია კონსტიტუციით და მაშასადამე გართულებულია მათი შეცვლის პროცედურა.
- 8) ფედერაციულ სახელმწიფოში მოქმედებს პოტენციური კონფლიქტების გადაწყვეტის სამართლერივი მექანიზმი უწინარეს ყოვლისა ფედერალური დავის სასამართლო წესით გადაწყვეტის სახით.

საინტერესო შეხედულებები და ნაშრომები მიუძღვნეს ფედერალიზმს ცნობილმა ფილოსოფოსებმა მაგალითად ლანგის ნაშრომი “ფედერალიზმის ფილოსოფია“ ფედერალიზმის ფილოსოფიური პრობლემისადმი მიძღვნილი თანამედროვე პერიოდის ერთ-ერთი საინტერესო ნაშრომია. ლანგის შეხედულებით ფედერალიზმი არის საფეხურებრივად აგებული, ორგანულად სტრუქტურირებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის იდეა. ფედერალიზმი როგორც ყოვლისმომცველი სტრუქტურული პრინციპი როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი სისტემის საერთო კონცეფცია ემსახურება ადამიანის პიროვნებას, უზრუნველყოფს პიროვნების ღირსებისა და თავისუფლების დაცვას, აყალიბებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და ადამიანური თანაცხოვრების ღირსეულ ფორმებს.

ფრანგი სოციალ ფილოსოფოსი პიერ იოზეფ პროდონი ფედერალიზმს განიხილავდა როგორც უნივერსალურ სინთეზურ მოვლენას როგორც თავისუფალი საზოგადოებრივი გაერთიანების პრინციპს, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს სახელმწიფო წესრიგს, ეკონომიკას და კულტურას.

კონსტანტინე ფრანცი ფედერალიზმს აყალიბებს როგორც თვითონ ისტორიიდან გამომდინარე დინამიკური განვითარების პრინციპის, იგი სრულ შარლატანობას უწოდებს ფედერალიზმს როგორც მზის სისტემის ჩამოყალიბების სურვილს, მისი აზრით ფედერალიზმი წარმოადგენს მხოლოდ მარეგულირებელ პრინციპს რომელიც მიესადაგება უკვე არსებულს, ფაქტობრივს და ამავე დროს ხელს უწყობს შემდგომ დინამიკურ განვითარებას მონტესკიე თავის კლასიკურ ნაშრომში „კანონთ-აგონი“ დაწვრილებით განიხილავს პატარა სახელმწიფოების პრობლემას, მონტესკიეს აზრით პოლიტიკური თავისუფლების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ პატარა ტერიტორიების გაერთიანებაში, მაგრამ ასეთი გაერთიანება სუსტია და არ ძალუძს აგრესისგან თავდაცვა, მისი აზრით ფედერალიზმი სახელმწიფო თავისუფლებისა და საერთაშორისო წესრიგში მათი ძლიერების დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

კანტის ნაშრომი “მარადიული მშვიდობისთვის“ რომელიც გამოქვეყნდა 1795 წელს ავითარებს „თავისუფალ სახელმწიფოთა ფედერალიზმის“ იდეას. იგი უპირატესობას ანიჭებდა რესპუბლიკურ კონსტიტუციას რომელიც უზრუნველყოფს საყოველთაო თავისუფლებას და თანასწორობას. გლადუნის აზრით ფედერალიზმი შეგვიძლია

დავახასიათოთ როგორც ერთიან საკავშირო სახელმწიფო შემდგარი წევრებისაგან (სუბიექტებისაგან), რომელთაც გააჩნიათ თანაბარი სამართლებრივი სტატუსი, შეზღუდული სუვერენიტეტი და კომპეტენცია და რომლებიც თანამშრომლობის, კომპრომისებისა და შეთანხმებების საფუძველზე წყვეტენ ერთიანი სახელმწიფოს ძირითად საკითხებს და ამასთანავე ცენტრალურ ხელისუფლებას საერთო საკითხების გადასაწყვეტად ანიჭებენ განსაკუთრებულ კომპეტენციას.

ფედერალიზმი იძლევა საშუალებას გონივრულად, ოპტიმალურად იქნეს განაწილებული სახელმწიფო მართვის სფეროები ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის. იგი პატარა ქვეყანას ხდის დიდსავით ძლიერს და პატარასავით სტაბილურს. ის არ არის მართვის ცენტრალიზებული სისტემის ალტერნატივა, იგი მისი რეგულატორია. ფედერალიზმი არამართო სახელმწიფოს მოწყობის პრინციპია არამედ ქვეყნის ერთიან ფედერალურ ორგანიზმად ჩამოყალიბების პროცესი, იგი ასევე ეთნოკონფლიქტების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა, ასევე ის შეიძლება გამოვიყენოთ დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებად. ფედერაციული წყობა არამხოლოდ პოლიტიკური არამედ სოციალური სისტემა და მის საფუძველს წარმოადგენს თავისუფალი პიროვნება და თავისუფალი საზოგადოება. იგი პრობლემის გადაწყვეტის გზაცაა და ცხოვრების წესიც. ფედერალიზმის მშვიდობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

თანამედროვე მსოფლიოში 24 ფედერაციული სახელმწიფოა, რომლებშიც დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. ფედერაციული მოწყობა აქვთ როგორც დიდ (ინდოეთი, რუსეთი, აშშ), ასევე საშუალო (ავსტრია, გერმანია, ბელგია) და ჯუჯა (სენტ-კრისტოფერია და ნევისის ფედერაცია 50 ათასი მცხოვრებით) სახელმწიფოებს. განვითარებს მიხედვით ფედერაციული სახელმწიფო შეიძლება იყოს მაღალგანვითარებული (აშშ, ავსტრია, გერმანია), საშუალო (მექსიკა) და ჩამორჩენილი (კომორის კუნძულების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა). მმართველობის მიხედვით ფედერაციულ სახელმწიფოთა უმრავლესობა რესპუბლიკური მართვა-გამგეობისაა. მონარქიული მხოლოდ ავსტრალია, კანადა (ნომინალური დიდი ბრიტანეთის მონარქი), ბელგია, არაბთა გაერთიანებული საამიროები და მალაიზია.

სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა ყველაზე ადრე დამკვიდრდა შვეიცარიაში (1291 წ.), ამიტომ იგი უძველესი ფედერაციული სახელმწიფოა. შემდეგი ფედერაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცხადდა 1777 წელს. ყველაზე გვიან ფედერაციული წყობილება ჩამოყალიბდა ბელგიასა (1993 წ.) და ეთიოპიაში (1994 წ.). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ფედერაციული სახელმწიფოთა რიცხვი სამჯერ გაიზარდა. ამავე დროს რამოდენიმე ფედერაციულმა სახელმწიფომ (ინდონეზია, უგანდა და სხვა) დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სახელმწიფო მოწყობის უნიტარული ფორმა აირჩია.

ფედერაციის დროს სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებს გააჩნია სახელმწიფოებრიობის ძირითადი ელემენტები: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, სახელმწიფო აპარატი, ფინანსური დამოუკიდებლობა და ა. შ. ე. ი. ფედერაციულ სახელმწიფოში მოქმედებენ ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები რითაც რეალიზებულია ხელისუფლების დეცენტრალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფედერაციული სისტემის, წყობის ერთიანობის პრინციპზე აგება უზრუნველყოფს ფედერაციას, როგორც ერთიანი სუვერენული სახელმწიფოს სახით არსებობას. ამით რეალიზდება ფედერალიზმის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორცაა განსხვავებულ ტერიტორიაზე ერთეულ ტერიტორიაზე ინტეგრაციის ფუნქცია. ფედერალურ კონსტიტუციებში რეგლამენტირებულია ერთიანობის მნიშვნელოვანი გარანტიები. მაგალითად, სეცესიის (ე.წ. *jus secessionis*, წარმოადგენს ფედერალური კავშირის დაშლის ერთ-ერთ სპეციფიკურ შემთხვევას ფედერაციული სახელმწიფოდან გასვლა ფედერალური ხელისუფლების ნების საწინააღმდეგოდ ანუ სეცესიის უფლება აკრძალულია ყველა ფედერაციული სახელმწიფოს კანონმდებლობით. ფედერაციის სუბიექტებისაგან განსხვავებით, კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება აქვთ სახელმწიფოთა კავშირის ანუ კონფედერაციის სუბიექტებს) უფლების არქონა ფედერაციის სუბიექტებისათვის.

ფედერაციული სახელმწიფო რთული სახელმწიფოა, იგი შედგება წევრი სუბიექტებისაგან ან ნაწილი სუბიექტისაგან. ფედერაციის შემადგენელი წევრები და ნაწილები მისი სუბიექტია. ფედერაციული სახელმწიფოების კონსტიტუციებში

ფედერაციის სუბიექტები მოიხსენიება, როგორც შტატები (აშშ, ინდოეთი), პროვინციები (კანადა) ან მიწები (გერმანია, ავსტრია) და მათ მიმართ საერთოდ არ არის გამოყენებული „სახელმწიფოს“ ცნება. ფედერაციის სუბიექტების სამართლებრივი სტატუსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს აყალიბებს მისი მონაწილეობა ფედერალური ნების ფორმირებაში. ეს მონაწილეობა არ არის დამოკიდებული ცენტრალური სახელმწიფოს ნებაზე. ხოლო მისი ფორმები და გარანტიები განმტკიცებულია მთელი რიგი კონსტიტუციური გარანტიებით.

ფედერაციის ჩამოყალიბების ორი ძირითადი ხერხი არსებობს: სახელშეკრულებო და კონსტიტუციური სახელშეკრულებო ფედერაცია-კავშირის საფუძველზე წარმოშობილი ფედერაცია და იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაერთიანების საფუძველზე შექმნილი, ამიტომ ასეთი გზით შექმნილი ფედერაციული სახელმწიფოების სუბიექტებს უნარჩუნდებათ სახელმწიფო სუვერენიტეტი და ფედერაციის შემადგენლობიდან გასვლის (სეცესიის) უფლება. თანამედროვე მსოფლიოში ასეთი ფედერაციული სახელმწიფოები თითქმის არ გვხვდება. ფედერაციიდან გასვლის უფლება შენარჩუნებული აქვს სენტ-კრისტოფერისა და ნევისის ფედერაციის სუბიექტებს და გარკვეული თავისებურებებით, ეთიოპიის ფედერაციის სუბიექტებს. კავშირის საფუძველზე შექმნილ სხვა ფედერაციებში ასეთი უფლება არ არის აღიარებული. აშშ უმაღლესმა სასამართლომ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რომლითაც დაადასტურა ამერიკის ფედერაციიდან გასვლის შეუძლებლობა. თანამედროვე კონსტიტუციები პრინციპში უარყოფენ სეცესიის უფლებას, თუმცა აღიარებენ ერთა თვითგამორკვევის უფლებას. ფედერაციის სუბიექტთა ფედერაციისაგან გამოყოფასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დამკვიდრების ცდები ხშირ შემთხვევაში ფედერალური შეიარაღებული ძალების საშუალებით (შვეიცარიაში 1847 წ; აშშ-ში 1861-1865 წწ; ნიგერიაში მე-20 საუკუნის 70-იან წლებში) იქნა აღკვეთილი. ზოგ ქვეყნებში დღესაც მიმდინარეობს შეიარაღებული კონფლიქტები (რუსეთი). სეცესიის პროსეკის შეჩერება ავსტარლიაში სასამართლოს ჩარევით იქნა შესაძლებელი. თუმცა არის შემთხვევები როცა სეცესია განხორციელდა როგორც შეიარაღებული გზით (პაკისტანის შემადგენლობიდან ბეგალიის გამოყოფა და

ბანგლადეშის სახელმწიფოს ჩამოყალიბება), ასევე მშიდლობიანი გზით (სინგაპურის გამოყოფა მალაიზიისაგან, ერიტრეის პროვინციის გამოყოფა ეთიოპიისაგან).

ეროვნული ნიშნის მიხედვით შეიძლება ვისაუბროთ ფედერაციის ორგანოების ეროვნულ და ტერიტორიულ საფუძველზე. განასხვავებენ ეროვნულ-ტერიტორიულ და ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ფედერაციას.

ეროვნულ-ტერიტორიული ფედერალიზმი ძირითადად დამახასიათებელი იყო სოციალისტური ბანაკისათვის. აქ ფედერაცია განიხილებოდა, როგორც მხოლოდ ეროვნული საკითხის გადაჭრის საშუალება მრავალეროვნულ ქვეყანაში. დასავლეთის ტერიტორიულ ფედერაციებში კი უპირველესად, როგორც მმართველობის დეცენტრალიზაციის საშუალება, როგორც სხვადასხვა რეგიონის თანამშრომლობის ფორმა.

ფედერაციის შექმნა ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით შეესაბამება ერთა თვითგამორკვევის საერთაშორისო უფლებას, ასევე, იგი ხელს უწყობს მრავალეროვანი სახელმწიფოს ნაწილებს შორის ინტეგრაციას, დაპირისპირების გადალახვას. შემთხვევით არაა ბელგიის ფედერაციის შექმნა 1993 წელს და ეთიოპიის 1996 წელს. ამ გზით შესაძლებელი გახდა ეთნიკური დაპირისპირების თავიდან აცილება ამ ქვეყნებში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფედერაციული სახელმწიფოს მონყობა ეროვნულ-ტერიტორიული ნიშნით ხელს უწყობს სეპარატისტული ტენდენციების გაღვივებას. სპეციალისტთა ვარაუდით, ეროვნული მომენტის გადაჭარბებული გათვალისწინება სახელმწიფოს მონყობაში ხელს უშლის ეთნოსთან დაახლოებას, უფრო მეტიც, ურთიერთდაპირისპირებასაც კი იწვევს. „ფედერაციულ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასებით ნათელი გახდა, რომ ფედერალიზმი ძლიერი აღმოჩნდა იმ ქვეყნებში, სადაც იგი ნაციონალური საკითხის გადანყვეტას კი არ ემსახურება, არამედ, უპირატესად სახელმწიფოს მართვის სრულყოფის ამოცანას წყვეტს და ხელისუფლების ვერტიკალური დანაწილებით შემოისაზღვრება, რასაც ბევრ მათგანში ხელს უწყობს მოსახლეობის ერთგვაროვანი ეთნიკური შემადგენლობა“.

ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ფედერაციას საფუძვლად უდევს ეკონომიკური, გეოგრაფიული, ენობრივი, კულტურული და სხვა მსგავსი ფაქტორები. ის ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება. იგი ხელს უწყობს გარკვეული

რეგიონის მოსახლეობას დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები. ამასთანავე არსებობს კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობის კოლექტიური უფლებების იგნორირების საშიშროება, ზოგადსახელმწიფოებრივ ინტერესებთან მიმართებაში.

სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით ფედერაცია შეიძლება დავეყთ სიმეტრიული და ასიმეტრიული ფედერაციად.

სიმეტრიული (ჰომოგენური) ფედერაცია–უნოდებენ ისეთ ფედერაციებს, რომელთა სუბიექტებს თანაბარი და ერთნაირი უფლესამოსილება აქვთ. აბსოლიტურად სიმეტრიული ფედერაციები არ არსებობს. ავსტრია, მექსიკა, ბრაზილია უახლოვდებიან სიმეტრიული ფედერაციის პრინციპებს.

სიმეტრიული ფედერალიზმის კლასიკური მაგალითია აშშ, რაც შეეხება გერმანიას, აქ რამდენიმე განსხვავებული მდგომარეობაა, რომელიც ბევრადაა განპირობებული გერმანიის ისტორიით. ის ერთგვაროვანი სამართლებრივი სტატუსისა და უფლესამოსილებების მქონე 16 ფედერაციის სუბიექტისაგან შედგება. სიმეტრიული ტერიტორიული მონყობის არსებობისას, ერთი და იგივე დონის თითოეული ტერიტორიული ერთეული სარგებლობს ერთნაირი სამართლებრივ-პოლიტიკური სტატუსითა და კომპეტენციებით.

ასიმეტრიული (დიფერენცირებული) ფედერაცია - რომლის სუბიექტებს არათანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა უჭირავთ ფედერაციის შემადგენლობაში. ასიმეტრიული ტერიტორიული მონყობის პირობებში, ერთი და იგივე დონის ტერიტორიული ერთეულების სტატუსი უფლესამოსილებები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ასიმეტრიული ტერიტორიული მონყობის ქვეყანად შეგვიძლია განვიხილოთ იტალიის რესპუბლიკა, რომელიც ჩვეულებრივი ავტონომიური სტატუსის მქონე 15 რეგიონსა და სპეციალური ავტონომიური სტატუსის მქონე 5 რეგიონს აერთიანებს.

ასიმეტრიული ფედერალიზმი შესაძლებელს ხდის რეგიონების განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინებას. მას განეკუთვნება რუსეთის ფედერაცია, ინდოეთი, რომელშიც რამდენიმე შტატს უფრო ფართო უფლებები აქვს, ვიდრე სხვა შტატებს. ასევე აშშ-ის შემადგენლობაში 50 შტატთან ერთად შედის კოლუმბიის ფედერალური ოლქი

და თავისუფლად მიერთებული ასოცირებული სახელმწიფო ჰუერტო-რიკო, რომლებსაც არ გააჩნიათ შტატის სტატუსი. ფედერაციული სახელმწიფოების არასუბიექტ ტერიტორიებს არ აქვთ თავიანთი კონსტიტუციები, არ ღებულობენ მონაწილეობას კონგრესის არჩევნებში, თუმცა მათ მიერ წარგზავნილი დელეგატები ჩართულნი არიან ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოში, არასუბიექტ ტერიტორიათა დელეგატების რაოდენობა ნაკლებია შტატებისათვის განსაზღვრულ დელეგატთა რაოდენობაზე (აშშ, ბრაზილი და სხვა). რაც შეეხება ასოცირებულ სახელმწიფოებს, ისინი თეორიულად დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან განეწინაურებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ასიმეტრიულობის ცალკეული ელემენტი გვხვდება შვეიცარიულ ფედერალიზმშიც. ასევე ასიმეტრიულ სახელმწიფოს მიეკუთვნება მალაიზიის ფედერაცია, სადაც განსხვავებული უფლებამოსილებები აქვთ.

ასიმეტრიული ფედერალიზმი არამცთუ არ ესწრაფვის ცხოვრების თანაბარი სტადარტების დაკვიდრებას (როგორც ეს გერმანიის შემთხვევაშია), არამედ გარკვეულ საზღვრებში დასაშვებადაც კი მიიჩნევს, ასე ვთქვათ, „ითმენს“ ამ უთანაბრობას და დისპროპორციას. ასიმეტრიული ფედერალიზმის მოდელისათვის დამახასიათებელია განსხვავებული სოციალური სისტემის არსებობა. ასიმეტრიულ ფედერაციულ სახელმწიფოში ფედერაციის სუბიექტებს აქვთ ე. წ. OPTING OUT-ის შესაძლებლობა, როდესაც მათ შეუძლიათ, საკითარი სურვილით, მონაწილეობა არ მიიღონ ცალკეული ფედერალური პოლიტიკური პროგრამის რეალიზაციაში.

ფედერაციული სახელმწიფოს განსაკუთრებული კომპეტენციებია:

- 1) საგარეო ურთიერთობები (ავსტრია, ავსტრალია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, მექსიკა, შვეიცარია);
- 2) თავდაცვა და შეიარაღებული ძალების მართვა (ავტრალია, ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ინდოეთი, კანადა, მექსიკა, შვეიცარია);
- 3) საზღვრების დადგენა და საბაჟო საქმე (ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ინდოეთი, მექსიკა, შვეიცარია);
- 4) ფულადი და სავალუტო მიმოქცევა და მონეტარული მონოპოლია (ავტრალია, ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, მექსიკა, შვეიცარია);

- 5) ზომისა და წონის ერთიანი სისტემის დადგენა (ავტრალია, ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, მექსიკა, შვეიცარია);
- 6) ფედერალური ფინანსები და გადასახადები (ავტრალია, ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, მექსიკა, შვეიცარია);
- 7) ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი (ავტრალია ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, მექსიკა, შვეიცარია);
- 8) საპასპორტო საქმე, ემიგრაცია, იმიგრაცია, ქვეყანაში შესვლა და ქვეყნიდან გასვლა, უცხოელების საკითხი (ავტრალია, ავტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, მექსიკა, შვეიცარია);
- 9) ფედერალური სარკინიგზო, საჰაერო, წყლის ტრანსპორტი (ავტრალია, ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, შვეიცარია);
- 10) სამოქალაქო, სისხლის, საპროცესო, სასჯელის აღსრულების, სატრანსპორტო, საპატენტო, საგამომგონებლო სამართალი და საწარმოო საკუთრების დაცვა (ავტრალია, ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, შვეიცარია);
- 11) ფედერალური სამართალდაცავი და სასამართლო ორგანოების დაფუძვნება (ავსტრია, გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა);
- 12) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა ფედერაციაში (ავსტრია, გერმანია, აშშ, ვენესუელა, ინდოეთი, შვეიცარია);
- 13) ომის გამოცხადება და ზავის დადება (გერმანია, არგენტინა, აშშ, ბრაზილია, ინდოეთი, შვეიცარია);
- 14) საბანკო საქმე (ავსტრია, ავსტრალია, არგენტინა, ვენესუელა, ინდოეთი, კანადა, შვეიცარია);
- 15) სახელმწიფო სტატისტიკა (ავსტრალია, ავსტრია, გერმანია, ბრაზილია, ვენესუელა, კანადა);
- 16) სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა (ავსტრია, გერმანია, არგენტინა, ბრაზილია, ინდოეთი, მექსიკა);

17) იარაღის, საბრძოლო მასალათა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა წარმოება, შექმნა, გასაღება და გავრცელება (ავსტრია, ბრაზილია, ინდოეთი, შვეიცარია);

18) სადაზღვევო საქმე (ავსტრალია, ავსტრია, ბრაზილია, ინდოეთი, კანადა, შვეიცარია);

19) ზემოაღნიშნულ საკითხებზე კანონების მიღება (ავსტრალია, გერმანია, არგენტინა, აშშ, მექსიკა).

20) კიდევ ერთხელ შეჯამების სახით რთული ანუ ფედერაციული სახელმწიფო ტერიტორია წარმოადგენს ფედერაციის სუბიექტების ტერიტორიების ერთობლიობას. განსაზღვრულია კომპეტენცია ფედერალურ და ფედერაციის სუბიექტთა ხელისუფლებებს შორის, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუცია, მოქალაქეობა და სხვა სახელმწიფოებრივი ნიშნები. პარლამენტი ბიკამერალური ანუ ორპალატიანია. ის შეიძლება დაყვით ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, სადაც ფედერაციის სუბიექტები მნიშვნელოვნად შეზღუდული სუვერენიტეტით ხასიათდებიან, ასევე ფედერაციის კონსტიტუცია არ განიხილავს ან კრძალავს ფედერაციის სუბიექტის გასვლას ფედერაციიდან (აშშ, გერმანია, ბრაზილია). ასევე შერეული სახის, სადაც ტერიტორიული და ეროვნული პრინციპით მონყობილი ფედერაციული სახელმწიფოა (რუსეთი) და ეროვნულ-ტერიტორიული, სადაც ფედერაციის სუბიექტები ხასიათდებიან მნიშვნელოვანი სუვერენული უფლებებით, სუბიექტებს აქვთ ეროვნული თვითგამორკვევის უფლება.

III. საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მონაცობა და მართა

III.I. სახელმწიფო მმართველობის ფორმები საქართველოში

პირველი ქართული სამეფო დინასტია ფარნავაზიანებთან არის დაკავშირებული, რომელსაც დასაბამი ფარნავაზ I-მა მისცა. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ფარნავაზიანების წარმომადგენლები სამეფო ტახტს ფლობდნენ ახ. წ. VI საუკუნემდე, თუმცა „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით III საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის ტახტი დაიკავა ხოსროვანთა დინასტიის წარმომადგენელმა, მირიან III-მ. შესაბამისად ამ ნარატივის მიხედვით, ფარნავაზიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი იყო მეფე ასთავური.

ფარნავაზიანთა დინასტიის შემდგომ საქართველოში ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლები უდგებიან მართვას სათავეში, კერძოდ კი ახ. წ. 575 (809)-1810 წლებში. ბაგრატიონები წარმოშობით სამხრეთ საქართველოს სპერის (ისპრის) პროვინციიდან იყვნენ (ამჟამად თურქეთის ისპირის რაიონი). ქართულ ისტორიულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ საგვარეულოს სათავე დაუდო ბივრიტიანთა (ბივრატიანთა) ფეოდალურმა საგვარეულომ (ბივრიტიანები ჯერ კიდევ ძვ. წ. მე-3 საუკუნიდან

განაგებდნენ ოძრხეს საერისთაოს). სწორედ ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელმა ბაგრატ მესამემ შეძლო 978 წელს საქართველოს გაერთიანება და ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში მონარქიულ მმართველობას, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე 1801 წლამდე იარსება.

საქართველოში ყველაზე ხანგრძლივად მონარქიული მმართველობა იყო, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს და როგორც ავღნიშნეთ იგი 1801 წლამდე, რუსეთის მიერ საქართველოს პირველ ანექსიამდე გაგრძელდა. ანექსიას შედეგად მოჰყვა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და ბაგრატიონთა დინასტიის მრავალსაუკუნოვანი მმართველობის შეწყვეტა.

1801 წლამდე საქართველოში მონარქიული მმართველობა აბსოლიტური მონარქიის სახეს ატარებდა. საქართველოს აგრესიულ გეოპოლიტიკურ გარემოში უწევდა არსებობა. ქართველი მეფეების მთავარ ამოცანას მუდმივად წარმოადგენდა ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება, როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი რეგიონული სეპარატიზმის, ისე სხვა სახელმწიფოების აგრესიისაგან. ამ ამოცანის შესრულება კი მოითხოვდა სახელმწიფო ხელისუფლების მაქსიმალურ ცენტრალიზაციას, რასაც უპასუხებდა მმართველობის აბსოლიტური მონარქიის ფორმა. თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, საქართველოს მეფის ხელისუფლება არასოდეს ყოფილა დესპოტური ერთმმართველობა. უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიაში იყო მცდელობა მონარქიული მმართველობის სხვა ფორმის შემოღებისა. კერძოდ, მე-12 საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 1185 წელს თამარ მეფის დროს მოხდა მეფის ერთ-ერთი ვაჟირის-მეჭურჭლეოხუცესს ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც სახელმწიფო მმართველობის შეცვლის საფასვლით გამოკვეთილი პოლიტიკური პროგრამა წამოაყენა. ყუთლუ-არსლანის პროგრამით გათვალისწინებული იყო წარმომადგენლობით ორგანოს- „კარავის“ შექმნა, რომელსაც კანონების მიღების და უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელების განსაკუთრებული უფლებამოსილება ექნებოდა, მეფის ხელში კი მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა. თანამედროვე სამეცნიერო კრიტერიუმებს თუ მოვიშველიებთ, ცხადი ხდება, რომ ამ პოლიტიკურ ჯგუფს პარლამენტური მონარქიის დამყარება ჰქონდა განზრახული. ეს

ისტორიული ფაქტი საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც იმდროინდელ მსოფლიოში არც იდენის და მითუმეტეს, არც პრაქტიკის თავლაზრისით პარლამენტურ მონარქიას ანალოგი არ მოიძებნება. ინგლისში, რომელიც პარლამენტარიზმის აკვნად ითვლება, „თავისუფლების დიდი ქარტია“ ზემოაღნიშნული ფაქტიდან მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1215 წელს მიიღეს, ხოლო პირველი პარლამენტი-80 წლის შემდეგ 1265 წელს შეიქმნა. რაც შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ცნობილ თეორეტიკოსებს ჯ. ლოკს (ინგლისი) და შ. მონტესკიეს (საფრანგეთი), ისინი ამ ფაქტიდან თითქმის ოთხი საუკუნის შემდეგ დაიბადნენ.

მართალია, ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა არ განხორციელებულა, ორივე მხარემ დათმო: ყუთლუ-არსლანი არ დაუსჯიათ, ხოლო დიდგვაროვანთა ცალკე „კარავი“ უარყოფილი იქნა, მაგრამ სამეფო ხელისუფლებისა და ყუთლუ-არსლანის მომხრეთა შორის მომხდარი შეთანხმების თანახმად, მეფის ხელისუფლება შეიზღუდა დარბაზის „თანაზიარობითა და ერთნებობით“, ე.ი. ქვეყნის მართვა გამგეობას მეფესთან ერთად დარბაზიც ახორციელებდა. რადგან აქ მეფის ხელისუფლების მხოლოდ გარკვეული შეზღუდვა მოხდა და მას არ მოჰყოლია ხელისუფლების რაიმე სახით დანაწილება მონარქსა და დარბაზს შორის, ამიტომ სახელმწიფო მმართველობაში განხორციელებული ეს ცვლილება არ შეიცავს დუალისტური მონარქიის ნიშნებს. საქართველოში კვლავ აბსოლუტური მონარქიული მმართველობა გაგრძელდა, ოღონდ მეფის ხელისუფლების გარკვეული შეზღუდვით.

1801 წლიდან საქართველო იძულებული იქნა ინკორპორირებული რუსეთის იმპერიაში, რომელიც თავის მხრივ, მონარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამდენად, ქართველს ერს საკუთარი სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, უცხო ქვეყნის მონარქიულ სახელმწიფოში მოუწია არსებობა 1917 წლამდე, როდესაც რევოლუციის შედეგად რუსეთის მონარქია დაემხო.

1918-1921 წლებში საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის თანახმად, „ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“. მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არ მოჰყოლია მონარქიული მმართველობის აღდგენა. პირიქით, სახელმწიფოს მმართველობის

ფორმად განისაზღვრა რესპუბლიკური წეს-წყობილება. უფრო მეტიც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციით მმართველობის ამ ფორმის არჩევამ კიდევ უფრო კატეგორიული და ამასთანავე უპრეცედენტო ხასიათი შეიძინა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველ მუხლში სახელმწიფო მმართველობის ფორმის განსაზღვრისას ასეთი დებულებაა გადმოცემული: „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“. აქ რომ შემთხვევით არ არის გამოყენებული სიტყვები „მუდმივი და უცვლელი“, ე.ი. რაც გადასინჯვას არ ექვემდებარება, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ამავე კონსტიტუციის 148-ე მუხლში გამყარებულ ამკრძალავ ნორმას მოვიშველიებთ. მასში იმპერატიულად არის ნათქვამი: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართვა-გამგეობის ფორმის გაუქმება არ შეიძლება გახდეს კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადების საგნად“.

როგორც ვხედავთ, ჩვენმა წინაპრებმა მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის ფორმად „მარადიული რესპუბლიკა“ დაგვიტოვეს პოლიტიკურ ანდერძად. ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ იმით, რომ იმ პერიოდის დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენდნენ, რომლებიც თავგამოდებით ებრძოდნენ რუსეთის ცარისტულ რეჟიმს და მათთვის მონარქიული მმართველობა საერთოდ მიუღებელი იყო, უწინარეს ყოვლისა, იდეოლოგიური თვალსაზრისით.

კონსტიტუციამ სახელმწიფო მმართველობის ფორმად საპარლამენტო რესპუბლიკა დაამკვიდრა, ოღონდ მნიშვნელოვანი თავისებურებებით. მართალია, სახელისუფლებო სტრუქტურები ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე იყო აგებული, მაგრამ სახელმწიფო მმართველობის სისტემაში არ არსებობდა სახელმწიფო მეთაურის პოსტი. მის მოვალეობებს გარკვეული თვალსაზრისით ავსებდა მთავრობის თავჯდომარე, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად ენიჭებოდა „რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა“, თუმცა იგი მაინც არ იყო საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო მეთაურის-პრეზიდენტის ტოლფასი ინტიტუტი.

აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ საქართველოში 1918 წლიდან 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდეც შემოღებული იყო სახელმწიფო მმართველობის რესპუბლიკური ფორმა საპარლამენტო რესპუბლიკის სახით, სახელმწიფოს მეთაურის-პრეზიდენტის გარეშე, ე.ი. ისეთი, როგორც ამას 1921 წლის კონსტიტუცია ადგენდა. ამიტომ საფუძველს მოკლებულია ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ნ. ჟორდანიას დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი იყო.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მეორე ანექსიის შემდეგ (1921 წელი), საქართველო სოციალისტური ტიპის სახელმწიფო ჩამოყალიბდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახით, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იქნა იძულებით ინკორპორირებული ამ კავშირიდან გასვლის ფორმალური უფლებით. საბჭოთა საქართველოს ოთხივე კონსტიტუცია (1922, 1927, 1937, 1978 წ.წ.) ხელისუფლების ერთიანობის პრინციპზე იყო აგებული, მართალია, ძირითადი კანონებით განსაზღვრული იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ფუნქციონირება, მაგრამ ამავე კონსტიტუციებით საზოგადოების ხელმძღვანელ და წამმართველ ძალას, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ბირთვს კომპარტია წარმოადგენდა, რომელიც მოქალაქეთა ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება იყო იმდორინდელ პოლიტიკურ სისტემაში. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო შესასრულებლად ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის. ამიტომ ხელისუფლების დანაწილება ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა ფიქცია იყო.

მმართველობითი ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის გათვალისწინებით, საქართველო 1921-1990 წლებში ტოტალიტარულ რესპუბლიკას წარმოადგენდა (ტერმინი „რესპუბლიკა“ აქ გამოყენებულია, როგორც „მონარქის“ ანტიპოდი). გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ კვლავ აღადგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. აუცილებელი გახდა სახელმწიფო ხელისუფლების რეფორმირება. გარდამავალ პერიოდში ხელისუფლება შეუდგა, ერთი მხრივ, 1978 წლის საბჭოური კონტიტუციის მოდერნიზებას, ხოლო, მეორე მხრივ, 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე ახალი ძირითადი კანონის მომზადებას. 1978 წლის საქართველოს კონტიტუციის გადასინჯვის შედეგად, ქვეყნის მმართველობა

საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით ჩამოყალიბდა, ოღონდ პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე, ანუ დაახლოებით ისეთი სახით, როგორც ეს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით იყო განსაზღვრული. ამ მოდელის უდავოდ ნაკლოვანი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ სახელმწიფოს არ ჰყავდა მეთაური, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ამ ხარვეზს მთავრობის თავჯდომარის, ხოლო 1978 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია უზენაესი საბჭოს თავჯდომარის გაზრდილი უფლებამოსილებებით ავსებდა. მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, ეს ინსტიტუტები სახელმწიფოს მეთაურის მხოლოდ სუროგატს წარმოადგენდნენ. ამ ხარვეზის შესავსებად 1991 წლის 14 აპრილს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილებები რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების მიზნით. კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად საქართველო ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკა გახდა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის მსგავსად. მმართველობის ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკებისათვის დამახასიათებელი მექანიზმების ერთგვარ სიმბიოზს წარმოადგენდა. მართალია, ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკის დროს პრეზიდენტის ინსტიტუტი საკამოდ ძლიერია, მაგრამ ამასთანავე, არსებობს ძლიერი მთავრობის მეთაურიც. მთლიანად მთავრობა უნდა სარგებლობდეს პარლამენტის ნდობით. პრეზიდენტის მიერ პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნის შესაძლებლობა უაღესად მოქნილს ხდის ამ მოდელს.

კონსტიტუციური ცვლილებების საფუძველზე 1991 წლის 26 მაისს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ზვიად გამსახურდიამ და გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. 1991 წლის მიწურულს საქართველოში შექმნილ მწვავე პოლიტიკური კრიზისი შეიარაღებულ შეტაკებაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა კანონიერად არჩეული ხელისუფლების ძალით დამხობა და სახელმწიფო გადატრიალება. ხელისუფლებას არალეგიტიმური სამხედრო საბჭო დაეუფლა, რომელმაც შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა უზენაესი საბჭო და სახელმწიფო მართვის სტრუქტურები დაიქვემდებარა. საქართველოში დამყარდა სამხედრო დიქტატურა.

1992 წლის 6 ნოემბერს ახალადარჩეულმა პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელსაც საქართველოში ახალი კონსტიტუციის მიღებამდე უნდა განესაზღვრა საქართველოს სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება, მათი მოწყობისა და საქმიანობის წესი. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს პარლამენტი შედგებოდა მაჟორიტარული და პროპორციული წესით არჩეული დეპუტატებისა და პარლამენტის თავჯდომარისაგან, რომელსაც უშუალოდ ირჩევდა ხალხი. შემდეგ ორი მესამედის უმრავლესობით ირჩევდა პარლამენტის თავჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურად, თუმცა იგი პარლამენტის თავჯდომარის პოსტს ინარჩუნებდა. პარლამენტის თავჯდომარე-სახელმწიფოს მეთაური ამასთანავე იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც. ერთი სიტყვით, ეს იმდენად უპრეცედენტო რამ იყო, რომ იგი სახელმწიფო მმართველობის ფორმებისა თუ სახეობების დღემდე ცნობილ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს საერთოდ არ ექვემდებარება. ამიტომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, საქართველოში 1992-1995 წლებში სახელმწიფო მმართველობის რა მოდელი არსებობდა.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში იგი რიგით მეორე ძირითადი კანონია. ახალი კონსტიტუციით მმართველობის საპრეზიდენტო სისტემა დამყარდა. ამ სისტემის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც უშუალოდ ირჩევდა ხალხი, არის სახელმწიფოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური. მინისტრთა კაბინეტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, კოლეგიური და პასუხისმგებელი რგოლი, არ არსებობს. მთავრობა მხოლოდ პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა და მის წინაშე პასუხისმგებელი. პრეზიდენტს გააჩნია ფართო უფლებამოსილებები, მაგრამ არ აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი. სახელმწიფოს მმართველობის ეს მოდელი მრავალი ნიშნის მიხედვით ძალზედ წააგავდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მმართველობის სიტემას, რომელიც წმინდა, ანუ კლასიკური საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახელითაა ცნობილი.

სახელმწიფოს მმართველობის საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი, რომელიც ამ კონტიტუციით იყო დადგენილი, საბოლოო ანგარიშში, არაეფექტიანი გამოდგა გარდამავალ პერიოდში მყოფი ახალი დემოკრატიული ქვეყნისათვის. ამის ნათელი

დადასტურება იყო 2003 წლის ნოემბერში საქართველოში სახელისუფლებო კრიზისი, რომლის შედეგად სახელმწიფო მეთაური პოსტიდან გადადგა, ხოლო 2004 წლის 6 თებერვალს საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებებით საპრეზიდენტო მმართველობა ნახევარადსაპრეზიდენტო, შერეული ტიპის მმართველობით შეიცვალა. ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა სისტემაში თავისი ადგილი დაიკავა საქართველოს მთავრობამ, როგორც კოლეგიურმა ორგანომ, ქვეყნის პრეზიდენტი გათავისუფლდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის მოვალეობებისაგან, იგი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია. მთავრობა პასუხისმგებელია, როგორც პარლამენტის, ისე პრეზიდენტის წინაშე. ამასთანავე, პრეზიდენტი უფლებამოსილია გადააყენოს მთავრობა და დაითხოვოს პარლამენტი. მართალია, ქვეყანა საპრეზიდენტო მმართველობიდან ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე გადავიდა, მაგრამ კონტროლისა და შეკავების მექანიზმები ისე ჩამოყალიბდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შორის ბალანსი აშკარად პრეზიდენტის ძალაუფლების სასარგებლოდ დაირღვა. ამის გამო საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად დაკნინდა, რაც მორიგი პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

ამრიგად, საქართველოს ისტორიაში სახელმწიფო მმართვეობის თითქმის ყველა ფორმა მათი სახეობები იყო გამოყენებული. რესპუბლიკური მმართველობიდან გამოიყვანა მისი ყველა სახეობა: საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო(შერეული), საპარლამენტო მმართველობა. მონარქიული მმართველობიდან კი მხოლოდ მისი ერთ-ერთი სახეობა-აბსოლისტური მონარქია. რაც შეეხება პარლამენტურ მონარქიას, მისი გამოყენების პრაქტიკა ჩვენ ქვეყანას არ გააჩნია.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების მიერ. საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა. ქვეყნის ტერიტორიული მონაცობა კი ასიმეტრიულია. ის მოიცავს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას და 83 მუნიციპალიტეტს. ხელისუფლების დანაწილების

პრინციპი დეკლარირებულია საქართველოს კონტიტუციით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში იურიდიულად პოლიტიკური ფუნქციები გადანაწილებული აქვს პარლამენტს, მთავრობასა და სასამართლოს. სამივე ხელისუფლება თანაბრად დამოუკიდებელია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და კონტროლს დანარჩენ ორ ხელისუფლებას უწევს, ანუ მოქმედებს ურთიერთკონტროლისა და დაბალანსები მექანიზმში.

საქართველო ნახევრადსაპრეზიდენტო წყობილების ქვეყანაა. პრეზიდენტი არის მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური და წარმართავს ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული. პარლამენტში 73 მაჟორიტარული და 77 პროპორციული სიით არჩეული დეპუტატი შედის, რომლებიც პარლამენტში შექმნილ სხვადასხვა კომისიებში მონაწილეობით განიხილავენ და ამტკიცებენ საკანონმდებლო ინიციატივებს. ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი ორგანო აღმასრულებელი ხელისუფლებაა. მას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და შედგება სამინისტროებისა და მათი ხელმძღვანელებისაგან, მინისტრებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტს და მთავრობას ქვეყანაზე თანაბარი გავლენა უნდა ჰქონდეს, რეალურად პარლამენტის როლი მაინც შესუსტებულია და დღევანდელ ხელისუფლებაში ყველაზე დიდი გავლენა პრემიერ-მინისტრს ანუ აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს. ხელისუფლების კონკრეტულ შტოდ არ იყოფა, თუმცა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ერთ-ერთი ნაწილია ადგილობრივი ხელისუფლება, რომლის ხელმძღვანელი პირები-მერები არჩევითია.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონის მიღების შემდეგ, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ოდნავ შეიცვალა და 5 თვითმმართველ ქალაქს კიდევ 7 დაემატა. საბოლოოდ 12 თვითმმართველი ქალაქი და 71 თვითმმართველი თემი ჩამოყალიბდა. მათ შორის იურიდიულად განსხვავება არ არსებობს. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, იგი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებისაგან შედგება. იგი თავის მხვრივ რაიონულ(საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებად იყოფა.

ასევე საინტერესოა განვიხილოთ ვის რა უფლება-მოვალეობები აქვს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყანაში ინსტიტუციების უფლებამოსილებები ერთმანეთისაგან გამიჯნულია. ქვეყნის მმართველობის სხვა ორგანოებისაგან მკვეთრად არის გამიჯნული საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები. კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და ქვეყნის სამხედრო ძალების მთავრსარდალი. იგი ქვეყნას წარმოადგენს საგარეო ურთიერთობებში. პრეზიდენტი მონაწილეობას ღებულობს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნაში. იგი ასევე აკომპლექტებს მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობასა და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები ბევრად შემცირდა და ნაწილობრივ პრემიერ-მინისტრის კომპეტენციაში გადავიდა. ამიტომ საქართველოს ნახევრადსაპრეზიდენტო ტიპის რესპუბლიკსაც მოიხსენიებენ.

აღმასრულებელი ხელისუფლება-ეს არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, იგი ასევე ანგარიშ-აღდებულია პარლამენტის წინაშე. მის მოვალეობაშია პარლამენტის მიერ მიღებული კანონების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის მეთაურია პრემიერ-მინისტრი, რომელიც უძღვება მინისტრთა კაბინეტს და პასუხისმგებელია, მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის სხვა წევრებს და უფლებამოსილია ისინი თანამდებობიდანაც გაათავისუფლოს. პრემიერ-მინისტრს საქართველოს ყველა რეგიონში თავისი რწმუნებული ჰყავს, რომელიც ადგილზე მიმდინარე სახელმწიფო პროექტებს უწევს კოორდინირებას და მოსახლეობასა და მთავრობას შორის შუამავლის როლს ასრულებს. სამხარეო რწმუნებულს ასევე შექმნილი აქვს სამხარეო საბჭო, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები წევრიანდებიან და რეგიონის განვითარებისთვის სხვადასხვა პროექტის განხორციელებას გეგმავენ. ისევე სახელმწიფოს სხვა ორგანოები, უფლებამოსილებები გამიჯნულია თვითმმართველობებშიც. თვითმმართველობა არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია, რომლებიც ერთობლივად წყვეტენ სხვადასხვა საკითხებს. მოქალაქეების მხრიდან

თვითმმართველობის უფლების გამოყენება იწყება ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობით და გრძელდება საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემის გადაწყვეტაში ჩართულობით.

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოებისაგან თავის მხრივ გამიჯნულია სასამართლო ხელისუფლება, რომელიც დამოუკიდებელია და ორი: საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოსაგან შედგება. საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო), სააპელაციო, უზენაესი, რომლებიც მართლმსაჯულებას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებას ახორციელებენ. რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების შექმნა და მათი სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ხდება. რაც შეეხება უზენაეს სასამართლოს, მას ირჩევს საქართველოს პარლამენტი, არანაკლებ 10 წლის ვადით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი 9 მოსამართლისაგან შედგება, რომელთა 3 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 3 საქართველოს პარლამენტი ირჩევს, დანარჩენ 3 წევრს კი საქართველოს უზენაესი სასამართლო ნიშნავს. მათი უფლებამოსილების ვადაა 10 წელი.

საქართველოში მმართველობის რეპუბლიკურ ფორმის ყველა სახეობის მონაცვლეობა უკანასკნელი 17 წლის მანძილზე მოხდა, რაც დამახასიათებელია ტრანსფორმირებადი ქვეყნისათვის, რომელიც ტოტალიტარული(სოციალისტური) რეჟიმიდან გამოსვლასა და დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლას ცდილობდა.

სახელმწიფოს მმართველობის ფორმის სახეობათა ასეთი ხშირი ცვლილება ქვეყნის ისტორიის უაღრესად მოკლე პერიოდში, ჩემი აზრით გამოწვეულია სახელმწიფოს მმართველობის ინსტიტუტის შესაძლებლობების გადაჭარბებული გავებით, მასზე იმ ამოცანების დაკისრებით, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ მმართველობის თუნდაც ყველაზე დემოკრატიული სისტემით შეუძლებელია. არსად მომხდარა, რომ სახელმწიფოს მმართველობის ფორმის თუ მისი სახეობების შეცვლას (თუნდაც ყველაზე დემოკრატიულით) მყისიერად გამოეწვიოს საყოველთაო კეთილდღეობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და დემოკრატიული წყობილების დამყარება. მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია როგორც

რესპუბლიკური(საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო, საპარლამენტო) ასევე მონარქიული(პარლამენტური მონარქიის) მმართველობის პირობებში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმები და სახეობები განსხვავებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიაში (საპარლამენტო რესპუბლიკებში), აშშ და არგენტინაში (საპრეზიდენტო რესპუბლიკები), დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში (პარლამენტური მონარქიები), ამ ქვეყნებში დამკვიდრებული დემოკრატიული სახელმწიფო რეჟიმი. მაშასადამე, მთავრია სახელმწიფო მმართველობის სისტემა იყოს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული, ხოლო თუ რა ფორმის ან სახეობის იქნება იგი, ეს სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია ამათუიმ ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებებზე.

იმის გამო, რომ საქართველოში, როგორც ეს უკვე ზემოთ ავლნიშნეთ რესპუბლიკური მმართველობის ყველა სახეობა გამოიყვანა და მან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, კერძოდ, ვერ უზრუნველყო ქვეყნის სტაბილური, მდგრადი განვითარება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების კონსტიტუციით დადგენლი წესით არჩევნების გზით მონაცვლეობა, ტერიტორიული მთლიანობა, ხალხის კეთილდღეობა, ადამიანის უფლებების დაცვა და ა. შ. საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება ქვეყანაში პარლამენტური მონარქიის შემოღების მიზანშეწონილობის შესახებ. ამ იდეას მხარი დაუჭირა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II და ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, აგრეთვე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის არგუმენტი, რომლებიც საქართველოში მონარქიული მმართველობის (რათქამაუნდა პარლამენტური მონარქიის) აღდგენის სასარგებლოდ შეიძლება იქნას გამოყენებული.

საქართველოში მონარქიის აღდგენა, უწინარეს ყოვლისა, იქნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა. ქართველ ხალხს არასოდეს უთქვამს უარი მონარქიულ მმართველობაზე. ამ საკითხზე საქართველოში რეფერენდუმი არ ჩატარებულა და შესაბამისად, არც ხალხის ნება გამოხატულა იმ ფორმით, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობა ექნებოდა. საქართველოში მონარქიული სახელმწიფოებრიობა გაუქმდა უცხო ქვეყნის-რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიისა და ანექსიის შედეგად.

ამიტომ მონარქიული მმართველობის აღდგენა გარკვეულ სამართლებრივ კავშირს აღადგენდა დღევანდელ და 1801 წლამდე არსებულ ქართულ სახელმწიფოებრიობას შორის, შექმნიდა ქართული სახელმწიფოებრიობის უწყვეტობის განცდას. მონარქიის აღდგენის შემთხვევაში აღარ იქნება სახელმწიფოს მეთაურის-პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც ავტორიტარულ მმართველობაში გადაზრდის მომეტებულ საფრთხეს შეიცავს.

პარლამენტური მონარქიის დროს სახელმწიფოს მეთაური მონარქია, რომელიც უვადოდ იკავებს ამ პოსტს და მისი შეცვლა შეიძლება მხოლოდ ტახტის მემკვიდრეობის წესით. ამასთანავე, ტახტის მემკვიდრეს მომავალ მონარქს ყოველმხრივ ამზადებენ სახელმწიფოს მართვისათვის, ზრდიან ეროვნული სულისკვეთებითა და ქვეყნისათვის თავდადებული სამსახურისათვის. მონარქი არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ ცვილებებზე და უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობითობას. მონარქი უშუალოდ არ ახორცილებს მმართველობას, მას ძირითადად მორალური გავლენა აქვს ხელისუფლებაზე. რეალურად ქვეყანას მართავს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პარლამენტში უმრავლესობის მქონე მთავრობა. მონარქი დგას პოლიტიკურ და პარტიულ უთანხმოებებზე მალლა და ასრულებს ნეიტრალური არბიტრის როლს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. გამომდინარე აქედან, პარლამენტური მონარქიის პირობებში გამორიცხულია სახელმწიფოს მეთაურის დიქტატორულ ან ტირანულ მმართველად გადაქცევა. პირიქით, სახელმწიფოს მეთაური-მონარქი მონოდებულია არ დაუშვას რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების უკანონოდ მითვისება. მონარქი ერისა და ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა. სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებისაგან განსხვავებთ, რომლებიც ამომრჩეველთა უმრავლესობის ნების საფუძველზე იქმნებიან, მონარქი წარმოადგენს მთელ ერს, მთელ ხალხს, თითოეულ მოქალაქეს, მიხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა. ამდენად, მონარქი ერის კონსოლიდაციისა და მთლიანობის გარანტია. მონარქი თვალსაჩინოდ განასახიერებს ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეას. იგი უზრუნველყოფს ეროვნული ტრადიციების, ენისა და სარწმუნოების, კულტურული მემკვიდრეობისა და საერთოდ ეროვნული

თვითმყოფადობის დაცვასა და შენარჩუნებას. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მცირერიცხოვანი ერებისათვის თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში.

პარლამენტური მონარქიის პირობებში მეტი შესაძლებლობებია ქვეყნის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმების ერთიანი სამეფოს ფარგლებში თანაარსებობისათვის, ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისა და სეპარატისტული ტენდენციების დაძლევისთვის, რაც მეტად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის, რომელსაც ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არააქვს და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურსიდიქცია სრულად არ აღუდგენია.

როგორც ვხედავთ საქართველოში პარლამენტური მონარქიის შემოღებას შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს სახელმწიფოს მმართველობის სისტემის შემდგომ სრულყოფასა და სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემის გადაჭრაში. ამასთანავე, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მონარქიის აღდგენა ისევე იოლი საქმეა, როგორც, მაგალითად, საპრეზიდენტო რესპუბლიკის ნაცვლად საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღება. საპრეზიდენტო რესპუბლიკის საპარლამენტოთი შეცვლა სახელმწიფო მმართველობის ერთი ფორმის-რესპუბლიკის შიგნით ერთი სახეობიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს, ამიტომ რესპუბლიკური მართვა-გამგეობისათვის დამახასიათებელი ზოგადი ასპექტები არ იცვლება და ძალაში რჩება. შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება და საზოგადოების ცნობიერება გარკვეული მოთმინებით ხვდება ასეთ რეფორმებს. რაც შეეხება რესპუბლიკის მონარქიით შეცვლას, ეს უკვე სახელმწიფოს მმართველობის ერთი ფორმიდან მეორეზე გადასვლას ნიშნავს და სახელმწიფოს მმართველობის ისეთ ღრმა, თვისობრივ ცვლილებებთან არის დაკავშირებული, რომ მისი წარმატებით განხორცილება გარკვეულ დროსა და საზოგადოებრივი ცნობიერების სათანადო მომზადებას მოითხოვს. გავიხეინოთ, თუნდაც უკუპროცესი, კერძოდ, რამდენი დრო და რევოლუციები დასჭირდა სხვადასხვა ქვეყანაში აბსოლუტური მონარქიების დამხობასა და მათ შეცვლას რესპუბლიკური მმართველობით. იმ ქვეყნებში კი, სადაც პარლამენტური მონარქიები დღემდე შემორჩენილია და წარმატებით ასრულებენ სახელმწიფო დემოკრატიული მმართველობის ფუნქციებს, სახელმწიფო ხელისუფლების

რეფორმირება განხორციელდა, ერთის მხრივ, აბოსლუტური მონარქიის შეზღუდვასა და მეორე მხრივ, ხალხის ძალაუფლების გაძლიერების მეოხებით, ე.ი. სახელმწიფოს მმართველობის ფორმა კი არ შეიცვალა, არამედ-ერთი ფორმის შიგნით მისი სახეობა. შედეგად, მონარქიული მმართველობა გახდა დემოკრატიული, ხალხისათვის მისაღები და გააგრძელა არსებობა. საზოგადოების ცნობიერებაში ეროვნული სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილურობა და მონარქიული მმართველობა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს და თაობების აღზრდაც სწორედ ამ რეალობაში და ამ სულისკვეთებით მიმდინარეობს.

ქართველი ერის თანამედროვე თაობას ძალზედ დიდი დრო აშორებს ქართული მონარქიული სახელმწიფოსაგან. 1801 წლიდან თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მრავალი თაობა აღიზარდა არამართო საკუთარი სახელმწიფოებრიობის განცდის გარეშე, არამედ მონარქიისადმი შეურიგებელი იდეოლოგიური ბრძლოს პირობებში (განსაკუთრებით ბოლშევიზმის პერიოდში). ამიტომ ქართული ეროვნული ცნობიერება არ მგონია დღეს მზად იყოს რესპუბლიკასა და მონარქიას შორის არჩევანის გასაკეთებლად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას ხელს შეუშლის აგრეთვე ქვეყანაში ამჟამად არსებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა. შეუძლებელია მონარქიის შემოღება იმ ქვეყანაში, სადაც სიღარიბის დაძლევა ხელისუფლების ერთი-ერთი მთავარი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. ხელისშემშლელი გარემოებაა აგრეთვე ისიც, რომ ჯერჯერობით არ არის დადგენილი და კვლავ საკამათოა ბავრათიონთა დინასტიიდან ვინ შეიძლება გახდეს მონარქი საქართველოს პარლამენტური მონარქიის შემოღების შემთხვევაში.

ზემოაღნიშნული ხელისშემშლელი გარემოებების დაძლევა რასაკვირველია შეიძლება, თუმცა იგი დიდ დროსა და ძალისმხევას მოითხოვს. მთავარია არსებობდეს ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა თანხმობა ამ საკითხში და ამის შესაბამისად ტარდებოდეს მიზანიმართული ღონისძიებები სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რათა ხალხი დარწმუნდეს, რომ მონარქიული მმართველობის შემოღება ხელს შეუწყობს ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი უმინიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას. ამის შემდეგ, არჩევანი მონარქიასა და რესპუბლიკას შორის თავად ხალხმა უნდა გააკეთოს რეფერენდუმით, რადგან სახელმწიფოს მმართველობის ფორმის შეცვლა ვფიქრობ არ

შეიძლება იყოს მხოლოდ პოლიტიკური პარტიების, თუნდაც არჩევნებში გამარჯვებულის გადასაწყვეტი საკითხი. ჩემი აზრით მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი საქართველოში XII საუკუნეში დაწყებული პარლამენტური მონარქიის შემოღების მცდელობის დასრულება XXI საუკუნეში.

III.II. საქართველოს ტერიტორიული მონყობა თანამედროვე ეტაპზე

სახელმწიფოს ეფექტური მმართველობითი სისტემის შესაქმნელად აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას ცენტრალური ხელისუფლების დონეზე ძალაუფლების დანაწილების პრინციპი წარმოადგენს (იგულისხმება კლასიკური დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების განმტოვებად). განვითარებული ქვეყნების საზოგადოებები და კლასიკური ელიტები კარგა ხანია შეთანხმდნენ იმაზე, რომ ვერცერთი ხელისუფლება, რაოდენ „გონიერი“ და „ინფორმირებულიც“ არ უნდა იყოს, იგი ვერ შეძლებს ერთი ცენტრიდან გადაწყვეტოს თითოეული ქალაქისა თუ სოფლის მოსახლეობის წინაშე მდგარი კონკრეტული და სპეციფიკური პრობლემები. სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის თანაბარი და ეფექტიანი საარსებო გარემოს შექმნა მხოლოდ დეცენტრალიზაციის საშუალებით არის შესაძლებელი.

ისტორიულად საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ორი დონის გამოყოფა არის შესაძლებელი: ადგილობრივი (ე.წ. პირველი ანუ ქვედა-ქალაქი, დაბა, თემი, სოფელი) და შუალედური (ანუ რეგიონული-მხარე, კუთხე, პროვინცია) დონეებად. მათ აერთიანებდა ერთი საერთო პრონციპი ისინი იქმნებოდა გარკვეული ერთიანი ეკონომიკური თუ გეოგრაფიული პირობების მქონე ტერიტორიებზე. უცხოელთა ბატონობის პერიოდშიც ცალკეულ პროვინციათა საზღვრები თითქმის

უცვლელი რჩებოდა. ბუნებრივია ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულთა საზღვრების უცვლელობა განპირობებული იყო არა ჩამოყალიბებული ტრადიციის ურღვევობის სურვილით, არამედ ეკონომიკურ-გეოგრაფიული ზეგავლენით.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ზედა დონის (მხარეების) ცვლილების პროცესი კიდევ უფრო მეტი კონსერვატიზმით ხასიათდება. თანამედროვე ისტორიული კუთხეების უმრავლესობის საზღვრები ძირითადად, ძვ. წთ. II ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ეს ტერიტორიები საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელ მანძილზე ხან დამოუკიდებელ პოლიტიკურ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ, ხანაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს.

დასახლებულ პუნქტებსა თუ ტერიტორიულ ერთეულებს გააჩნდათ თავიანთი მმართველობის სისტემა. თემებში და ცალკეულ სოფლებში ეს იყო უხუცესთა და მამასახლისთა ინსტიტუტი, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისამდე იარსება. ქალაქისათვის უფრო რთული და სისტემატიზებული მმართველობის ფორმები იყო დამახასიათებელი. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1801 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაში. XIX საუკუნეში განხორციელებული რეფორმების შედეგად, ათამდე ისტორიული მხარის ნაცვლად შეიქმნა 20 მაზრა. მაზრების საზღვრები ძირითადად ემთხვეოდა ისტორიული ოლქების საზღვრებს. საბჭოთა პერიოდში (1920-1939-იანი წლები) მაზრების სისტემა გაუქმდა და საქართველო დაიყო რაიონებად. რაიონები ზომით ბევრად ჩამოუვარდებოდა, როგორც ისტორიულ მხარეებს, ისე მაზრებს. რაიონთა რაოდენობა ხშირად იცვლებოდა. საბჭოთა პერიოდის კანონმდებლობა არ ცნობდა უფლებამოსილებათა მკაფიოდ გამიჯვნის პრინციპს. ყველა დონის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ხელისუფლებას იურიდიულად ერთნაირი უფლებები გააჩნდა. ამ გარემოებამ, ტოტალიტარული და ერთპარტიული სისტემის კოლაფსის პერიოდში, ე.წ. „კანონთა ომის“ სახე მიიღო და ცენტრალურ, რეგიონულ თუ ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის წინააღმდეგობის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის საქართველოში იყო ორი ავტონომიური რესპუბლიკა, 65 რაიონი და 4 საქალაქო ზონა, 13 რესპუბლიკური

დაქვემდებარების ქალაქი და 942 სასოფლო საბჭო (სულ 6403 დასახლებული პუნქტი, მათ შორის 51 ქალაქი და 61 დაბა).

ჯერ კიდევ 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმით საქართველოს მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც საბოლოოდ 1991 წლის 9 აპრილის აქტით საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ საქვეყნოდ გამოაცხადა. ამ ფაქტით საქართველომ დაიწყო თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს, კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი განმტკიცებულია 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით, რომელიც შეიცავს მისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის საფუძვლებს. საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური სტატუსი, უპირველეს ყოვლისა, ემყარება სახელმწიფოს სუვერენიტეტის კონსტიტუციურ პრინციპს.

საქართველოს სუვერენობას, მის დამოუკიდებლობასა და განუყოფლობას აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის პირველივე მუხლი, რომლის თანამხად „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ა.ს.ს.რ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“.

იურისდიქციის სრულად აღდგენამდე, დღევანდელი და ჩვენი ახალი ისტორიის მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით, კონსტიტუციის ავტორებმა გაითვალისწინეს საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ერთიანობისა და განუყოფლობის რიგი გარანტიები. ერთი მხრივ, ასეთ გარანტად კანონმდებელი მიიჩნევს თავად კონსტიტუციას, მეორე მხრივ კი- საერთაშორისო საზოგადეობას, საერთაშორისო სამართალს. საქართველოს კონსტიტუციის 2 მუხლში წერია: „ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია განუსაზღვრელია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით, აღიარებულია მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო

ორგანიზაციების მიერ საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხვრივი შეთანხმებით.

საქართველოს ტერიტორიული მონაცემების თაობაზე საინტერესო შეხედულება აქვთ ბატონ ზაზა რუხაძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ „საქართველოს, როგორც ისტორიული, ისე სამომავლო რეალობის გათავალისწინებით უნდა იყოს ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რომელსაც ექნება თავისი ავტონომიური წარმონაქმები. ამიტომ, როცა სახელმწიფოებრივი მონაცემების ფორმაზეა ლაპარაკი, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ყოვლად დაუშვებელია ახალი ავტონომიების შექმნა. დღევანდელი რთული მდგომარეობის ესკალაციის თავიდან აცილებისათვის მიზანშეწონილია ასევე არსებული ავტონომიების საზღვრების შეცვლაც“.

ამასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ეთნიკური საკითხი, რომელიც გარკვეულწილად ეჭვს ბადებს უნიტარულ საქართველოში ეთნიკური უმცირესობათა დაცვის თვალსაზრისით, რომელიც ვფიქრობ ვაუმართლებელია, რადგან ავტონომიას როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ იურიდიულ ფორმას, შეუძლია შეასრულოს კონფლიქტების გადაჭრის ფუნქციაც და უშუალოდ ადგილებზე მოაწესრიგოს არსებული უთანხმოებები.

მსოფლიოში არსებობს მრავალი უნიტარული სახელმწიფო, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური უმცირესობანი და მათი უფლებები დაცულია ავტონომიით. ვფიქრობ მართებული იქნება თუ ჩვენი ტერიტორიული მონაცემების საკითხის გადანყვეტისას უპირველეს ყოვლისა მაგალითს ავიღებთ, ისეთი უნიტარული სახელმწიფოებისაგან, რომელთაც გააჩნიათ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობანი და სიდიდით მეტ-ნაკლებად შეესაბამებიან საქართველოს. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს დანიის სახელმწიფო, რომელიც არის მაღალგანვითარებული სამრეწველო ქვეყანა და რომლის მოსახლეობის ცხოვრების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მონაცემას ასევე არეგულირებს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი. აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის თანახმად-„ საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მონაცემა

განსაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებასმოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. მოცემული ჩანაწერით კონსტიტუციურმა კანონმდებლმა ქვეყნის ტერიტორიული მონაცობა დროებით ტაბუდადაბულ თემად გამოაცხადა. ამგვარად, სწორედ საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი გვევლინება იმ გარემობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, რომ საქართველოს დღეისათვის მკაცრად განსაზღვრული ტერიტორიული მონაცობა არ აქვს.

თანამერდოვე საქართველოს ტერიტორიული მონაცობა ასიმეტრიულია, ის მოიცავს 2 ავტონომიურ რესპუბლიკას და ერთ ოლქს (მათ შორის ორი დეფაქტო), 79 მუნიციპალიტეტს, მუნიციპალიტეტებიდან: 12 არის თვითმმართველი ქალაქი, მათ შორის საქართველოს დედაქალაქი თბილისი და 67 თვითმმართველი თემი. მუნიციპალიტეტები ერთიანდებიან 9 მხარეში ესენია:

- 1) კახეთის მხარე
- 2) შიდა ქართლის მხარე
- 3) ქვემო ქართლის მხარე
- 4) იმერეთის მხარე
- 5) გურიის მხარე
- 6) სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე
- 7) სამცხე-ჯავახეთის მხარე
- 8) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე
- 9) მცხეთა-მთიანეთის მხარე

საქართველოს დედაქალაქი თბილისი არაყერთ მხარეში არ შედის. აღნიშნული მხარეები არ წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებს. მათ მხოლოდ საკოორდინაციო და საკონსულტაციო ფუნქცია გააჩნიათ თვითმმართველობის ერთეულებსა და საქართველოს მთავრობას შორის, სადაც მთავრობას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, ხოლო თვითმმართველ ერთეულს- მერი, საკრებულოს თავჯდომარე და მისი მოადგილე.

2002 წლის 23 მაისს საქართველო შეუერთდა „ ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას“ და 2004 წლის 26 ოქტომბერს მოახდინა მისი

რატიფიკაცია (ძალაში შევიდა 2005 წლის 1 აპრილს). პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციით, საქართველო ქარტიას შეუერთდა დათქმებით, ამასთან იგი არ შეერთებია ყველა მუხლს/პუნქტს. კერძოდ, საქართველო არ შეერთებია მე-4 მუხლის მე-6 პუნქტს, მე-5 მუხლს, მე-6 მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებს, მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებას გაერთიანებაზე (საერთაშორისო ასოციაციების ჩათვლით) საერთო ინტერესების ხელშეწყობისათვის და მსხვავე საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის. ქარტიას, როგორც საერთაშორისო აქტს, უპირველესი იურიდიული ძალა აქვს ქვეყნის შიდა კანონმდებლობის მიმართ და კონსტიტუციის შემდგომ უპირატესი უფლებით სარგებლობს. საქართველოს ორგანული კანონი „ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციასა და ევროპული თვითმმართველობის ქარტიას, როგორც საბაზისო საფუძვლებს. კანონმდებლობის მიხედვით ყველა ახალი საკანონმდებლო ინიციატივის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქართული კანონმდებლობის ქარტიასთან შესაბამისობაში მოყვანაა.

ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს საქართველოს მხარეებად (რეგიონებად) დაყოფის პრინციპი, რომლის თანახმად მხარე უნდა გახდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ერთეული. არსებულ მუნიციპალიტეტთან შედარებით, მას გაცილებით უფრო დიდი ეკონომიკური შესაძლებლობები და ფინანსური დამოუკიდებლობა ექნება. შესაბამისად, წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს რეალური საშუალება ექნებათ ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად და სერიოზული პროექტების განსახორციელებლად. ყოველივე ზემოთქმული ადგილობრივი თვითმმართველობის რეალური დამოუკიდებლობის გარანტიას შექმნის. რეგიონული პრინციპით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონაცობა ითვალისწინებს:

- 1) მხარეთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობების ერთმანეთთან დაახლოებას;
- 2) ცენტრს, მხარესა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ქონების გადნაწილებას;
- 3) მხარეთა შორის კონკურენციის პრინციპის დანერგვას;

- 4) ერთიანი მინიმალური სოციალური სტანდარტებისა და თანასწორი სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, კონსტიტუციით დადგენილი მოქალაქეთა სოციალური უფლებების დაცვის გარანტირებას;
- 5) განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონების პრიორიტეტული განვითარების უზრუნველყოფას;
- 6) მხარეთა ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებების მაქსიმალურად გამოყენებას;
- 7) მხარეთა კომპლექსურ-ეკოლოგიურ დაცვას.

სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ახალ საბიუჯეტო მოწყობასთან, როცა საბიუჯეტო სახსრების განაწილება არაუნყებრივი, არამედ პროგრამული პრინციპით მოხდება. ამ შემთხვევაში სამხარეო ხელისუფლების ერთ-ერთი ფუნქცია მხარის განვითარების სერიოზული პროგრამების ჩამოყალიბება და მათ განსახორციელებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან ან საერთაშორისო წყაროებიდან თანადაფინანსების მოპოვება იქნება. ამჟამად არსებული მუნიციპალიტეტი თავისი მწირი რესურსებიდან გამომდინარე, ასეთ ურთიერთობებში პარტნიორად ვერანაირად გამოდგება. მხარის კეთილდღეობა, ძირითადად, დამოკიდებული ხდება ადგილზე აკრეფილ გადასახადებზე და არა ცენტრალური ხელისუფლების კეთილგანწყობაზე ამ მხარის პირველი პირის მიმართ. ასეთი სისტემა ხელს შეუწყობს მხარეთა შორის მნიშვნელოვანი კონკურენციის გაღვივებას ნორმალური საგადასახადო და საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით სტიმულს მისცემს ეკონომიკური აქტიურობის ზრდას.

XXI საუკუნეში ცივილიზებული მსოფლიო ვერ შეეგუება საერთაშორისო ნორმების უხეშ დარღვევას, ეთნონშენდასა და ოკუპაციას. ამიტომ ვფიქრობ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გარდაუვალია.

დასკვნა

სახელმწიფო ფორმასა და მის შინაარსს შორის არსებობს თანაფარდობითი მიმართება, ისინი ურთიერთგეგავლენას განიცდიან, სახელმწიფოს შინაარსისა და მიზნების შესაბამისი ფორმის მიგნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფოს ცხოვრებაში. ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფოსათვის, რომელიც ახალახან შეუდგა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების გზას და განვითარების გარდამავ ეტაპზე იმყოფება. მხედველობაში შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს მაგალითი, რამეთუ სწორედ სახელმწიფოს ფორმის ანუ მონაცობის შესწავლის შემდეგ შეიძლება დავამტკიცოთ, თუ რამდენად პროგრესული კონსტიტუციური პრინციპები დაედო საფუძვლად ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებას თანამედროვე ეტაპზე.

საქართველო დღეს სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება. ამ პროცესში გამოიკვეთა მრავალი პრობლემა, რომელთა მოუგვარებლობამ ქვეყნის განვითარების მნიშვნელობანი მიმართულებები, ფაქტობრივად ჩიხში შეიყვანა. გარდამავალ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას დეცენტრალიზებული და რეალურ თვითმმართველობაზე დამყარებული ინსტიტუტების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს უნიტარული სახელმწიფო დეცენტრალიზაციის გარკვეული დონით. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებს მიეცეთ რეალური თვითმმართველობა და გაუფართოვდეთ კომპეტენციები. რაც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს-მერებს, სასურველი იქნებოდა მათი თანამდებობა ყოფილიყო დანიშნითი და არა არჩევითი. ისინი უნდა იყვნენ კარგი მენეჯერები, პრაქტიკული გამოცდილებისა და ცოდნის მქონე ადამიანები და არა პოლიტიკური ფიგურები.

საქართველოს უნდა გააჩნდეს პირველ ეტაპზე სამი (ათხაზეთი, აჭარა და ე. წ. ყოფილი სახრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), ხოლო შემდგომში-ორი ავტონომია (ათხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), რომელთა

ავტონომიურობის ხარისხიც განსხვავებული იქნება. აჭარის ავტონომიურობას დღეს ჯერ კიდევ აქვს გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, მის არსებობას იმ სახით, როგორც ახლა არსებობს ნაკლები გამართლება ექნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე. „კონსტიტუციური სამართალი“. თბილისი 2014;
2. გ. გორაძე. „ფედერალიზმის პერსპექტივები საქართველოში“. თბილისის 2012;
3. გ. უგულავა. „სახელმწიფოს მონყობის ფორმები ანტიკური ეპოქის მხატვრულ ლიტერატურაში-ჰომეროსიდან არისტოფანამდე“. თბილისი 2016;
4. გ.ხუბუა. „ფედერალიზმი როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი“. თბილისი 2000;
5. ვ. ლორთქიფანიძე. „ქვეყნის ფედერაციული მონყობა“. თბილისი 1999;
6. ზ. რუხაძე. „საქართველოს კონსტიტუციური სამართალი“. თბილისი 2012;
7. კ. კანდელაკი, დ. ლოსაბერიძე, ი. მელაშვილი, თ. შვეგელაშვილი.
„საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის სიტემის განვრცობილი კონფეფცია“. თბილისი 2012;
8. ლ. სანიკიძე. „დედა ისტორია“. თბილისი 1996;
9. მ. გორგოშაძე. „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“. ბათუმის უნივერისტეტი 2002;
10. მ. გორგოშაძე. „სახელმწიფოს ფორმები“. ბათუმი 2006;
11. მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, მ. ბახტაძე. „ საქართველოს ისტორია“. თბილისი 2005;
12. ჯ. ხეცურიანი. „საქართველოს რესპუბლიკა“. თბილისი 2009;
13. ადგილობრივი თვითმმართველობა-ისტორიული მიმოხილვა და დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება. თბილისი 2014;
14. საქართველოს ისტორია, ტ. I. „ფარნავაზიანები“. თბილისი 2008;
15. სახელმწიფო მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა. თბილისი 2014;
16. სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების შექმნის წესი და მისი სტრუქტურა. თბილისი 2014;

17. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენელთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები. „საქართველოს სახელმწიფო უნიტარული თუ ფედერაციული“. ბათუმის უნივერსიტეტი 2005;

18. ა. ფირცხალაშვილი, გ. მირიანაშვილი. „საქართველოს სახელმწიფო მონცობის საფუძვლები“.

www.gruni.edu.ge/intitute_menu-content/index/365/1443002382

19. სახელმწიფო მონცობა საქართველოში და მაგალითები მსოფლიოდან (2016).
Sknews.ge/index.php?newsid=10007

20. საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურები და პოლიტიკური სისტემა.

https://ambtbilisi.esteri.it/ambasciata_tbilisi/ka/i_rapporti_bilaterali/cooperazione_politica.

დანართი

1.1 საქართველოს ტერიტორიაზე (იმ ტერიტორიისთვის, რომლებზედაც 2012 წლის 1 იანვრისათვის ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია) არსებობს 12 მხარე (რეგიონი) და საქართველოს დედაქალაქი-ქ. თბილისი. საქართველოს მხარეებია:

- 1) აჭარა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა)-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის, ხულოს, ქედის მუნიციპალიტეტებისა და ქ. ბათუმის ტერიტორიები. დედაქალაქი-ქ. ბათუმი;
- 2) გურია-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები ტერიტორიები. მხარის ადმინისტრაციული ცენტრი ქ. ოზურგეთი;
- 3) სამეგრელო-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული აბაშის, სენაკის, მარტვილის, ხობის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყის მუნიციპალიტეტისა და ქ. ფოთის ტერიტორიები. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ზუგდიდი;
- 4) სვანეთი-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მესტიის მუნიციპალიტეტი (თუკი სახელმწიფომ უზრუნველყო მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების გზით დაკავშირება, მაშინ ზემო და ქვემო სვანეთი გაერთიანდება ერთ მხარეში). მხარის ადმინისტრაციული ცენტრია მესტია;
- 5) რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ცაგერის, ამბროლაურის, ონის და ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები (თუკი სახელმწიფომ უზრუნველყო მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების გზით დაკავშირება, მაშინ ამ მხარეს გამოაკლდება ქვემო სვანეთი-ლენტეხის მუნიციპალიტეტი). მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ამბროლაური;
- 6) იმერეთი-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ხარაგაულის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათის, ვანის, საჩხერის, ხონის, სამტრედიის, ტყიბულის, ჭიათურის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტებისა და ქ. ქუთაისის ტერიტორიები. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ქუთაისი;

- 7) სამცხე-ჯავახეთი-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ასპინძის, ადიგენისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ახალციხე;
- 8) შიდა ქართლი-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ხაშურის, კასპის, ქარელის, გორის, მცხეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. გორი;
- 9) მთიანეთი-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიები. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია დუშეთი ან უინვალი;
- 10) ქვემო ქართლი-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული გარდაბანის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკის, დმანისის მუნიციპალიტეტებისა და ქ. რუსთავის ტერიტორიები. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. რუსთავი ან ქ. ბოლნისი;
- 11) კახეთი-მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საგარეჯოს, ახმეტის, თელავის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქ. თელავი;
- 12) თბილისი-საქართველოს დედაქალაქი. მასში ერთიანდება 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დაზუსტებული ქ. თბილისის ტერიტორია. ქ. თბილისის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ“.

1.2 საკვლევი კითხვარი

1. თქვენი აზრით რა არის სახელმწიფო?

ა) იგი მოიცავს გარკვეულ ტერიტორიას და საზღვრებს აქვს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი

ბ) იგი აერთიანებს ხალხს და აყალიბებს საერთო წეს-ჩვეულებებს

გ) იგი ხელს უწყობს ცალკეული ეთნოსისა და ტრადიციების გაერთიანებას

დ) იგი არის ეთიანობის სიმბოლო იმ საზოგადოებისა ვისაც ერთნაირი კულტურა რელიგია და საერთო ხედვა აქვთ

2. როგორ ფიქრობთ რა არის სახელმწიფო მართვა?

ა) სახელმწიფო ხელიუფლების უშუალო განხორციელება პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება და მათ რეალიზაცია

ბ) საზოგადოებაში სამართლიანობასა და კანონიერებაზე დაცვაზე კონტროლი

გ) სახელმწიფო მართვის ორგანოთა ადმინისტრაციული, აღმასრულებელ-განკარგულებითი საქმიანობა, რომელიც მიმართულია, საზოგადოების საკეთილდღეოდ.

დ) მართვა ეს არის მართის სუბიექტისა და ობიექტის მიზანმიმართული ურთიერთქმედების პროცესი სოციალურად ღირებული შედეგის მისაღწევად.

3. თქვენი აზრით რას მოიცავს მონარქიული მმართველობა?

ა) მმართველობის ისეთ ფორმა, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ერთ პირს მონარქს ეკუთვნის, რომელიც თავისი ნების შესაბამისად წარმართავს სახელმწიფოს.

ბ) მმართველობის ისეთ ფორმას, სადაც მონარქი ხალხის ნების ორგანოა და ამ მხრივ იგი სახელმწიფოს იურიდიული არსებობის ერთ-ერთი ელემენტის შემადგენელ ნაწილს აკავშირებს.

გ) მონარქიული მართვა-გამგეობა უზრუნველყოფს ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსის მემკვიდრეობითობას

დ) მმართველობის ისეთი ფორმა, სადაც მოქმედებს მონარქის თავისუფალი მოქმედების შეზღუდულობა, როგორც საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ასევე სასამართლო ხელისუფლებათა განხორციელების სფეროში.

4. მონარქიული მმართველობის ფორმებიდან რომელ მიმართულებას ანიჭებთ უპირატესობას?

ა) აბსოლიტური(შეუზღუდავი) მონარქია

ბ) კონსტიტუციური და წოდებრივ-წარმომადგენლობითი(შეზღუდული) მონარქია

გ) მემკვიდრეობით მონარქია

დ) არჩევითი მონარქია

ე) დუალისტური მონარქია

5. თქვენი აზრით რას მოიცავს რესპუბლიკური მმართველობა?

ა) მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს ხალხის მიერ გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო

ბ) რესპუბლიკური მმართველობა გულისხმობს საზოგადოების მონაწილეობას ხელისუფლებაში

გ) რესპუბლიკური მმართველობა ეფუძნება ხელისუფლების განაწილების პრინციპს

დ) რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი

6. რესპუბლიკური მმართველობის ფორმებიდან რომელ მიმართულებას ანიჭებთ უპირატესობას?

ა) საპრეზიდენტო რესპუბლიკა

ბ) საპარლამენტო რესპუბლიკა

გ) შერეული რესპუბლიკა

დ) სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკა

ე) ნახევარდესაპრეზიდენტო რესპუბლიკა

7. რომელ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას ანიჭებთ უპირატესობას?

ა) უნიტარულ დაყოფას

ბ) ფედერაციულ დაყოფას

გ) შერეულ დაყოფას

8. რა შედეგები მოაქვს ადმინისტრაციულ დაყოფას უნიტარულ სახელმწიფოში?

ა) ქვეყანაში მოქმედებს ერთი საერთო კონსტიტუცია და კანონმდებლობა, პოლიტიკური ხელისუფლების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემა

ბ) ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს არ გააჩნიათ რაიმე პოლიტიკური დამოუკიდებლობა

გ) მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება სახელმწიფოს ერთიანი მოქალაქეობით.

დ) ერთიანი პოლიტიკური ხელისუფლება ხორციელდება და რომელიც ერთადერთი უმაღლესი ხელისუფლებაა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

9. როგორ გესმით ფედერალიზმის მნიშვნელობა სახელმწიფო მმართველობით საკითხში?

ა) ფედერაცია წარმოადგენს ავტონომიური გაერთიანებების კავშირს, უფრო დიდ საერთო ფუნქციებისა და საერთო ორგანოების მქონე დამოუკიდებლად მოქმედ ერთობასთან.

ბ) ფედერაციის სუბიექტებს განსაზღვრული პოლიტიკური ავტონომია აქვთ.

გ) ფედერაციულ სახელმწიფოში მოქმედებს პოტენციური კონფლიქტების გადანაცვების სამართლებრივი მექანიზმი უნინარეს ყოვლისა ფედერალური დავის სასამართლო წესით გადანაცვების სახით.

დ) მოსახლეობის შესაძლებლობა ხელისუფლების რამდენიმე დონეზე მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში.

10. თქვენი აზრით რომელი განმარტება უფრო კარგად ახასიათებს ფედერალიზმის უპირატეობაზე?

ა) ფედერალიზმი არის საფეხურებრივად აგებული, ორგანულად სტრუქტურირებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის იდეა.

ბ) უნივერსალურ სინთეზური მოვლენა როგორც თავისუფალი საზოგადოებრივი გაერთიანების პრინციპი, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს სახელმწიფო წესრიგს, ეკონომიკას და კულტურას.

გ) ფედერალიზმი სახელმწიფო თავისუფლებისა და საერთაშორისო წესრიგში მცირე სახელმწიფოების ძლიერების დაცვის საუკეთესო საშუალებაა.

დ) ფედერალიზმი როგორც ერთიან საკავშირო სახელმწიფო შემდგარი წევრებისაგან (სუბიექტებისაგან), რომელთაც გააჩნიათ თანაბარი სამართლებრივი სტატუსი, შეზღუდული სუვერენიტეტი და შეთანხმებების საფუძველზე წყვეტენ ერთიანი სახელმწიფოს ძირითად საკითხებს.

11. როგორ ფიქრობთ მმართველობის რომელი ფორმა დაეხმარება საქართველოს განვითარებაში?

ა) რესპუბლიკური მმართველობა (საპრეზიდენტო)

ბ) რესპუბლიკური მმართველობა (საპარლამენტო)

გ) მონარქიული მმართველობა (აბსოლიტური)

დ) მონარქიული მმართველობა (კონსტიტუციური)

12. თქვენი აზრით როგორი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მოწყობა თანამედროვე ეტაპზე

ა) ფედერაციული

ბ) უნიტარული

გ) შერეული

13. თქვენი აზრით ვინ უნდა ღებულობდეს გადაწყვეტილებას სახელმწიფო მმართველობის ფორმის არჩევაში?

ა) სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი

ბ) სახელმწიფოს პრეზიდენტი

გ) სახელმწიფოს პარლამენტი

დ) სახელმწიფოს მოსახლეობა

გამოკითხული იქნა 245 ადამიანი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. გამოკითხვა მიმდინარეობდა ორი თვის განმავლობაში (მარტი-მაისი) ასაკობრივი ჯგუფი ჯამში შეიძლება ასე დაიყოს:

I ჯგუფი - 18 დან 25 წლამდე (62 ქალბატონი/38 მამაკაცი)

II ჯგუფი - 25 დან 40 წლამდე (58 ქალბატონი/42 მამაკაცი)

III ჯგუფი - 40 დან 60 წლამდე (67 ქალბატონი/33 მამაკაცი)